


2023

THE THIRD INTERNATIONAL
SCHOLARLY CONFERENCE
მესამე საერთაშორისო
სამეცნიერო კონფერენცია



გამოწვევები და ტენდენციები
ჰუმანიტარულ მეცნიერებაებში
CHALLENGES AND TRENDS
IN THE HUMANITIES

SCIENTIA

პროგრამა და
მოხსენებები
PROGRAM AND
PAPERS

3



კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს
ხელნაერთა ეროვნული ცენტრი
KORNELI KEKELIDZE GEORGIAN
NATIONAL CENTRE OF MANUSCRIPTS

Scientia

მესამე საერთაშორისო THE THIRD INTERNATIONAL
სამეცნიერო კონფერენცია SCHOLARLY CONFERENCE

გამოწვევები და ტენდენციები
ჰუმანიტარულ მეცნიერებებში
CHALLENGES AND TENDENCIES
IN THE HUMANITIES

პროგრამა და PROGRAM &
მოსხენებები THE PAPERS

27-28

ნოემბერი | NOVEMBER

2023

თბილისი, საქართველო | GEORGIA, TBILISI

საორგანიზაციო კომიტეტის ხელმძღვანელი
და რედაქტორი:

მანუჩარ გუნცაძე | კორნელი კეკელიძის სახელობის
საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი

საორგანიზაციო კომიტეტი და სარედაქციო ჯგუფი:

გორ მარგარიანი | სომხეთის მეცნიერებათა ეროვნული
აკადემია

ჰიროტაკე მადეა | ტოკიოს მეტროპოლიტენ უნივერსიტეტი

ზურაბ თარგამაძე | ივანე ჯავახიშვილის სახელობის
ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი

ვლადიმერ კეკელია | კორნელი კეკელიძის სახელობის
საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი

ხათუნა ბაინდურაშვილი | კორნელი კეკელიძის სახელობის
საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი

სოფიო ქადაგიშვილი | ივანე ჯავახიშვილის სახელობის
ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი

ნიკოლოზ ჟღენტი | კორნელი კეკელიძის სახელობის
საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი

შოთა მათითაშვილი | ცენტრალური ევროპის უნივერსიტეტი

ლევან კოჭლამაზაშვილი | არნოლდ ჩიქობავას სახელობის
ენათმეცნიერების ინსტიტუტი

გიორგი მირზაბეკიანი | სომხეთის მეცნიერებათა ეროვნული
აკადემია

მიხეილ ქართველიშვილი | ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

გურამ ჩხატარაშვილი | ბათუმის არქეოლოგიის მუზეუმი

ციციწო გულედანი | კორნელი კეკელიძის სახელობის
საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი

თამაზ გოგოლაძე | კორნელი კეკელიძის სახელობის
საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი

გიორგი გიგაევი | ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

HEAD OF THE CONFERENCE ORGANIZING COMMITTEE
AND EDITOR:

Manuchar Guntsadze | Korneli Kekelidze Georgian National
Centre of Manuscripts

ORGANIZING COMMITTEE:

Gor Margaryan | Armenian National Academy of Sciences

Hirotake Maeda | Tokyo Metropolitan University

Zurab Targamadze | Ivane Javakhishvili Institute of History And
Ethnology

Vladimer Kekelia | Korneli Kekelidze Georgian National Centre
of Manuscripts

Khatuna Baidurashvili | Korneli Kekelidze Georgian National
Centre of Manuscripts

Sopio Kadagishvili | Ivane Javakhishvili Institute of History And
Ethnology

Nikoloz Zhgenti | Korneli Kekelidze Georgian National Centre of
Manuscripts

Shota Matitashvili | Central European University

Levan Kochlamazashvili | Arnold Chikobava Institute of Linguistics

Georgi Mirzabekyan | Armenian National Academy of Sciences

Mikheil Kartvelishvili | Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Guram Chkhartishvili | Batumi Archaeological Museum

Tsitsino Guledani | Korneli Kekelidze Georgian National Centre
of Manuscripts

Tamaz Gogoladze | Korneli Kekelidze Georgian National Centre
of Manuscripts

Giorgi Gigaevi | Ivane Javakhishvili Institute of History And
Ethnology

კონფერენცია ტარდება სამეცნიერო ჟურნალ Scientia-ს ეგიდით. კონფერენციის მოხსენებათა მოკლე შინაარსების კრებულში შესულია ის ნაწილი, რომელიც მხოლოდ მოხსენების სახით იქნა წარმოდგენილი. ამას გარდა, მოხსენებების ნაწილი წარმოდგენილი იყო სტატიები სსახითაც. შესაბამისად ის მოხსენებები, რომლებიც ჟურნალში დაიბეჭდება სტატიების სახით, მათი მოკლე შინაარსები წინამდებარე კრებულში არაა შესული.

ამასთანავე, ყველა იმ მოხსენებას, რომელიც წარმოდგენილია კონფერენციაზე, გავლილი აქვს მინიმუმ ორმაგი ფარული რეცენზირება.

The conference will be held on the basis of the scholarly journal – Scientia. The short contents of the papers include the articles that are read only at the conference, but part of presentations are full papers that will be published in the journal, therefore short contents of these papers are not published in the conference summary.

In addition, all papers presented at the conference have undergone at least double peer review.



კონფერენცია ტარდება ქალაქ თბილისის
მუნიციპალიტეტის მერიის ფინანსური მხარდაჭერით
THE CONFERENCE IS BEING HELD WITH THE FINANCIAL
SUPPORT OF TBILISI CITY HALL

ISBN 978-9941-8-6069-0

DOI 10.51364/26679604.jcpr.2023.v03

პროგრამა

PROGRAM

კონფერენციის ადგილი:

კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა
ეროვნულ ცენტრი, ელენე მეტრეველის სახელობის

საკონფერენციო დარბაზი

მისამართი: მ. ალექსიძის 1/3

CONFERENCE VENUE:

Korneli Kekelidze Georgian National Centre of Manuscripts, Elene
Metreveli Conference Hall

ADDRESS: M. Aleksidze 1/3

დისტანციური მონაწილეობისათვის გამოიყენეთ პლატფორმა
Zoom

Use the Zoom platform to participate online

Meeting ID: 356 548 7851

Passcode: scientia

ან დაასკანერეთ QR კოდი

Or scan QR code



რეზლამენტი | TIME LIMIT

მოსხენება: 15 წუთი

დისკუსია: სესიის

ბოლოს

Report: 15 min.

Discussion: at the
end of the session

27 ნოემბერი, ორშაბათი

09:00-10:00 - რეგისტრაცია

სემინარი 1

10:00-12:00

თავმჯდომარე | ხათუნა ბაინდურაშვილი

ხათუნა ბაინდურაშვილი

ქართული ქალები სეფიანთა ირანის კოლიტიკურ ცხოვრებაში (XVI საუკუნის 70-იანი წლები)

გორ მარგარიანი, მუშეგ გაპრიანი

საცხოვრებელი სტანდარტების ცვლილებები სამხრეთ კავკასიის ქალაქებში სეფიანთა და რუსეთის ბატონობის შედარებითი ანალიზის კრიზისში (ერევნის, თბილისისა და განჯის მაგალითზე)

ლიანა სამყურაშვილი

ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის არაბული სამედიცინო თხზულებები

ეკა დულაშვილი

წმინდა გრიგოლ ხანცთელი და „იადგარი სანაღლი-ნდო“

გიორგი მირზაბეგიანი

სოფელი ვალარშაკატი ერევნის ვილაეთის ოსმალეთის საგადასახადო რეესტრში: შედარებითი ანალიზი

12:00-12:30 შესვენება (ყავის დასალევად)

სემინა 2

12:30-14:30

თავმჯდომარე | ვლადიმერ კეკელია

მაია კაპანაძე, ნინო კოპალიანი

რელიგიის გავლენა თურქეთის საგარეო პოლიტიკაზე

ოლგა ვასილევა

გიორგი ავალიშვილი, გრიგოლ რუაძე და ევვიკტური სიძველენები

ტიგრან მიქაელიანი, რუზანა მიქაელიანი

დვინის გათხრების შედეგად აღმოჩენილი არაბული ნარჩენები

ასმიკ ამკაიანი

სიტყვა, რომელიც შესაძლოა აღნიშნავს „ხალიჩას“ ხეთურ ტექსტებში

მონიკა მირზოიანი

ძალი, კატა და ღორი ხეთების რწმენა-წარმოდგენებში

14:30-15:30 ხემსი

სემინარი 3

15:30-17:00

თავმჯდომარე | მანუჩარ გუნცაძე

მაია შაორშაძე

კიდევ ერთხელ ქართლის მთავარეპისკოპოსისა და მიტროპოლიტის რომანოზ ერისთავის მოღვაწეობისა და ქრონოლოგიის შესახებ

ნინო მეგენეიშვილი, შორენა თავაძე

ფოტო-მიკროფირების ელექტრონული დოკუმენტირების მნიშვნელობა (ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცული მიკროფირების საცავის მაგალითზე)

ლევან კოჭლამაზაშვილი

ჯვარ- ფუძე ქართულ გეოგრაფიულ სახელებში

თეონა მახარაშვილი

მითოსური კლასტების ილუსტრირება გურამ დოგანაშვილის რომან „სამოსელ კირველში“

სოფიო მენტეშაშვილი

სულხან-საბა ორბელიანის „სამოთხის კარის“ ტექსტოლოგიური პრობლემატიკის კვლევისას აქამდე გაუთვალისწინებელი ხელნაწერი – A-627

28 ნოემბერი, სამუშაო

სემინარი 4

10:00-12:00

თავმჯდომარე | თამაზ გოგოლაძე

ირაკლი ფალავა, სევერიანე თურქია
**ახალი მონაცემები თბილისის ჯაფარიანი ამირას,
'ალი ბ. ჯაფარის სამონეტო ისტორიისთვის (ახალი
ტიპის დირჰემების ქისა და ჰ. 409 წ. უნიკალური დირ-
ჰემი)**

თამაზ გოგოლაძე, დარეჯან გველესიანი
**ერთი საინტერესო მინაწერი კლარჯული სვინაქსრის
(A-97) აშიებიდან და მისი მნიშვნელობა ფანჯული-
ძეთა საგვარეულოს შესახებ**

ზოჰრაბ გევორგიანი
**ვაჭრობა და ინფორმაციის გაცვლა ხელთაშუა
ზღვაში კილიკიის სამეფოს მაგალითზე, სომხეთი
(XIII-XIV სს.)**

დავით მერკვილაძე
**შაჰის ხან ჰუსეინის მიერ ავარელთა ჯარის სალაშ-
ქროდ დაქირავება 1771 წელს და ერაკლე II**

ჰარუთიუნ ხუდანიანი
**ქართველი ვასოლ კერსონაჟი მე-19 საუკუნის სომეხი
რომანისტი „რაფის“ ისტორიულ რომანში „ხაჩაგო-
ლის ანდერძი“**

თამარ ჩარკვიანი
საქართველოში ინტერრელიგიური დიალოგის პროცესში რელიგიათა ურთიერთდამოკიდებულების მონომოდელის, მულტიმოდელის და ინტერმოდელის ანალიზი

12:00-12:30 შესვენება (ყავის დასალევად)

სექცია 5

12:30-14:30

თავმჯდომარე | მიხეილ ქართველიშვილი

ირაკლი ირემაძე
აგრარული რეფორმა საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში

ნოდარ ჩხაიძე
ახალი ცნობები ანარქისტ პალვა გოგელიას ბიოგრაფიიდან

სალომე ქანტურიძე
საზოგადოებრივ-პოლიტიკური პრესა და საგამომცემლო საქმიანობა საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში

პავლიკა ჯაგუნავა
გენერალ ჯიმს ჰარბორდის კომისიის საქართველოში ვიზიტი: მიზნები და შედეგები

ნატო სონღულაშვილი
**თავისუფლების იდეა ვლასა მგელაძის ნააზრევში (XX
საუკუნის 20-იანი წლები)**

ზაზა ცინაძე
**საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ნაფიც
მსაჯულთა სასამართლო**

14:30-15:30 ლანჩი

სემინარი 6

15:30-17:00

თავმჯდომარე | მანუჩარ გუნცაძე

ასმათ გვაზავა, რევაზ კლდიაშვილი
**„თანამედროვე კვლევის მეთოდების გამოყენება
ნიგნის კონსერვაცია-რესტავრაციაში (XIX საუკუნის
ხელნაწერის [SIR-3] ყდის ქსოვილის რენტგენოფლუ-
ორესცენციული ანალიზატორით (XRF EDX 3600B)
კვლევა და მისი შედეგები)“**

დავით კუხალაშვილი, არჩილ ორთანებაშვილი
**საარქივო ისტორიული დოკუმენტებისა და ძეგლებ-
ის უსაფრთხოების როლი სახელმწიფოს ისტორიუ-
ლ-კოლიტიკურ უსაფრთხოებაში**

თამარ დვალიშვილი
**მასალების ჟიმიზმის მნიშვნელობა კონსერვაციაში
და რესტავრაციაში**

ნუგზარ პაპუაშვილი
**თამარ მაჭავარიანი ახალციხის მეჩეთის ბიბლიო-
თეკის შესახებ**

ლელა გოცირიძე
**შაჰნამე – ყდაში აღმოჩენილი ხელნაწერების
შესახებ**

27 NOVEMBER, MONDAY

09:00-10:00 - REGISTRATION

SECTION 1

10:00-12:00

CHAIRPERSON | Khatuna Baindurashvili

Khatuna Baindurashvili

**GEORGIAN WOMEN IN THE POLITICAL LIFE OF SAFAVID IRAN
(70S OF THE 16TH CENTURY)**

Margaryan Gor, Mushegh Ghahriyan

**CHANGES IN LIVING STANDARDS IN SOUTH CAUCASIAN CITIES
IN THE PRISM OF COMPARATIVE ANALYSIS OF SAFAVID AND
RUSSIAN DOMINATION IN THE REGION (ON THE EXAMPLE OF
THE CITIES OF YEREVAN, TBILISI, GANJA)**

Liana Samkurashvili

**ARABIC MEDICAL WRITINGS OF THE NATIONAL MANUSCRIPT
CENTER**

Eka Dughashvili

SAINT GREGORY OF KHANDZTA AND THE "YEARLONG IADGARI"

Georgi Mirzabekyan

**VAGHARSHAPAT VILLAGE IN THE OTTOMAN TAX REGISTERS OF
YEREVAN VILAYET: A COMPARATIVE ANALYSIS**

12:00-12:30 COFFEE BREAK

SECTION 2

12:30-14:30

CHAIRPERSON | Vladimer Kekelia

Maia Kapanadze, Nino Kopaliani

THE INFLUENCE OF RELIGION ON TURKISH FOREIGN POLICY

Olga Vasileva

GEORGI AVALISHVILI, GRIGORI RUADZE AND OLD EGYPTIAN ANTIQUITIES

Tigran Mikayelyan, Ruzanna Mikayelyan

ARABIC INSCRIPTIONS FOUND FROM DVIN EXCAVATIONS

Hasmik Hmayakyan

A WORD POSSIBLY DENOTING "CARPET" IN HITTITE TEXTS

Monika Mirzoyan

DOG, CAT AND PIG IN HITTITE BELIEVES

14:30-15:30 LUNCH

SECTION 3

15:30-17:00

CHAIRPERSON | Manuchar Guntsadze

Maia Shaorshadze

ONCE AGAIN, THE NOVEL OF THE ARCHBISHOP AND METROPOLITAN OF KARTLI ABOUT THE WORK AND CHRONOLOGY OF ERISTAVI

Nino Megeneishvili, Shorena Tavadze

THE IMPORTANCE OF ELECTRONIC DOCUMENTATION OF PHOTO-MICROFILMING (EXAMPLE OF THE MICROFILM DEPOSITORY AT THE NATIONAL MANUSCRIPT CENTER)

Levan Kochlamazashvili

ՋWAR- STEM IN THE GEORGIAN TOPONYMS

Teona Makharashvili

ILLUSTRATING MYTHIC ELEMENTS IN GURAM DOCHANASHVILI'S NOVEL "THE FIRST GARMENT"

Sopio Menteshashvili

THE MENTIONING A MANUSCRIPT RELATED TO THE RESEARCH OF TEXTUAL PROBLEMS IN SULKHAN-SABA ORBELIANI'S "SAMOTKHIS KARI" (DOOR OF THE HEAVEN) (A-627)

28 NOVEMBER, TUESDAY

SECTION 4

10:00-12:00

CHAIRPERSON | Tamaz Gogoladze

Irakli Paghava, Severiane Turkia

NEW DATA ON THE MONETARY HISTORY OF 'ALĪ B. JA'FAR, JA'FARID EMIR OF TIFLĪS (A SMALL HOARD OF NEW TYPE DIRHAMS AND A UNIQUE AH 409 DIRHAM)

Tamaz Gogoladze, Darejan Gvelesiani

ONE INTERESTING INSCRIPTION FROM THE EDGE OF KLARJIAN SVINAKSR (A-97) AND ITS MEANING FOR THE LINEAGE OF PANCHULIDZE FAMILY

Zohrab Gevorgyan

TRADE AND EXCHANGE OF INFORMATION IN THE MEDITERRANEAN: EXAMPLE OF THE KINGDOM OF CILICIAN ARMENIA, (13TH-14TH CENTURIES)

David Merkviladze

SHAKIS KHAN HUSAYN'S RECRUITMENT OF AN AVAR ARMY FOR AN EXPEDITION IN 1771 AND ITS CONNECTION TO EREKLE II

Harutyun Khudanyan

THE CHARACTER OF THE GEORGIAN VASO IN THE HISTORICAL NOVEL "THE DIARY OF A CROSS-STEALER" BY THE 19TH CENTURY ARMENIAN NOVELIST RAFFI

Tamar Charkviani

ANALYSIS OF MONO-MODEL, MULTI-MODEL, AND INTER-MODEL INTERDEPENDENCE OF RELIGIONS IN THE PROCESS OF INTER-RELIGIOUS DIALOGUE IN GEORGIA

12:00-12:30 COFFEE BREAK

SECTION 5

12:30-14:30

CHAIRPERSON | Mikheil Kartvelishvili

Irakli Iremadze

THE AGRICULTURAL REFORM IN THE GEORGIAN DEMOCRATIC REPUBLIC

Nodar Chkhaidze

NEW INFORMATION FROM THE BIOGRAPHY OF ANARCHIST SHALVA GOGELIA

Salome Tchanturidze

SOCIAL-POLITICAL PRESS AND PUBLISHING ACTIVITIES IN THE DEMOCRATIC REPUBLIC OF GEORGIA

Pavlika Jagunava

GENERAL JAMES HARBORD'S MISSION TO GEORGIA: REASONS AND CONSEQUENCES

Nato Songulashvili

THE IDEA OF FREEDOM IN THE THOUGHT OF VLASA MGELADZE (20S OF XX CENTURY)

Zaza Tsinadze
JURY COURT OF THE DEMOCRATIC REPUBLIC OF GEORGIA

14:30-15:30 LUNCH

SECTION 6

15:30-17:00

CHAIRPERSON | Manuchar Guntsadze

Asmat Gvazava, Revaz Kldiashvili

THE USE OF MODERN RESEARCH METHODS, SPECIFICALLY THE EXAMINATION OF A 19TH-CENTURY MANUSCRIPT COVER FABRIC USING AN XRF EDX 3600B ANALYZER

Davit Kukhalashvili, Archil Ortanezashvili

THE ROLE OF SECURITY OF ARCHIVAL HISTORICAL DOCUMENTS AND MONUMENTS IN THE HISTORICAL-POLITICAL SECURITY OF THE STATE

Tamar Dvalishvili

SIGNIFICANCE OF THE CHEMISTRY OF MATERIALS IN CONSERVATION AND RESTORATION

Nugzar Papuashvili

TAMAR MACHAVARIANI ON THE AKHALTSIKHE MOSQUE LIBRARY

Lela Gotsiridze

SHAHNAMEH — ABOUT THE MANUSCRIPTS FOUND IN THE COVER



www.scientia.ge

მონსენიბედი

THE PAPERS

ხატუნა ბაინდურაშვილი

კორნელი კეკელიძის საქართველოს
ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი

ქართველი ქალის როლი სეფიანთა პოლიტიკურ ცხოვრებაში (XVI საუკუნის 70-იანი წლები)

საისტორიო წყაროები ცხდყოფს, რომ სახელმწიფოთა შორის ურთიერთობების ნორმალიზების საკითხში დინასტიური ქორწინება უდიდეს როლს თამაშობდა. აქდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ ქალი დიპლომატიის ერთ-ერთ მნიშვნელოვან სეგმენტს წარმოადგენდა. „ქალის საკითხი“ განსაკუთრებით გააქტიურდა XVI საუკუნიდან სეფიანთა ირანთან ურთიერთობის პერიოდში და აქტუალობა არც ირანის მმართველი მომდევნო დინასტიების დროს დაუკარგავს. ქართული სამეფო დინასტიისა და სხვა წარჩინებული ოჯახების ქალებს „მედიტორის“ როლი უნდა შეესრულებინათ და შეძლებისდაგვარად „გავლენა უნდა მოეხდინათ“ მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე. სწორედ ასეთი იყო ირანში ქალების „გათხოვების“ თუ შაჰისა და დიდებულის კარზე რიგით ხარჭად გაგზავნის მიზანი.

შაჰ აბას I-ის (1588-1629 წწ.) კარზე გაგზავნილი ქართველი ქალების შესახებ კ. კეკელიძე წერს: „... ის ქალები მეფე-დიდებულთა ოჯახებიდან, რომელნიც იგზავნებოდნენ შაჰის კარზე, როგორც მეულენი და თანამეცხედრენი მრისხანე ტირანისა, ან იძულებით, ან ნებაყოფლობით, უკანასკნელ შემთხვევაში იმ ანგარიშით, რომ დასიძების გზით აეცილებინათ და ასე თუ ისე შეერბილებინათ გულისწყრომა და რისხვა ამ ჯალათისა.“¹ თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ შაჰ აბას I-მდე ქართველების მიერ ირანის მმართველის კარზე ქალის „გაგზავნის“ უკვე არაერთი შემთხვევა იყო. პირველად შაჰის ჰარემში ქართველი ქალები სეფიანთა დინასტიის მეორე წარმომადგენლის – შაჰ თაჰმასპ I-ის (1524-1576 წწ.) დროს ჩნდებიან.

ჩვენი კვლევის მიზანია: ირანის შაჰის – თაჰმასპ I-ის (1524-1576 წწ.) კარზე მყოფი ქართველი ქალების ვინაობის დაზუსტება და მათი სოციალური სტატუსის განსაზღვრა. კერძოდ, შაჰთან მათი ქორწინების ფორმის დადგენა; დედით ქა-

1 კ. კეკელიძე, ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, IV, თბ. 1957, გვ. 217.

რთველი უფლისწულებისა და მათი მომხრეების ჩართულობა სეფიანთა ირანის პოლიტიკურ ცხოვრებაში.

XVI საუკუნის დასაწყისში ირანში სეფიანთა სახელმწიფო შეიქმნა, რომელმაც ძალიან მალე, აღმოსავლეთ საქართველოს მიმართ აგრესიული პოლიტიკის გატარება დაიწყო. ყიზილბაშები პირველად ქართლში შაჰ ისმაილ I-ის (1501-1524 წწ.) ბრძანებით შემოიჭრნენ და თბილისი დაარბიეს. ირანელთა მიერ აქედან წაყვანილ ტყვეებზე არაფერს წერენ ბერი ეგნატაშვილი, ქართლის ცხოვრების მესამე ტექსტი და ვახუშტი ბატონიშვილი.

შაჰ ისმაილ I-ის კარზე ქართველი ტყვე ქალების გაგზავნის შესახებ არც მისი ცხოვრების აღმწერი ანონიმი ავტორი და არც „თარხი-ე ჯაჰან-არა“¹ წერს.

სეფიანთა ირანის შაჰების ჰარემში ქართველი ქალების არსებობა პირველად შაჰ თამაზ I-ის დროს დასტურდება. უნდა აღინიშნოს, რომ ქართულ საისტორიო წყაროებში მათ შესახებ ცნობები ძალზედ მწირი და ამავე დროს არასანდოა.

ქართლში შაჰ თამაზ I-ის (1524-1576 წწ.) პირველი ლაშქრობის (1541 წ.) შესახებ საუბრის შემდეგ ბერი ეგნატაშვილი წერს: „ხოლო ამას ჟამსა შინა მოიპოვა ღონე ესე შაჰ-თამაზ: (იგულისხმება ლუარსაბ მეფის მიერ ოსმალთა და ირანელთა ჯარების რამდენჯერმე დამარცხება – ხ. ბ.) ეზრახა ათაბაგს ქაიხოსროს და სთხოვა ცოლად (ქალი – ხ. ბ.) ტომისაგან თვისისა. ხოლო ათაბაგს თვისი არა ჰყვანდა რა, და ენათესავებოდა ოთარი შალიკაშვილი ათაბაგსა, ამისთვის ნებაყოფლობით გამოართუა ქალი და ნეთესავად გაუგზავნა ყაენსა და ყაენმან შეირთო ცოლად.

და რაჟამს შეირთო, ესე იყო საყუარელ ყაენისა, შეიქმნა წყობა შაჰ-თამაზსა და ათაბაგს შუა.“²

ვახუშტი ბატონიშვილი აღნიშნავს: „ამის შემდგომად მოვიდა შასთამაზ, აღიღო ტფილისი ქ-სა ჩ-ფმც (1548 წ. – ხ. ბ.), ქარ. ს-ღვ. და ტფილისიდამ ეზრახა ქაიხოსრო ათაბაგსა, რათა მისცეს ასული თვისი ცოლად. არამედ ათაბაგსა არა ესუა ასული, გარნა მისცა ასული ოთარ შალიკაშვილისა, რამეთუ ნათესავი ახლოს იყო ქაიხოსროსი. ამით დაემზახლა შასთამაზ და მო-

1 სამი სპარსული წყარო XVI საუკუნის საქართველოს შესახებ, სპარსულიდან თარგმნა, შესავალი, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ნანა გელაშვილმა, თბ., 19990, გვ. 21-28.

2 ბერი ეგნატაშვილი, ახალი ქართლის ცხოვრება, პირველი ტექსტი, ქართლის ცხოვრება, II, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბ., 1959, გვ. 364.

სცა ნიჭი დიდძალი ყვენმა ათაბაგსა და წარვიდა სპარსეთად, რამეთუ ჰყო ესე ყვენმან ძმაცვთ საქართველოთა შინა“!

მ. სვანიძეს მიაჩნია, რომ ვახუშტი ბატონიშვილი და ბერი ეგნატაშვილი შაჰ თამაზ I-ის უფროსი ვაჟის – მუჰამადის (შემდგომში ირანის შაჰი – მუჰამად ხოდაბენდე) დედად შალიკაშვილის ქალს ასახელებენ,² თუმცა, როგორც ზემოთ მოტანილი წყაროთა ამონარიდებიდან ვხედავთ, დასახელებული მემკვიდრეები მსგავსს არაფერს წერენ.

სპარსულ ისტორიოგრაფიაში შაჰ თამაზ I-ის მემკვიდრეების საკითხს დაწვრილებით შეეხო ირანელი ისტორიკოსი ნასროლა ფალსაფი, რომელმაც სპარსულ წყაროთა მონაცემებზე დაყრდნობით დეტალურად გადმოგვცა შაჰ თამაზის შვილების თანმიმდევრობა და მათი დედების ვინაობა. როგორც ნ. ფალსაფის ნაშრომიდან ირკვევა, რომ შაჰის მემკვიდრე 12 უფლისწულიდან ოთხის დედა ქართველი ქალები იყვნენ. ესენი არიან: სოლთან ზადე ხანუმი – მეოთხე, შაჰის უსაყვერლესი ვაჟის – ჰეიდარ მირზას დედა; ზაჰრა ბაჯი – მეექვსე ვაჟის – მუსტაფა მირზას და მეცხრე ვაჟის – ალი მირზას დედა; ხანფარვან ხანუმი – მერვე ვაჟის – იმამყული მირზას დედა.³ შაჰ თამაზს 8 ასულთაგან ერთ-ერთი – ზეინაბ ბეგუმი, რომელსაც ადრე ანა ხანუმი რქმევია, ქართველი ქალისგან ჰყავდა.⁴ მ. სვანიძე გამოთქვამს ვარაუდს, რომ ეს ქალი შესაძლოა, ქართულ წყაროებში მოხსენიებული შალიკაშვილის ასული ყოფილიყო.⁵

სამწუხაროდ, არც ქართული და არც სპარსული საისტორიო ნარატივები შაჰ თამაზ I-ის ჰარემში მყოფი ამ ქართველი ქალების ვინაობის შესახებ ინფორმაციას არ გვაწვდიან, არ ვიცით მათი სახელები და გვარები. თუმცა ცნობილია ის, თურა გზის მოხვდნენ ისინი სეფიანთა შაჰის კარზე. ნ. ფალსაფი აღნიშნავს: „შაჰ თამაზის ბევრი ცოლი იმ მხევალთა და ასულთაგანი იყო, რომელთაც გორჯესთანის ამირები სხვა ძღვენთან და საჩუქრებთან ერთად ყოველწლიურად უგზავნიდნენ

1 ბატონიშვილი ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ქართლის ცხოვრება, IV, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბ., 1973, გვ. 715-716.

2 მ. სვანიძე, საქართველო-ოსმალეთის ისტორიის ნარკვევები, თბ. 1990, გვ. 242.

3 ნ. ფალსაფი, შაჰ-აბას პირველის ცხოვრება, შერჩევითი თარგმანი (ფრაგმენტები საქართველოსა და ქართველების შესახებ), სპარსულიდან თარგმნა ლ. ჟორჟოლიანმა, წინასიტყვაობა და შენიშვები დაურთო პროფ. ჯ. სტეფნაძემ, თბ., 2003, გვ. 8-9.

4 ნ. ფალსაფი, შაჰ-აბას პირველის ცხოვრება, გვ. 8.

5 მ. სვანიძე, საქართველო-ოსმალეთის ისტორიის ნარკვევები, გვ. 243.

ხოლომე შაჰს.“¹

საინტერესოა ირანელი ისტორიკოსის მიერ დასახელებული ტერმინები: „მხევალი“ და „ასული.“ ჩვენი აზრით, ეს ტერმინები განასხვავებს შაჰის ჰარემში მოხვედრილ ქალთა სოციალურ მდგომარეობას. „მხევალი“ (ხარჭა) უფრო დაბალი წარმომავლობის მაჩვენებელია, ხოლო „ასული“ დიდებულითა ოჯახების წევრ ქალს უნდა აღნიშნავდეს. თანაც ძალზედ პირობითია ისტორიოგრაფიაში არსებული „შაჰის ცოლის“ სტატუსი. შიიტ მუსლიმს და მათ შორის შაჰსაც მხოლოდ ოთხი ცოლის ყოლის უფლება აქვს. ამავე დროს შეუძლია დროებით ქორწინებაში (სიღე) იყოს ქალთან და ასევე ჰყავდეს განუზომელი რაოდენობის ხარჭა. აქედან გამომდინარე, ყველა ქალი (მათ შორის ქართველებიც), რომლებიც შაჰის შვილების დედები იყვნენ, შაჰის ცოლები ვერ იქნებოდნენ.

შაჰ თამაზ I-ის ჰარემში მყოფ ქართველ ქალთა შორის განსაკუთრებული მდგომარეობა ეკავა ჰაიდარ მირზას – სოლთან ზადე ხანუმს. „ხოლო მეფის ჰარამხანაში სოლთან ზადე ხანუმი, რომელიც ქართველი იყო და შაჰს ყველა სხვა ცოლზე მეტად უყვარდა, ქართველი სარდლების მეშვეობით, რომელთაც სამეფო კარზე დიდი გავლენა და ძალა ჰქონდათ, თავისი ვაჟის გასამეფებლად ნიადაგს ამზადებდა.“² შემდგომში, შაჰის გარდაცვალების საქმეში ერთ-ერთი ეჭვმიტანილი, სწორედ სოლთან ზადე ხანუმი იყო თავის მომხრეებთან ერთად.

საინტერესოა, ვინ იყვნენ შაჰ თამაზის კარზე დანიშნული ეს ქართველი სარდლები? ირანელი ისტორიკოსი შერეფ ხან ბითლისი წერს, რომ ჰეიდარ მირზასა და იმამყული მირზას ბიძები დედის მხრიდან იყვნენ ალიხან გურჯი და ზაალ გურჯი.³ თუმცა როგორც ვიცით, მათ სხვადასხვა დედები ჰყავდათ. ნ. ფალსაფი აღნიშნავს, რომ შაჰ თამაზის შემდეგ ირანში ჰეიდარ მირზას გამეფებას ცდილობდნენ „... მამაცი და სახელოვანი ქართველი სარდლები – ზაალი, დაუდი და თამაზი – იმამყული-მირზას დედის ხანფარვან ხანუმის (უფლისწულ იმამყული მირზას დედა) ძმები. ... იმის გამო, რომ ჰეიდარ მირზას დედაც ქართველი იყო. ეს ქართველი სარდლები ყიზილბაშთა ტომებში სახელგანთქმულნი იყვნენ თავიანთი სიმამაცით და საქართველოში დიდძალ ქონებასა და მამულებს ფლობდნენ.“⁴

1 ნ. ფალსაფი, შაჰ-აბას პირველის ცხოვრება, გვ. 8.

2 ნ. ფალსაფი, შაჰ-აბას პირველის ცხოვრება, გვ. 9.

3 კ. ტაბატაძე, შერეფ-ხან ბითლისელის ცნობები საქართველოს შესახებ, კავკასიურ-ახლო აღმოსავლური კრებული, თბ., 1962, გვ. 175.

4 ნ. ფალსაფი, შაჰ-აბას პირველის ცხოვრება, გვ. 9.

ნ. ფალსაფი ასევე ასახელებს ჰეიდარ მირზას ბიძას – ალიხან გორჯის.¹

წყაროთა მონაცემებით თუ ვიმსჯელებთ, ხანფარვან ხანუმი, რომლის ძმებიც – ზაალი, დაუდი და თამაზი სეფიანთა ირანის სამეფო კარზე დანიშნაურებულები არიან, ქართველ დიდებულთა საგვარეულოს უნდა ეკუთვნოდეს, იგივე შეიძლება ითქვას სოლთან ზადე ხანუმზეც. ის ფაქტი, რომ ამ ქალების ძმები ჰეიდარ მირზას ბიძებად მოიხსენიებიან, შეისაძლოა, რომ მათ (ქალების) ნათესაობაზე მოუთითებდეს.

რაც შეეხება ირანის შაჰთან ქორწინების საკითხს, ქართულ და სპარსულ წყაროთა მონაცემების საფუძველზე, მიგვაჩნია, რომ შაჰ თამაზ I შესაძლოა დაქორწინებული ყოფილიყო შალიკაშვილის ასულზე და სოლთან ზადე ხანუმზე.

ჩვენი კვლევის შედეგები უფრო ვრცლად და დეტალურად იქნება წარმოდგენილი მოხსენებაში.

Khatuna Baidurashvili

K. Kekelidze of Georgia
National centre of the Manuscripts

THE ROLE OF GEORGIAN WOMEN IN THE POLITICAL LIFE OF THE SAFAVIDS (70^S OF THE XVI CENTURY)

Historical sources reveal that dynastic marriages played a major role in normalizing relations between states. Therefore, it can be said that women represented one of the essential segments of diplomacy. The “woman’s issue” became especially active in the 16th century during the relationship of the Safavids with Iran, and it has not lost its relevance even during the subsequent ruling dynasties of Iran. The women of the Georgian royal dynasty and other noble families were supposed to play the role of “mediator” and influence the ongoing political processes as much as possible. This was the purpose of marrying women in Iran or sending them as concubines to the court of the Shah and the great.

About the Georgian women sent to the court of Shah Abbas I

¹ ნ. ფალსაფი, გვ. 10.

(1588-1629), K. Kekelidze writes: "...those women from the families of kings and nobles who were sent to the Shah's court as wives and companions of the wrathful tyrant, either by force or voluntarily. In the latter case, the aim was to avoid them through betrothal and in one way or another soften the heartbreak and anger of this butcher."¹

However, it should be noted that before Shah Abbas I, there were already numerous instances of Georgians 'sending' women to the court of the ruler of Iran. For the first time, Georgian women appeared in the Shah's harem during the reign of the second representative of the Safavid dynasty, Shah Tahmasp I (1524-1576).

The purpose of our research is to clarify the identity of the Georgian women at the court of Tahmasp I (1524-1576) and determine their social status, specifically identifying the form of their marriage with the Shah and the involvement of Georgian princes and their supporters in the political life of Safavid Iran.

At the beginning of the 16th century, the Safavid state was established in Iran, and it soon began pursuing an aggressive policy towards Eastern Georgia. Kizilbashs invaded Kartli for the first time by the order of Shah Ismail I (1501-1524) and raided Tbilisi. Beri Egnatashvili, the third text of the life of Kartli, and Vakhushti Batonishvili do not mention anything about the prisoners taken from here by the Iranians.

About the sending of Georgian captive women to the court of Shah Ismail I, neither the anonymous author who was describing his life nor "Tarikh-e Jahan-ara"² have texts.

The existence of Georgian women in the harem of the Shahs of Safavid Iran is confirmed for the first time during the reign of Shah Tamaz I. It should be noted that information about them in Georgian historical sources is very scarce and, at the same time, unreliable.

After recounting the first campaign of Shah Tamaz I (1524-1576) in Kartli (1541), the monk Egnatashvili writes: 'Kh. B.) Ezrakha Atabag Kaikhosro and asked to marry (a woman - Kh. B.) from his tribe. And Atabag didn't consider him his own, but Otari Shalikashvili was related to Atabag. Therefore, he voluntarily married a woman and sent her to Kaen as a betrothed, and Kaen married her.

When Rajam joined, becoming the source of sustenance, an

1 K. Kekelidze, *Etudes from the history of ancient Georgian literature*, IV, ch. 1957, p. 217

2 Three Persian sources about 16th century Georgia, translated from Persian, introduction, notes and references were added by Nana Gelashvili, Tbilisi, 19990, p. 21-28.

arrangement was made between Shah-Tamaz and Atabag.¹

Vakhushti Batonishvili notes: 'After that, Shastamaz came and took the city of Tiflis (1548 - Kh. B.), Kartli. In Tiflis, Shastamaz intended to marry Kaichosro Atabag and give him his daughter as a wife. However, Atabag did not give Esua's daughter; instead, he gave Garna, the daughter of Otar Shalikashvili, because Kaikhosros was a close relative. Shastamaz was frightened by this, and the powerful Ken Atabag gave him a talent and went to Persia, as this Ken was among his brothers in the house of Georgians.²

M. Svanidze believes that Vakhushti Batonishvili and Beri Egnatashvili name Shalikashvili's woman as the mother of the eldest son of Shah Tamaz I - Muhammad (later Shah of Iran - Muhammad Khodabende),³ However, as we can see from the excerpts of the sources given above, the named chroniclers do not write anything like that.

In Persian historiography, the issue of the heirs of Shah Tamaz I was thoroughly addressed by the Iranian historian Nazura Falsaf. Based on data from Persian sources, Falsaf provided a detailed account of the order of Shah Tamaz's children and the names of their mothers. According to Falsaf, it is evident that the mothers of four out of the 12 princes who succeeded the Shah were Georgian women. They are: Soltan Zadeh Khanum, the fourth, the mother of the Shah's most beloved son, Heydar Mirza; Zahra Baji, the mother of the sixth son, Mustafa Mirza, and the ninth son, Ali Mirza; Khanfarvan Khanum, the mother of the eighth son, Imamquli Mirza.⁴ One of Shah Tamaz's 8 daughters, Zeinab Begum, formerly known as Anna Khanum, was from a Georgian woman.⁵

M. Svanidze suggests that this woman may have been the daughter of Shalikashvili mentioned in Georgian sources.⁶

Unfortunately, neither Georgian nor Persian historical narratives provide information about the identity of the Georgian women in

1 Beri Egnatashvili, *The Life of New Kartli*, the first text, *The Life of Kartli*, II, the text established according to all the main manuscripts of by S. Kaukhchishvili, Tbilisi., 1959, p. 364.

2 Batonishvili Vakhushti, *Description of the Kingdom of Georgia, Life of Kartli*, IV, text established according to all main manuscripts. by Kaukhchishvili, vol., 1973, p. 715-716.

3 M. Svanidze, *Essays on Georgia-Ottoman History*, Tbilisi. 1990, p. 242.

4 N. Falsaf, *the life of Shah-Aba the first*, selective translation (fragments about Georgia and Georgians), translated from Persian by L. Zhorzholian, preface and notes were attached by Prof. J. Stepnadze, Tbilisi., 2003, p. 8-9.

5 N. Falsaf, *Life of Shah-Abba I*, p. 8.

6 M. Svanidze, *Essays on Georgian-Ottoman History*, p. 243.

Shah Tamaz I's harem; we do not know their names and surnames. However, it is known how they came to the court of the Safavid Shah. N. Falsaf notes: "Many of Shah Tamazi's wives were among those concubines and daughters whom the amirs of Gorjestan sent to the Shah every year, along with other gifts and offerings."¹

The terms used by the Iranian historian are interesting: 'Mkheval' and 'Daughter.' In our opinion, these terms may signify the social status of the women in the Shah's harem. 'Mkhevali' (kharcha) could indicate a lower origin, while 'Daughter' might refer to a female member of a noble family. Moreover, the designation of 'Shah's wife' in historiography is highly conditional. A Shiite Muslim, including the Shah, is allowed to have only four wives. Simultaneously, he can enter into a temporary marriage (sighe) with a woman and also have an immeasurable number of concubines. Therefore, all the women, including Georgians, who were mothers of the Shah's children could not be considered his wives.

Haidar Mirza, the son of Soltan Zade Khanum, held a special position among the Georgian women in Shah Tamaz I's harem. 'In the king's harem, Soltan Zade Khanum, who was Georgian and was loved by the Shah more than any other wife, through Georgian commanders who had great influence and power in the royal court, was preparing the ground for her son's reign.'²

Later, one of the suspects in the case of the Shah's death was Soltan Zadeh Khanum along with her supporters. It is interesting to know who these Georgian commanders were that were promoted at the court of Shah Tamazi. The Iranian historian Sheref Khan Bitlis writes that the maternal uncles of Heydar Mirza and Imamquli Mirza were Alikhan Gurji and Zaal Gurji.³ However, as we know, they had different mothers. N. Falsaf notes that after Shah Tamazi, there was an attempt to enthrone Heydar Mirza in Iran. Brave and renowned Georgian commanders—Zaal, Daud, and Tamazi—were mentioned. They were the brothers of Imamquli-Mirza's mother, Khanfarvan Khanum (Mother of Highness Imamquli Mirza). This effort was made because Heydar Mirza's mother was also Georgian. These Georgian commanders were celebrated for their bravery in the Kizilbash tribes and possessed vast properties and estates in Georgia.⁴ N. Falsaf

1 N. Falsaf, *Life of Shah-Abba I*, p. 8.

2 N. Falsaf, *Life of Shah-Abba I*, p. 9.

3 K. Tabatadze, *Information about Georgia by Sheref Khan of Bitlis*, Caucasian-Middle Eastern Collection, Tbilisi, 1962, p. 175.

4 N. Falsaf, *Life of Shah-Abba I*, p. 9.

also names Heydar Mirza's uncle - Alikhan Gorji.¹

Judging by the sources, Khanfarvan Khanum, whose brothers - Zaal, Daud and Tamazi are promoted to the royal court of Safavid Iran, must belong to the family of Georgian nobles, the same can be said about Soltan Zade Khanum. The fact that the brothers of these women are referred to as Heydar Mirza's uncles may indicate their (the women's) kinship.

As for the issue of marriage with the Shah of Iran, based on Georgian and Persian sources, we believe that Shah Tamaz I, might have been married to Shalikashvili's daughter and Soltan Zade Khanum.

The results of our research will be presented in more detailed in the report.

ლიანა სამყურაშვილი

კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს
ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი

ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის არაბული სამედიცინო თხზულებები

ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის აღმოსავლურ ფონდში დაცული არაბული ხელნაწერები დიდი მუსლიმური კულტურის მცირე ნაწილია. ისინი, სპარსულ და თურქულ (ოსმალურ) ხელნაწერებთან ერთდ, სამი სხვადასხვა გეოგრაფიული არეალის კულტურულ-მატერიალური მემკვიდრეობის მასალას წარმოადგენს და შესაბამისად, დაცულია სამ კოლექციაში: **1. ArK კოლექცია** შეიცავს XIX ს-ში თბილისში მცხოვრები კერძო პირის, ირანელი გენერლის, ჯამშიდ არდაშირ აფშარ მაჯდოს-სალტანეს ბიბლიოთეკის ნაწილს. XX საუკუნის 20-იან წლებში მისი კუთვნილი ბიბლიოთეკა საქართველოს სახელმწიფო მუზეუმს გადაეცა, რომელშიც თავმოყრილი იყო არაბული, სპარსული და თურქული ხელნაწერები. მათი მეცნიერული აღწერილობა 1969 წელს დაიბეჭდა.² სპეციალისტთა

1 N. Falsaf, p. 10.

2 კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის არაბულ, თურქულ და სპარსულ ხელნაწერთა კატალოგი (K კოლექცია), შეადგინეს ც. აბულაძემ, რ. გვარამიამ, მ. მამაცაშვილმა, თბ., 1969.

შეფასებით, ხელნაწერები შეკრებილია გამორჩეული ინტერესებითა და ლიტერატურული გემოვნებით. 2. მეორე კოლექციაში შუააზიური წარმოშობის არაბული ხელნაწერებია (ArAC) გაერთიანებული, რომლებიც ამავე კოლექციის სპარსულ და თურქულ ხელნაწერებთან ერთად, XX საუკუნის 30-იან წლებში მოძიებულ იქნა ცენტრალური აზიის ძველ კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრებში და ეს ხელნაწერი მასალა 1935 წელს გადაეცა სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერთა განყოფილებას, რომლის ბაზაზეც 1958 წელს დაარსდა ხელნაწერთა ინსტიტუტი (ამჟამად ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი). ArAC კოლექციის ხელნაწერთა აღწერილობა დაიბეჭდა 2015 წელს.¹ 3. მესამე, ადგილობრივი კოლექცია (ArL) წინა კოლექციებისგან განსხვავებით მზარდია. მასში გაერთიანებულია ადგილობრივ, კავკასიის ტერიტორიაზე მოძიებული ხელნაწერი წიგნები, კერძოდ, საქართველოსა და მისი მოსაზღვრე ქვეყნების -- თურქეთის პროვინციებიდან, აზერბაიჯანისა და დაღესტნის რეგიონებიდან. ადგილობრივი კოლექციის ხელნაწერთა აღწერილობა ორ ნაკვეთად გამოიცა. პირველში გაერთიანებულია სამხრეთ კავკასიაში მოძიებული ხელნაწერები,² ხოლო მეორეში -- დაღესტნური წარმოშობის ხელნაწერი მასალა.³

სამივე კოლექციის ხელნაწერთა ქრონოლოგიური საზღვრები XIII-XIX საუკუნეებია. შინაარსობრივი თვალსაზრისით ისინი ყველა იმ დარგის თხზულებებს შეიცავენ, რომლებიც შუა საუკუნეების არაბული ლიტერატურაში პრიორიტეტული იყო. ესენია საღვთისმეტყველო და სასწავლო-სქოლასტიკური დარგები, ფილოსოფია, სამართალი, ლოგიკა, საბუნებისმეტყველო-სამეცნიერო, სამედიცინო და სხვ.

ჩვენი მიზანია, წარმოვადგინოთ სამივე კოლექციაში დაცული სამედიცინო დარგის თხზულებები, რომელთა შორის არის შუა საუკუნეების ცნობილი ავტორების შრომათა

1 Арабские рукописи Грузинского Национального Центра Рукописей им. К. Кекелидзе, Краткий каталог (Коллекция AC), составители: Р.В. Гварамиа, Н.Г. Канчавели, Л.В. Самкурашвили, Тб. 2015.

2 კ. კვეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის არაბულ ხელნაწერთა კატალოგი, (L კოლექციის I ნაკვეთი), შეადგინეს რ. გვარამიამ, ლ. მამულიამ, ნ. ყანჩაველმა, თბ., 1978.

3 Каталог арабских рукописей Института рукописей им. К.С. Кекелидзе, (Коллекция L -- Выпуск II), Составители: Р.В. Гварамиа, Н.Г. Канчавели, Л.И. Мамулия, Л.В. Самкурашвили, Тб. 2002.

ადრეული ნუსხები, ასევე, უცნობი ავტორების, ზოგჯერ კი უავტორო, ანონიმური ნაშრომები; დავადგინოთ მათი ადგილი მედიცინის ისტორიის ზოგად ქრილში და განვსაზღვროთ როდის და როგორ აისახა ისინი ქართულ ისტორიულ სამედიცინო მწერლობაში.

ცნობილი ავტორის, მუჰამად იბნ ზაქარია არ-რაზის სამედიცინო თხზულების, „მანსუხის მედიცინა“ – „ქითაბ ად-მანსუხ ფი 'იღმი გ-გიბბ“, პირველი ნაწილია დაცული შუააზიური კოლექციის სამედიცინო კრებულში ArAC 513, 133r-292r ფურცლებზე, რომელიც კრებულში მეორე თხზულებად არის წარმოადგენილი. პალეოგრაფიული ნიშნების მიხედვით გადანერილი ჩანს XIV-XV საუკუნეებში. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ კრებულის დანარჩენი თხზულებები გადანერილია განსხვავებული ხარისხის აღმოსავლურ ქალაქებზე და დათარიღებულია 1214/1800 წლით. ამდენად, სამედიცინო კრებული ArAC 513 კონვოლუტს წარმოადგენს და თარიღდება XIV-XV საუკუნეებითა და 1214/1800 წლით.

მუჰამად იბნ ზაქარია არ-რაზი (313/925წ.), ევროპულ წყაროებში ცნობილი რაზესის - Razes სახელით, პირველი მუსლიმი ექიმი იყო, რომლის შრომები „ქითაბ ად-ჰავი“ (Continens-ყოვლისმომცველი) და „მანსუხის მედიცინის წიგნი“, ადრე შუა საუკუნეებიდანვე პოპულარული გახდა. სამეცნიერო ლიტერატურის მიხედვით, მისი შრომები აერთიანებდა მრავალ ათეულ მონოგრაფიასა და ტრაქტატს, ანტიკურ, ბიზანტიურ, ინდოელ და სირიელ ავტორთა შრომებს. მისი ნაშრომები ევროპაში ლათინური თარგმანებით ვრცელდებოდა.

არ-რაზის სამედიცინო თხზულებების საფუძველზე ქმნიდნენ თავის სამედიცინო ნაშრომებს შემდგომი საუკუნეების ავტორები. ასეთია მაჰმუდ იბნ დია' ად-დინ ილიას აშ-შირაზის (730-1330 წ.) თხზულება „ად-ჰავი“ მკუხნადობის მეცნიეხებაში – „ად-ჰავი ფი 'იღმი ე-თადავი“, რომლის ორი ნუსხაა დაცული არაბულ ხელნაწერთა კოლექციებში: ArK 5 (XVI ს., 385 ფ.) და ადგილობრივი კოლექციის ArL 240 (XVIII ს., 96 ფ.).

არაბულ მედიცინაში ცნობილი ავტორის, აბუ 'ალი იბნ სინას (428/1037 წ.) ხუთი წიგნისგან შედგენილ სამედიცინო ენციკლოპედიას, „მედიცინის კანონი“ -- „კანუნ ფი გ-გიბბ“, გამორჩეული ადგილი უკავია არაბულ სამედიცინო ლიტერატურაში. მას მეორენაირად „სამედიცინო ბიბლიასაც“ უწოდებენ. ევროპელი მკითხველი იბნ სინას (ავიცენა - Avicenna) ნაშრომს 1114-1187 წლების ლათინური თარგმანით გაეცნო და მომდევნო

6 საუკუნის განმავლობაში გამოიყენებოდა ძირითად სახელმძღვანელოდ მედიცინაში. ასეთი პოპულარული თხზულების ხუთი წიგნიდან ჩვენს კოლექციებში სამი წიგნია დაცული, რომლებიც წარმოდგენილია ორ ნუსხაში. მათგან ერთი, შუააზიური კოლექციის ხელნაწერია ArAC 655 (XIII-XIV სს., 103 ფ.), რომელიც შეიცავს თხზულების I წიგნს, ხოლო K კოლექციის ხელნაწერში ArK 9 (XIV ს., 160 ფ.) დაცულია თხზულების IV და V წიგნები.

იბნ სინას „მედიცინის კანონის“ პოპულარობის მაჩვენებელია ის ფაქტი, რომ მის საფუძველზე შეიქმნა სხვადასხვა ავტორების მიერ მოკლე რედაქციები და ასევე, მრავალი კომენტარული ნაშრომი, რომლებიც არაბულ სამედიცინო ლიტერატურაშია ცნობილი. მათგან, ჩვენს ფონდებში დაცულია „მედიცინის კანონის“ მოკლე რედაქცია -- „მუჭაბ ად-კანუნ ფი გ-გიბბ“, რომლის ავტორია იბნ ნაფის ‘ალა’უ დ-დინ იბნ აბი ალ-ჰაბამ ალ-კარში (687/1288 წ.). აღნიშნული თხზულების სამი ნუსხაა დაცული შუააზიურ კოლექციაში: ხელნაწერი კრებულები ArAC 568, 17r-133r (1209/1794-1795 წწ.) და ArAC 513, 1v-132r (1214/1800), ხელნაწერი ArAC 275, 184r-251v (XVIII ს.).

იბნ სინას „მედიცინის კანონის“ შემოკლებული, გამოკრებილი რედაქციის კიდევ ერთი თხზულებაა არაბულ სამედიცინო ლიტერატურაში ცნობილი. მისი ავტორია მაჰმუდ იბნ ‘ამრ ალ-ჩაღმინი (745/1344 წ.). თხზულებას „მოკლე კანუნი“ -- „კანუნჩა ფი გ-გიბბ“ ეწოდება, რომლის ერთი ნუსხა დაცულია K კოლექციის ხელნაწერში ArK 16 (1270/1854 წ., 66 ფ.). იგი 10 სტატიისაგან (მაკადა) შედგება, რომლებიც, თავის მხრივ, დაყოფილია მცირე ქვეთავებად -- „ფასდ“-ებად. ანალოგიური შედგენილობისა და შინაარსის თხზულება დაცულია შუააზიური კოლექციის ხელნაწერში ArAC 280, (XVIII-XIX სს., 45 ფ.), რომლსაც განსხვავებული სათაური აქვს: „მუხთასახ, მუშთამად ფი სინა’ათ ‘ადა ზუბდათ, მა იაჯიბუ ისთიჰდახათ ფი სინა’ათ აგ-გიბბი“ -- „მოკლე გადმოცემული [სამკუხნადო მასაღები], ხაც უნდა მომზადდეს მკუხნადობისთვის“. ამ თხზულების ავტორად სამეცნიერო ლიტერატურაში (ბროკელმანი) დასახელებულია მუჰამად იბნ მუჰამად აბუ ნასრ ალ-ხუჯანდი, რომელსაც აღნიშნული თხზულება დაუნერია 703-716/1303-1316 წლებში. ასეთ შემთხვევაში აღმწერელს ევალება ორივე ნუსხის მონაცემების მითითება ბიბლიოგრაფიაში.

„მოკლე კანონის“ კომენტარული თხზულება -- „შაჰჰუ კანუნჩა ფი გ-გიბბ“ დაცულია შუააზიურ ხელნაწერში ArAC

708, (938/1531 წ., 180 ფ.), რომლის ავტორად დასახელებულია მუჰამად იუსუფ იბნ 'აბდ ალ-ლატიფ იბნ დავუდ იუსუფ იბნ სულაიმან ჰაქიმ შამსუ დ-დინ 'არაბ აშ-შამი-ს. თხზულების წინასიტყვაობასა და კოლოფონში მოცემულია ინფორმაცია მისი შექმნისა და გავრცელების შესახებ შუა აზიის ქალაქების სამეცნიერო წრეებში. აღნიშნულია, რომ ავტორს თხზულება გადაუთეთრებია სამარყანდში. ძირითად საცნობარო ლიტერატურაში ეს თხზულება და მისი ავტორი არ იძებნება. ამდენად, შუააზიური კოლექციის ხელნაწერი ArAC 708, 938/1531 წ., 180 ფ. უნიკალურ ნუსხას წარმოადგენს და მისი სახით არაბულ სამედიცინო ლიტერატურაში გამოვლინდა ახალი დღემდე უცნობი ნაშრომი.

შუააზიურ კოლექციაში დაცულია რამდენიმე ანონიმური სამედიცინო თხზულება და ფრაგმენტული ნუსხა. ხელნაწერ კრებულში ArAC 275 (XVIII ს.), 2r-183v ფურცლებზე მოთავსებული თავ-ბოლონაკლული სამედიცინო ნაშრომის, „ახაბუდი მედიცინის წიგნი“ -- „ქითაბუ გიბბი 'ახაბი“, სათაური მიწერილია ხელნაწერის საცავ ფურცელზე. იგი ცხრილის ფორმით არის შედგენილი, რომელიც ცალკეულ სწეულებათა მკურნალობას ეხება. ავტორის სახელი დაზიანებულია და იკითხება მხოლოდ: აშ-შაიხ ჰაბა ... აბუ ლ-ჰასან. ამავე კოლექციის ხელნაწერში ArAC 542 (757/1356 წ., 84 ფ.) დაცულია უცნობი ავტორის სამედიცინო ნაშრომი: „ქითაბ ფი გ-გიბბ“. ზემოთ განხილული ხელნაწერი კრებულის ArAC 513, 293r-298v ფურცლებზე დაცულია სამედიცინო შინაარსის თავ-ბოლონაკლული ფრაგმენტი „კიგ'ათ მინ ხისადათ ად-ადვიათი“, გადაწერილი 1214/1800 წელს.

უნიკალურ ნუსხად ითვლება K კოლექციის ხელნაწერი ArK 14 (XIX ს., 191 ფ.). მასში დაცული თხზულება, „ნახკვევები მედიცინის შესახებ“ – „ად-ღავამი/ ფი გ-გიბბ“ და მისი ავტორი, იბნ 'ალი ასლარ ატ-ტაბიბ ალ-ლაბიბ არ დასტურდება საცნობარო ლიტერატურაში. წინასიტყვაობის თანახმად, ავტორს ნაშრომი საგანგებო დავალებით დაუწერია მუჰამად შაჰ კაჯარის მეფობის დროს და ეხება მედიცინაში ხმარებული ტერმინების განმარტებას, მათ მნიშვნელობასა და საჭიროებას პრაქტიკისათვის და სწეულებათა შესწავლისათვის. საკითხების განხილვისას ავტორს მოჰყავს ციტატები გალენის, ჰიპოკრატეს, არისტოტელეს, პლატონის და სხვ. ავტორთა შრომებიდან. ნაშრომი 20 ნაკვეთს შეიცავს.

ამრიგად, როგორც გაირკვა, არაბულ ხელნაწერთა კოლექციებში, ცნობილ ავტორთა სამედიცინო თხზულებების

ადრეული ნუსხების გვერდით, წარმოდგენილია რამდენიმე უცნობი ავტორის საინტერესო და იშვიათი ნაშრომი, რომლებიც არ ფიქსირდება სამეცნიერო ლიტერატურაში და მათი სახით არაბულ სამედიცინო ლიტერატურას ემატება დღემდე უცნობი ახალი სამედიცინო შრომები.

სამეცნიერო ლიტერატურიდან ცნობილია, რომ ძველი ქართული სამედიცინო მწერლობა, რომელიც ეფუძნებოდა მრავალსაუკუნოვან ეროვნულ ტრადიციას, ასევე გადმოსცემდა ელინურ-ბიზანტიურ და მუსლიმურ-აღმოსავლურ კულტურათა მიღწევებს.

ჩვენამდე მოღწეულ შუა საუკუნეების ქართულ სამედიცინო ძეგლებში დამონშებულია ხშირად ცნობილი არაბი ავტორები და მათი თხზულებები, რაც ადასტურებს ლიტერატურულ წყაროდ მათ გამოყენებას. მაგალითად, X-XI სს. სამედიცინო თხზულებაში „უსწოხო კაჰაბადინი“ მუჰამად იბნ ზაქარია არ-რაზი არაერთგზის მოიხსენიება გაქართულებული სახელით -- მაჰმად ზაქარიაშვილი; მოხსენიებულია მისი ნაშრომი -- „მანსუხის მედიცინა“. ხოლო XIII საუკუნის ხოჯაყოფილის თარგმნილ „წიგნი სააქიმოი“-ში დასტურდება გასხვავებული ფორმით -- მუჰამად ზაქარიაისძე, იბნ სინა კი -- სინაისძე. XII ს. „ხუაჰაზმშაჰის საუნჯის“ ქახთუდი ვეხსიაში დამონშებულია ზაქარიაშვილის „ჰავის წიგნი“. რაც შეეხება თხზულებაში დაფიქსირებულ ისმაილ ალ-ჯურჯანის (XII ს.) სამედიცინო შრომას „ხუაჰაზმშაჰის დახიხა“ – „ხუაჰაზმშაჰის საუნჯე“, იგი თავნაკლული შრომის სათაურად იქნა გამოტანილი გამოცემაში: „ხუაჰაზმშაჰის საუნჯის“ ქახთუდი ვეხსია და სხვ.

ამდენად, მოტანილი მაგალითების მცირე რაოდენობა არაბულ სამედიცინო თხზულებათა ლიტერატურულ წყაროდ გამოყენების შემთხვევებს ადასტურებს ქართულ სამედიცინო ძეგლებში, რაც მოცემულ საუკუნეებში არაბული ენის საერთაშორისო სტატუსით იყო განპირობებული.

მეცნიერებას ჭეშმარიტად, არ აქვს საზღვრები და მას ვერ შეზღუდავს სარწმუნოებრივი და პოლიტიკური ბარიერები.

ARABIC MEDICAL WRITINGS OF THE NATIONAL MANUSCRIPT CENTER

The Arabic manuscripts housed in the Oriental Collection of the National Manuscript Center represent a small yet significant part of the vast Muslim culture. Alongside Persian and Turkish (Ottoman) manuscripts, they constitute the material cultural heritage of three distinct geographical areas and are accordingly preserved in three collections:

The ArK collection consists of manuscripts once owned by Jamshid Ardashir Afshar Majdos, an Iranian general who resided in Tbilisi during the 19th century. This collection was originally part of the Saltane library. In the 1920s, the library was transferred to the State Museum of Georgia, where a compilation of Arabic, Persian, and Turkish manuscripts was curated. The scientific description of these manuscripts was subsequently published in 1969.¹ According to experts, the manuscripts in this collection were gathered with outstanding interests and literary taste.

The second collection comprises Arabic manuscripts of Central Asian origin (ArAC). Alongside Persian and Turkish manuscripts from the same collection, these were discovered in the old cultural and educational centers of Central Asia in the 1930s. The manuscript material was subsequently transferred to the State Museum of Georgia, named after Simon Janashia, in 1935. The Manuscripts Department, which later became the Institute of Manuscripts (now the National Center of Manuscripts), was founded in 1958 based on this collection. A comprehensive description of the manuscripts in the ArAC collection was published in 2015.²

Thirdly, the local collection (ArL) is expanding, unlike the previous collections. It encompasses handwritten books discovered locally on the territory of the Caucasus, specifically from the regions

1 The catalog of Arabic, Turkish and Persian manuscripts of the Korneli Kekelidze Institute of Manuscripts (K collection) was compiled by c. Abuladze, R. Gvaramiyam, M. Mamatsashvili, Tbilisi., 1969.

2 Арабские рукописи Грузинского Национального Центра Рукописей им. К. Кекелидзе, Краткий каталог (Коллекция АС), составители: Р.В. Гварамия, Н.Г. Канчавели, Л.В. Самкурашвили, Тб. 2015.

of Georgia and its neighboring countries such as Turkish provinces, Azerbaijan, and Dagestan. The description of the manuscripts in the local collection was published in two parts. The first part includes manuscripts found in the South Caucasus,¹ and in the second - handwritten material of Dagestan origin.²

The chronological boundaries of the manuscripts in all three collections span the XIII-XIX centuries. In terms of content, they encompass works from various fields that held priority in Arabic literature during the Middle Ages. These fields include theology, education, scholasticism, philosophy, law, logic, natural sciences, medicine, and more.

Our goal is to present the medical works preserved in all three collections, including early lists of works by renowned authors of the Middle Ages, anonymous works by unknown authors, and sometimes works without authors. We aim to determine their place in the broader history of medicine and ascertain when and how they were reflected in Georgian historical medical writing.

The first part of the medical works by the famous author Muhammad Ibn Zakariya ar-Razi, titled 'Mansur's Medicine' - 'Kitab al-Mansur fi 'ilmi t-tibb,' is preserved in the medical collection of the Central Asiatic collection on pages ArAC 513, 133r-292r. According to paleographic signs, it seems to have been copied in the XIV-XV centuries. It's noteworthy that the rest of the works in the collection were copied on oriental paper of different quality and dated to 1214/1800. Thus, the medical collection ArAC consists of 513 convolutes and dates back to the 14th-15th centuries and 1214/1800.

Muhammad ibn Zakariya ar-Razi (313/925), known in European sources as Razes, was the first Muslim physician. His works, such as 'Kitab al-Havi' (Continence-Comprehensive) and 'Mansur's Book of Medicine,' became popular since the early Middle Ages. According to scientific literature, his works included dozens of monographs and treatises, incorporating knowledge from ancient, Byzantine, Indian, and Syrian authors. His works were disseminated in Europe through Latin translations.

Authors of later centuries built upon Ar-Razi's medical writings.

1 K. The catalog of Arabic manuscripts of the Kekelidze Institute of Manuscripts (Part I of the L collection) was compiled by R. Gvaramiam, L. Mamuliam, N. Kanchaveli, Tbilisi, 1978.

2 Каталог арабских рукописей Института рукописей им. К.С. Кекелидзе, (Коллекция L -- Выпуск II), Составители: Р.В. Гварамия, Н.Г. Канчавели, Л.И. Мамулия, Л.В. Самкурашвили, Тб. 2002.

An example is the work of Mahmud ibn Diya' ad-Din Ilyas ash-Shirazi (730-1330 AD) on the science of treatment, titled 'Al-Hawi' - 'Al-Hawi fi 'ilmi l-Tadawi.' Two copies of this work are preserved in Arabic manuscript collections: ArK 5 (XVI c., 385 f.) and ArL 240 of the local collection (XVIII c., 96 f.).

The five-book medical encyclopedia by the renowned figure in Arab medicine, Abu Ali Ibn Sina (428/1037 AD), titled 'The Law of Medicine'—'Qanun fi t-Tibb,' holds a prominent place in Arabic medical literature. It is also referred to as the 'medical bible' in another context. The European reader became acquainted with the work of Ibn Sina (Avicenna) through the Latin translation from 1114-1187, and for the next six centuries, it served as the primary guide in medicine. Of the five books in this widely popular work, three books are preserved in our collections, presented in two lists. One of them is the Central Asian collection manuscript ArAC 655 (XIII-XIV centuries, 103 pages), containing Book I, while the K collection manuscript ArK 9 (XIV century, 160 pages) preserves Books IV and V.

An indication of the popularity of Ibn Sina's 'Law of Medicine' is the fact that it has served as the basis for concise editions by various authors and has been the subject of numerous commentaries in Arabic medical literature. Among these, a concise edition of the 'Law of Medicine'—'Mujaz al-Qanun fi t-Tibb,' authored by Ibn Nafi 'Ala'u d-Din Ibn Abi al-Hazam al-Karshi (687/1288), is preserved in our collections. Three lists of this work are found in the Central Asian collection: manuscript collections ArAC 568, 17r-133r (1209/1794-1795), ArAC 513, 1v-132r (1214/1800), and manuscript ArAC 275, 184r-251v (XVIII century).

Another work stemming from the condensed collected edition of Ibn Sina's 'Law of Medicine' is known in Arabic medical literature. Its author is Mahmud Ibn 'Amr al-Chaghmini (745/1344 AD). The work is titled 'Short Law'—'Kanuncha fi t-Tibb,' and one list of it is preserved in the manuscript ArK 16 of the K collection (1270/1854, 66 f.). It comprises 10 articles (makala), further divided into small subsections called 'fasl.' A similar essay in composition and content is preserved in the Central Asian collection manuscript ArAC 280 (XVIII-XIX centuries, 45 f.), under a different title: 'Mukhtasar, mushtamal fi Sina'at 'ala Zubdat, ma yajibu istihdarat fi Sina'at at-Tibbi'—'briefly presented [medicinal materials] that should be prepared for treatment.' Muhammad ibn Muhammad Abu Nasr al-Khujandi, who wrote this work in 703-716/1303-1316, is named as the author in

scientific literature (Brockelmann). In such a case, the describer is obliged to indicate the data of both lists in the bibliography.

spiritual, and practical dimensions. This paper explores the integration of animals into magical practices in ancient societies, emphasizing the intricate relationships between humans and the animal kingdom in the pursuit of mystical understanding and power. As we uncover the mysteries of the past, the role of animals in ancient magic remains a fascinating area for scholarly exploration.

BIBLIOGRAPHY

- Bloomfield M., Cerberus, The Dog Of Hades, The Monist, Oxford University Pres, Vol. 14, No. 4 1904, pp. 523-540.
- Chalendar V., Animals and Their Relation to Gods, Humans and Things in the Ancient World, Wiesbaden: "Springer Fachmedien", 2019, 487p.
- Collins B. J., p.162. Pigs At The Gate: Hittite Pig Sacrifice In Its Eastern Mediterranean Context, Journal of Ancient Near Eastern Religions, vol. 6 pp.155-188.
- Collins B. J., A History Of The Animal World In The Ancient Near East, Brill, Leiden, Boston, Koln, 2002, 620 p.
- Frazer J.G., The Golden Bough, 1894, New York and London, Macmillan and Co., vol, 1, p.376.
- Golec-Islam J., The Food of Gods and Humans in the Hittite World, BA Thesis in Archaeology, Warsaw, 2016, 81 p.
- Marcuson H., "Word Of The Old Woman": Studies In Female Ritual Practice In Hittite Anatolia, Chicago, Illinois, 2016, 576 p.
- Meyer M., Mirecki P., Ancient Magic and Ritual Power, Religions in Graeco-Roman World (Reprint) vol. 29, Brill Academic Publishers, Inc., Boston, Leiden, 2001, 476 p.
- Mouton A., Hittite Witchcraft, Acts of the VIIth International Congress of Hittitology, vol.2, 2010, pp.515-528.
- Wallis Budge E.A., Amulets and Superstitions, 1978, Dover Publications, 1978, p. 543.

მონიკა მირზოიანი

აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტი
სომხეთის რესპუბლიკის მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქალღი, კატა და ღორი ხეთების რწმენა-წარმოდგენებში

მაგია, თავისი მრავალმხრივი ფორმებით, უძველესი დროიდან იყო ადამიანის კულტურის განუყოფელი ნაწილი. პრაქტი-

კაში გამოყენებულ სხვადასხვა ელემენტებს შორის, რომლებიც „მაგებს“ გააჩნდათ, ცხოველებს განსაკუთრებული როლი უკავია. ეს ნაშრომი მიზნად ისახავს გამოიკვლიოს, თუ რა გზებით იყენებდნენ ცხოველებს ძველ სამყაროში, ჯადოსნურ რიტუალებში, ცერემონიებსა და რწმენაში, არქეოლოგიური აღმოჩენების, ლიტერატურული წყაროების და იკონოგრაფიული წარმოდგენების მტკიცებულებებზე დაყრდნობით.

ცხოველებმა გადამწყვეტი როლი ითამაშეს უძველესი მაგიური სისტემების სიმბოლიზებაში. ცხოველთა სხვადასხვა სახეობა დაკავშირებული იყო კონკრეტულ ღვთაებებთან, ელემენტებთან ან ციურ სხეულებთან, რაც ასახავს ბუნებრივი და ზებუნებრივი სამყაროს ურთიერთკავშირს. მაგალითად, ძველ ეგვიპტურ მაგიაში, კატა განასახიერებდა მცველს და აღნიშნავდა ნაყოფიერებასაც, რომელსაც ხშირად მოიხსენიებდნენ შელოცვებში და ამულეტებში. ანალოგიურად, ძველ ბერძნულ და რომაულ ტრადიციებში, ბუ უკავშირდებოდა სიბრძნესა და წინდახედულობას და იგი მნიშვნელოვანი და დამახასიათებელია მკითხაობის პრაქტიკაში.

ძველ საზოგადოებებში, მრავალგან გავრცელდა რწმენა, ცხოველთა სულიერებასთან დაკავშირებით. ცხოველები ითვლებოდნენ შუამავლებად, ადამიანებსა და ღვთაებას შორის, მათ გააჩნდათ უნიკალური თვისებები, რომლებიც ხელს უწყობდა კომუნიკაციას ზებუნებრივ ძალებთან. ძირძველ კულტურებში, საკმაოდ ხშირად, შამანისტური პრაქტიკა მოიცავდა ცხოველთა სულების გამოძახებას გონიერების, განკურნების ან თავდაცვის მისაღებად. ცხოველების ტოტემური მნიშვნელობა, ადგილობრივ ამერიკელ ტომებში, არის კიდევ ერთი მაგალითი სულიერი კავშირებისა, უძველეს კულტურებსა და ცხოველთა სამეფოს შორის.

შავი ფერი, მნიშვნელოვან, მაგიურ როლს ასრულებდა წვიმის გამოძახებაში. ჩვეულებრივ, მსხვერპლად სწირავდნენ შავ ცხვარს, ძროხას და ღორს, ან წყალში აგდებდნენ შავ საგანს. გარდა ამისა, „მაგიური“ პრაქტიკა ასევე მოიცავდა შავ ტანსაცმელს და შავ საკვებს. ტომის ჯადოქარი ჩაიცვამდა შავ ტანსაცმელს, მიირთმევდა მუქი ფერის საკვებს და აანთებდა ნახშირს, იმ რწმენით, რომ ასეთი მაგიური პრაქტიკა ღრუბლებსა და წვიმას გამოიწვევდა¹.

ოდესღაც ითვლებოდა, რომ შავი ძაღლის ნაღველი ამულე-

1 Frazer J.G., The Golden Bough, 1894, New York and London, Macmillan and Co., vol. 1, p.23.

ტურ თვისებებს ფლობდა საყოფაცხოვრებო ნივთებისთვის, თუ იგი გაინმინდებოდა ან შეიბოლებოდა არსობრივად¹. ასურელები, ტრადიციებისამებრ სხვადასხვა ფერის ძაღლის ქანდაკებებს, თავიანთი სახლების გარშემო მარხავდნენ. ითვლებოდა, რომ ეს პრაქტიკა ხელს უშლის ბოროტი სულების შემოსვლას ძაღლის სულების დამცავი ძალების გათავისუფლებით².

„მაგიურ“ პრაქტიკებში, ისტორიულად, ცხოველებს სამკურნალოდაც იყენებდნენ. ამის ერთ-ერთი მაგალითია პოპულარული ხეთური რიტუალი „ზუვი“, რომელშიც ცხოველებს, როგორებიც არიან - ძაღლები, ლეკვები, ვერძი, ხარი და თხა, იყენებდნენ ქექა-ქუხილის ღმერთისთვის, რომელიც კურნავდა ავადმყოფებს. ითვლებოდა, რომ ამ ცხოველებს, ღმერთების მიერ, ადამიანებზე მიყენებული დაავადებების განკურნებაც კი შეეძლოთ³.

„ჰებატარაკის რიტუალში“, ძაღლის ექსკრემენტს, ურევდნენ ქერის ფქვილსა და სხვა მცენარეებს. ამ ნარევს ასხამდნენ ორთქლის სახით ავადმყოფის გასაწმენდად. ”მე გამოვდევენ ძაღლის სუნი თქვენგან, მე დავწვი, შევბოლეთ როგორც, ძაღლის „საღპები“ (ერთეულში დუბლიკატში), ძაღლის ხორცი და ძაღლის ძვლები“⁴.

სხვა ავტორს, ზემოთ აღწერილი რიტუალის განსხვავებული ვერსია აქვს. მათ შექმნეს პასტა, რომელიც შეიცავდა საკმეველს, თხის თმას, თიხას და ძაღლის ექსკრემენტს, რომელიც პაციენტის სხეულს უნდა შეზავებოდა. გარდა ამისა, აკეთებდნენ ორ ფიგურას და ათავსებდნენ პაციენტის მხრებზე⁵.

ცხოველების რიტუალური დაკრძალვა გავრცელებული პრაქტიკა იყო ძველ სამყაროში, განსაკუთრებით ძველ ეგვიპტეში, სადაც აღმოჩენილია მუმიფიცირებული ცხოველების მრავალი სამარხი, მათ შორის - კატები, ნიანგები, ფრინველები და პირუტყვი. ეს ფენომენი ფართოდ იყო გავრცელებული და ძალიან ღირებული უშუალო რეგიონში, რაც მიუთითებს მის

1 Wallis Budge E.A., Amulets and Superstitions, 1978, <http://www.doverpublications.com>, 1978, p. 12.

2 IBID. p. 99.

3 Chalendar V., Animals and Their Relation to Gods, Humans and Things in the Ancient World, Wiesbaden: "Springer Fachmedien", 2019, p 85.

4 Mouton A., Hittite Witchcraft, Acts of the VIIth International Congress of Hittitology, vol.2, 2010, p. 522.

5 Marcuson H., "Word Of The Old Woman": Studies In Female Ritual Practice In Hittite Anatolia, Chicago, Illinois, 2016, p. 211.

კულტურულ და რელიგიურ მნიშვნელობაზე¹. ამ პრაქტიკის მოტივაცია იყო რწმენა, რომ გარდაცვლილი მოითხოვდა მათ ნივთებსა და ცხოველებს სიკვდილის შემდეგ სიცოცხლის გასაგრძელებლად. აღსანიშნავია, რომ ხეთები ძაღლის ხორცის ჭამისგან თავს იკავებდნენ².

მესოპოტამიურ მაგიაში, „ლამაშტუს“ ფიგურა უკავშირდებოდა 15 განსხვავებულ ცხოველს, მათ შორის - ძაღლს, მგელს, ლომს, ლეოპარდს და სხვებს. აღსანიშნავია, რომ ძაღლი ამ კონტექსტში ნეგატიურად არის გამოსახული³.

ბერძნულ მითოლოგიაში, სამთავიანი მცველი, სახელად ცერბერი, ელოდა მიცვალებულებს მდინარე სტიქსის ნაპირზე მათი გარდაცვალების შემდეგ⁴.

ცხოველების შესახებ ხეთების წარმოდგენების შედარებისას ვხედავთ, რომ ღორი, ძაღლის იდეისგან განსხვავებით, უწმინდურ ცხოველად ითვლებოდა. ბევრი მსხვერპლშენიერვის რიტუალი დაკავშირებულია ღორთან, ღორის ხორცსაც მიირთმევდნენ, მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ მას მიირთმევდნენ დაბალი კლასის ადამიანები, რადგან მათაც უწმინდურად თვლიდნენ⁵.

ღორის მსხვერპლშენიერვის ერთ-ერთი რიტუალი იყო „კულივისნა“, როდესაც ხეთების დედოფალი პირადად მონაწილეობდა მსხვერპლშენიერვაში. შემდეგი მსხვერპლშენიერვა დედობისა და ნაყოფიერების ქალღმერთ „ჰანაჰანას“ ეძღვნებოდა, რიტუალი ორ დღეს გრძელდებოდა, რიტუალის დროს ღორის ხორცს ჭრიდნენ. ამ მსხვერპლშენიერვაში, მთავარი შეწმინდველი იყო დედოფალი⁶.

მაგიურ პრაქტიკაში, ცხოველებს ხშირად თანამგზავრებად იყენებდნენ, მათ სიმბოლურ და სულიერ როლებთან ერთად. უძველესი ტექსტები და არტეფაქტები ასახავს ცხოველთა ნაწილების, მათ შორის ძვლების, ბუმბულისა და ტყა-

1 Collins B. J., A History Of The Animal World In The Ancient Near East, Brill, Leiden, Boston, Koln, 2002, pp.8-9.

2 Meyer M., Mirecki P., Ancient Magic and Ritual Power, Religions in Graeco-Roman World (Reprint) vol. 29, Brill Academic Publishers, Inc., Boston, Leiden, 2001, p. 88.

3 Chalendar V., Animals and Their Relation to Gods, Humans and Things in the Ancient World, Wiesbaden: "Springer Fachmedien", 2019, p 6.

4 Bloomfield M., Cerberus, The Dog Of Hades, The Monist, Oxford University Pres, Vol. 14, No. 4 1904, p. 524.

5 Golec-Islam J., The Food of Gods and Humans in the Hittite World, BA Thesis in Archaeology, Warsaw, 2016, p.38.

6 Collins B. J., p.162. Pigs At The Gate: Hittite Pig Sacrifice In Its Eastern Mediterranean Context, Journal of Ancient Near Eastern Religions, vol. 6 p.162.

ვის გამოყენებას, სხვადასხვა მონაგონ ამბებში, თილისმებსა და სამკაულებში. მრავალი უძველესი მაგიური სისტემა იყენებდა სიმპათიკური მაგიის კონცეფციას, რომლის დროსაც ინდივიდს შეეძლო ცხოველის თვისებების შექმნა მისი ნაწილების გამოყენებით. გარდა ამისა, ცხოველებს ხშირად სწირავდნენ მსხვერპლად ძველ რიტუალებში ღვთაებების დასამშვიდებლად ან მათი ძალების გამოყენებისთვის კონკრეტული მიზნების არსებობის დროს.

ცხოველების გამოყენება წარსულის მაგიურ პრაქტიკაში იყო მრავალმხრივი და რთული ფენომენი, რომელიც მოიცავდა სიმბოლურ, სულიერ და პრაქტიკულ განზომილებებს. ეს ნაშრომი იკვლევს ცხოველების ინტეგრაციას ჯადოსნურ პრაქტიკაში ძველ საზოგადოებებში, ხაზს უსვამს ადამიანებისა და ცხოველთა სამეფოს შორის არსებულ, რთულ ურთიერთობებს, მისტიკური გაგებისა და ძალაუფლების ძიებაში. წარსულის საიდუმლოებების გამოვლენისას, ცხოველების როლი უძველეს მაგიაში, დღესაც ყველაზე მომხიბვლელი ნაწილია სამეცნიერო წრეებში.

ბიბლიოგრაფია

Bloomfield M., Cerberus, The Dog Of Hades, The Monist, Oxford University Pres, Vol. 14, No. 4 1904, pp. 523-540.

Chalendar V., Animals and Their Relation to Gods, Humans and Things in the Ancient World, Wiesbaden: "Springer Fachmedien", 2019, 487p.

Collins B. J., p.162. Pigs At The Gate: Hittite Pig Sacrifice In Its Eastern Mediterranean Context, Journal of Ancient Near Eastern Religions, vol. 6 p.pp.155-188.

Collins B. J., A History Of The Animal World In The Ancient Near East, Brill, Leiden, Boston, Koln, 2002, 620 p.

Frazer J.G., The Golden Bough, 1894, New York and London, Macmillan and Co., vol, 1, p.376.

Golec-Islam J., The Food of Gods and Humans in the Hittite World, BA Thesis in Archaeology, Warsaw, 2016, 81 p.

Marcuson H., "Word Of The Old Woman": Studies In Female Ritual Practice In Hittite Anatolia, Chicago, Illinois, 2016, 576 p.

Meyer M., Mirecki P., Ancient Magic and Ritual Power, Religions in Graeco-Roman World (Reprint) vol. 29, Brill Academic Publishers, Inc., Boston, Leiden, 2001, 476 p.

Mouton A., Hittite Witchcraft, Acts of the VIIth International Congress of Hittitology, vol. 2, 2010, pp. 515-528.

Wallis Budge E.A., Amulets and Superstitions, 1978, Dover Publications, 1978, p. 543.

**კიდევ ერთხელ, ქართლის
მთავარეპისკოპოსისა და მიტროპოლიტის
რომანოზ ერისთავის მოღვაწეობისა და
ქრონოლოგიის შესახებ**

ქართლის მთავარეპისკოპოსის, სამთავროსა და გორის მიტროპოლიტ რომანოზ ერისთავის ცხოვრებასა და მოღვაწეობას, თავის დროზე არაერთი საინტერესო სამეცნიერო პუბლიკაცია მიუძღვნა (აკად. კ. კეკელიძე, მ. ქავთარია, ე. გაბიძაშვილი და სხვ.).

2011 წელს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში გამართულ საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციაზე - “უცხოეთის ქართული მემკვიდრეობა“ (20-24 სექტემბერი), წარმოვადგინეთ მოხსენება “ქართლის მთავარეპისკოპოსისა და მიტროპოლიტის რომანოზ ერისთავის ღვანლი მე-18 საუკუნის საქართველო-რუსეთის დიპლომატიური, პოლიტიკური და კულტურული ურთიერთობების ფონზე“, რომელიც იმავე წელს გამოქვეყნდა კონფერენციის მოხსენებათა თეზისების სახით (გვ. 98-100). სამწუხაროდ, ტექნიკური პრობლემების გამო, გამოსაქვეყნებლად გამზადებული კონფერენციის სრული კრებული ვეღარ დაიბეჭდა.

2012 წელს მიტროპოლიტ რომანოზ ერისთავის მოღვაწეობით დაინტერესდა თეო გელაშვილი, რომელმაც ამ საეკლესიო მოღვაწეს ცალკე სტატიაც მიუძღვნა, თუმცა გარკვეული უზუსტობებით. 2020 წელს კი, ლადო მირიანაშვილმა, სამეცნიერო ჟურნალ Scientia-ს პირველ ნომერში გამოაქვეყნა სტატია “რომანოზ ერისთავის ცხოვრების ძირითადი მოვლენების დაზუსტებული ქრონოლოგია და დაკრძალვის ადგილი“. მართალია, ამ უკანასკნელ სტატიაში გამოყენებულია ჩვენი გამოქვეყნებული პუბლიკაცია, მაგრამ ავტორი ქრონოლოგიის საკითხში არ გვეთანხმება, ხოლო გამოთქმული მოსაზრებების გარკვეულ ნაწილს საერთოდ არ ახსენებს მაშინ, როცა მას სრული სტატია ხელთ ჰქონდა. რაც შეეხება ზემოთ აღნიშნულ, ჩვენს მიერ გამოქვეყნებულ თეზისებს, სტატიის ავტორი მას, რატომღაც, არ იმონებს.

ქრონოლოგიის თვალსაზრისით, დაშვებული რომ არ იყოს

მთელი რიგი უზუსტობები და შეუსაბამობები, შესაძლებელია, ამ საკითხს ხელმეორედ, არც შევხებოდით, მაგრამ სამართლიანობა მოითხოვს, რომ ამ დიდი საეკლესიო მოღვაწის შესახებ არსებული ინფორმაცია რეალობასთან ახლოს იყოს.

ქართლის მთავარეპისკოპოს რომანოზის შესახებ ცნობილია, რომ იგი იყო შვილი გიორგი არაგვის ერისთავისა და ძმა პოეტ ოთარ და ბარძიმ ერისთავებისა. რომანოზი 1710 წელს ბერად შემდგარა გარეჯის უდაბნოში, სადაც მას თორმეტი წელი დაუყვია. აქვე ის არქიმანდრიტის ხარისხში აუყვანიათ. 1722-1727 წლებში რომანოზი დონის მონასტერში მოღვაწეობს. 1728 წელს გარეჯში დაბრუნების სურვილის გამო ჩამოვიდა საქართველოში და დამკვიდრდა თბილისში, სადაც ჩანს 1735-1737 წლებს შორის. მცირე ხნით ის თბილელი ეპისკოპოსი უნდა ყოფილიყო, ხოლო შემდეგ, კირილე მეორის გაკათალიკოსობის დროს (1737-1739), იგი იკავებს კირილეს ადგილს - ქართლის მთავარეპისკოპოსის, სამთავროსა და გორის მიტროპოლიტის კათედრას.

ამასთან დაკავშირებით, სამწუხაროდ, ლ. მირიანაშვილის მსჯელობა დიდ წილად ეფუძნება რუსულ წყაროებს, მათ ანიჭებს მეტ უპირატესობას, ხოლო ნაკლებად ითვალისწინებს ქართული საისტორიო დოკუმენტებისა და წყაროების უტყუარობას, როცა ეს, პირიქით უნდა იყოს! კერძოდ, ის ენდობა ავტორიტეტულ “რუსულ ბიოგრაფიულ ლექსიკონს”, თუმცა იქვე, თვითონვე აღნიშნავს, რომ საენციკლოპედიო ლექსიკონს ხარვეზები აქვს. ასევე, “მართლმადიდებლური აღმსარებლობის უწყების” XVIII საუკუნის დადგენილებებსა და განკარგულებებზე დაყრდნობით, მკვლევარი მიიჩნევს, რომ მიტროპოლიტი რომანოზი საქართველოში 1725 წელს ჩამოვიდა. ის 1729 წელს ისევ რუსეთშია, ხოლო 1730 წელს - კვლავ საქართველოში. 1732 წელს რომანოზი ჩადის მოსკოვში და წმ. სინოდში აცხადებს, რომ ის უკვე მიტროპოლიტია 1730 წლიდან. 1736 წელს მიტროპოლიტი მესამედ გაემგზავრა საქართველოში, 1740 წელს ის ჯერ ყიზლარშია, 1741 წელს კი, მოსკოვში.

აღნიშნულ ქრონოლოგიას ლ. მირიანაშვილიც იზიარებს და აღნიშნავს, რომ რომანოზი საქართველოში 1725 წელს ჩამოვიდა და მოსკოვში სამი წელი და ოთხი თვე დაჰყო, ნაცვლად ქართული წყაროებით ცნობილ 5 წლისა (ხეც, Sd-2962).

მივყვით თანმიმდევრობით:

1. არქიმანდრიტი რომანოზი რომ 1722-25 წლებში საქართველოში არ იმყოფება, ამაზე, გარდა Sd ფონდში დაცული

წერილებისა, ისიც მოწმობს, რომ ჯერ 1723 წელს, ხოლო შემდეგ - 1725 წლის 7 იანვარს, რუსეთში მას წერილს უგზავნი ძმა, ოთარ არაგვის ერისთავი და დახმარებას თხოვს. ამ წერილის მიხედვით, ოთარი ძმას ატყობინებს, რომ იგი, 27 გიორგობისთვის, თერგზე მისულა მეორე ძმა - გივისთან, რძალთან და მათ შვილებთან ერთად. ზამთარში ისინი იქვე დარჩენილან. ანანურიდან რუსეთის იმპერატორთან წერილი გაუგზავნიათ, რომ თავშესაფარი მიეცა მათთვის. ოთარი ძმას თხოვს დაეხმაროს ამ საქმის მოგვარებაში და ხელმწიფის წყალობის წიგნი და ბეჭედი მათაც უშოვნოს. ამ დროს ვახტანგ მეფე და მისი ამაღლა უკვე ასტრახანში იმყოფებოდა. „აგების ღმერთმან თქვენი შეყრა გვადირსოს, ბატონო“ - მიმართავს ძმას ოთარ ერისთავი (Переписка... 1861; გვ. 178-179). როგორც ჩანს, ეს გეგმა ვერ განხორციელდა.

1728 წელს რომანოვ ერისთავი საქართველოში ჩამოდის. მის ოჯახს დიდი ტრაგედია დაატყდა თავს, როცა არაგვის საერისთავოში 20 000 ლეკის შეჭრის შედეგად დაუხოცეს ძმები, დედა, ძმისწულები, მთელი ოჯახი და ზოგიც ტყვედ წაასხეს. მტრისგან აოხრებული იყო გარეჯის უდაბნოც, ამიტომ მას თბილისში დარჩენა მოუწია. პ. იოსელიანის ცნობით, რომანოვ ერისთავი თბილელის ხარისხში აიყვანა ბესარიონ კათალიკოსმა (1725-1737), ხოლო შემდეგ კირილე ციციშვილის გაკათალიკოსობის დროს (1737-1739) იგი იკავებს კირილეს ადგილს - ქართლის მთავარეპისკოპოსისა და სამთავროსა და გორის მიტროპოლიტის კათედრას.

2. ლ. მირიანაშვილი, რუსულ ბიოგრაფიულ ლექსიკონზე დაყრდნობით, არ იზიარებს ჩვენს ქრონოლოგიას და აღნიშნავს, რომ რომანოვი 1737 წელზე გაცილებით ადრე, 1730/31 წლებში აკურთხეს სამთავროსა და გორის მიტროპოლიტად. ის იმომბებს პ. იოსელიანის ცნობასაც, რომელიც, სინამდვილეში, ბესარიონ კათალიკოსის მიერ რომანოვის თბილელის ხარისხში აყვანაზე საუბრობს და არა სამთავროსა და გორის მიტროპოლიტის ხარისხზე. ცხადია, ცდება თ. გელაშვილიც, რომელიც რომანოვის მიტროპოლიტად კურთხევას 1722 წელს ვარაუდობს. შეცდომას უშვებს გ. ჭანიშვილიც, რომელიც აღნიშნავს, რომ 1720-იანი წლების მეორე ნახევრიდან მთავარეპისკოპოსობდა რომანოვ არაგვის ერისთავისშვილი.

საქმე იმაშია, რომ დაახლოებით 1720-იანი წლების ბოლოსა და 1730-იანი წლების დასაწყისში ქართლის მთავარეპისკოპოსის კათედრას იკავებს რაჟდენ ციციშვილი და, ბუნებრივია,

რომანოზი ამ წლებში აღნიშნული ეპარქიის მღვდელმთავარი ვერ იქნებოდა. “ჟამთა ვითარებისაგან ბატონი კათალიკოზი დომენტი სტამბოლს ბრძანდებოდა და მე, მთავარეპისკოპოზობა ვიშოვნე” - აცხადებს ერთერთ საბუთში რაჭდენ ციციშვილი. თ. ჟორდანიას ამ ამბავს 1727 წლის ახლო დროით ათარილებს. დომენტი კათალიკოსი სტამბოლში 1725-39 წლებში იმყოფებოდა, მის მოვალეობას 1737-39 წლებში კათალიკოსი კირილე ციციშვილი ასრულებს, რომელიც მანამდე, 1736 წელს, ქართლის მთავარეპისკოპოსად იხსენიება. იმავე, 1736-1737 წლებში ქართლის მთავარეპისკოპოსად საისტორიო დოკუმენტებში ჩანს არსენი (საყვარელიძე), რომელიც შემდგომშიც (1744-48 წლებში და 1761 წელს) განაგებს აღნიშნულ საეპისკოპოსო კათედრას. ამდენად, ქართლის მთავარეპისკოპოსისა და მიტროპოლიტის ხარისხის მიღება რომანოზს მხოლოდ 1737 წლის ბოლოდან, ან 1738 წლის დასაწყისში შეეძლო, ვიდრე 1739 წლამდე, რადგან ამის შემდეგ ის ისევ რუსეთში მიემგზავრება. სწორედ ამას მოწმობს ჩვენს მიერ სამეცნიერო მიმოქცევაში შემოტანილი ორი, 1739 წლით დათარიღებული გამოუქვეყნებელი სიგელიც (სეა, 1449-2176; 1449-2147).

რაც შეეხება რომანოზის 1730-იან წლებში ეპისკოპოსად კურთხევას, როგორც პ. იოსელიანი, ნმ. მღ. პ. კარბელაშვილი და ანტონ ნატროშვილი მიიჩნევენ, არქიმანდრიტ რომანოზის პირველი სამღვდელმთავრო კათედრა, რომელსაც ის სათავეში ჩაუყენეს, იყო თბილისი. თ. ჟორდანიას 1730 წლის ახლო დროით აქვს დათარიღებული მთავარეპისკოპოს რომანოზის მიერ გაცემული ერთი სიგელი, საიდანაც ირკვევა, რომ თბილელ მთავარეპისკოპოს რომანოზს აუშენებია „მცირე ეკლესია ქალაქსა შიდა ტფილისსა ადგილსა და მამულსა სამთავროს ღვთაების საყდრისა“. “ქალაქი თბილელის სამწყსო არის... დამსჯელი თფილელი იყოს”. რადგან საბუთს ახლავს ხელრთვა და დამტკიცება კირილე მთავარეპისკოპოსისა, მისი დათარიღება სავარაუდოდ, 1735-36 წლებით უნდა განისაზღვროს, როცა კირილე II გაკათალიკოსობამდე ქართლის მთავარეპისკოპოსია, ხოლო რომანოზი, ქართლის მთავარეპისკოპოსად დადგენამდე - თბილელი მთავარეპისკოპოსი. წყაროებიდან ცნობილია ისიც, რომ რომანოზის მიერ აშენებული ეს ტაძარი შემდგომში მტერს აუოხრებია და გადაუწვია. ამ მოვლენას ადგილი სწორედ 1735 წლის შემდეგ შეიძლება ჰქონოდა, როცა „ოსმალობა“ „ყიზილბაშობით“ შეიცვალა საქართველოში.

3. რუსულიდან ნათარგმნი ეპიტაფიის შინაარსი ასეთია:

“მოიხსენე, უფალო, მიტროპოლიტი რომანოზი და მიუტევენ მას რაიცა ამქვეყნად სცოდა სიტყვით ანუ საქმით ყრმობიდან ამქვეყნად 27 წელი იცოცხლა, არქიმანდრიტის ხარისხში - 16 წელი, არქიეპისკოპოსის ხარისხში - 14 წელი. სულ 57 წელი იცოცხლა”.

სქოლიოში ლ. მირიანაშვილი აღნიშნავს: “ეპიტაფიიდან გამოთვლილი და საარქივო საქმეში მითითებული, რომანოზის მთავარეპისკოპოსად აღყვანის თარიღები ერთმანეთს არ ემთხვევა: კერძოდ, ეპიტაფიის ტექსტის მიხედვით, ეს 1738/1739 წელს მომხდარა, საარქივო დოკუმენტის მიხედვით კი, 1730/1731 წელს. ნებისმიერ შემთხვევაში, რუსეთის წმინდა სინოდმა რომანოზის მთავარეპისკოპოსობა და მიტროპოლიტობა 1732 წლიდან ოფიციალურად სცნო, ამიტომ ეპიტაფიის ამ ნაწილში შეცდომაა დაშვებული”.

სტატიის ავტორს მისსავე გამოცემული ეპიტაფიის იმ ნაწილში შეაქვს ეჭვი, რომელიც რომანოზის მთავარეპისკოპოსად და მიტროპოლიტად კურთხევის წლებს ეხება. ამ დროს კი, სწორედ ეს ნაწილი ადასტურებს ჩვენს მიერ ადრევე გამოთქმული ვარაუდების სისწორეს მის სამთავროსა და გორის მიტროპოლიტად კურთხევის ქრონოლოგიასთან დაკავშირებით (1737-1739 წწ.). დაახლოებით 1735-36 წლებში რომანოზი თბილელი ეპისკოპოსი უნდა ყოფილიყო, რასაც რუსული წყაროებიც ადასტურებენ, როცა მას, ამ პერიოდში, ეპისკოპოსის ხარისხში მოიხსენიებენ და არა - არქიმანდრიტის.

გასათვალისწინებელია ისიც, რომ ეპიტაფიის მიხედვით, რადგან მიტროპოლიტმა 57 წელი იცოცხლა და ვიცით, რომ 1753 წელს გარდაიცვალა, მაშასადამე, რომანოზი 1696 წელს დაბადებულია და 1730 წელს იგი მხოლოდ 34 წლის უნდა ყოფილიყო, ხოლო “რჭულის კანონისა” და მაშინდელი საეკლესიო წესების თანახმად, ასეთ ახალგაზრდა ბერს ეპისკოპოსად არავინ აკურთხებდა, მით უფრო, ქართლის მთავარეპისკოპოსის კათედრაზე, რომელიც მეორე პირი იყო იმდროინდელ სასულიერო იერარქიაში და კათალიკოს-პატრიარქის საქართველოში არყოფნის შემთხვევაში, მის ფუნქციებსაც ითავსებდა. რაც შეეხება თბილელის კათედრაზე აღყვანის დროს, 1735-36 წლებში ის უკვე 39-40 წლის იქნებოდა, ხოლო 1737-39 წლებში, ქართლის მთავარეპისკოპოსობის პერიოდში - 41-43 წლის ასაკში. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ თუ მისი ეპისკოპოსობის წლების ნაწილში შევიტანთ ეჭვს და არ მივიღებთ, მაშინ კითხვის ნიშნის ქვეშ დადგება მისი არქიმანდრიტობის წლებიც. შესაძლოა,

ეპიტაფიის ცდომილება იყოს 2-3 წელში, მაგრამ არავითარ შემთხვევაში 8-9 წელში.

რასაკვირველია, მირიანაშვილის მიერ გამოქვეყნებული პუბლიკაცია მნიშვნელოვანია მიტროპოლიტ რომანოზ ერისთავის განსასვენებლის ადგილისა და ქრონოლოგიის დადგენის თვალსაზრისით, მაგრამ აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ რომანოზ მიტროპოლიტის საფლავის ქვას მოსკოვში, პირველად 2011/12 წლებში მიაკვლიეს რუსეთში ვიზიტით მყოფმა საქართველოს წმ. სინოდის მღვდელმთავრებმა და ამის შესახებ ცნობა მოგვანოდა, მაშინდელმა სამთავისისა და გორის მთავარეპისკოპოსმა ანდრიამ (გვაზავა). ეს ფაქტი ნახსენები გვაქვს ჩვენს მიერ 2011 წელს გამოქვეყნებულ კონფერენციის “მოხსენებათა თეზისებშიც” (გვ. 100). რუსეთში მოღვაწე ცნობილ სასულიერო პირთა რამდენიმე საფლავის ქვის ფოტო გამოქვეყნდა კიდევ მაშინ “ზუგდიდისა და ცაიშის ეპარქიის” საიტზე.

არის თუ არა მათ შორის ლ. მირიანაშვილის მიერ გამოცემული მიტროპოლიტ რომანოზის საფლავის ქვა (ეპიტაფიით), თუ მისი კიდევ სხვა საფლავის ქვაც არსებობს მოსკოვში, ეს შემდგომი კვლევის საგანს წარმოადგენს. ძნელი სათქმელია, სინამდვილეში სად განისვენებს მიტროპოლიტ რომანოზ ერისთავის ნეშტი და, კონკრეტულად, სად არის იგი დაკრძალული - დავით-გარეჯში, ასტრახანში, თუ მოსკოვში.

Maya Shaorshadze

Kekelidze National Georgian National Centre of Manuscripts

ONCE AGAIN, THE NOVEL OF THE ARCHBISHOP AND METROPOLITAN OF KARTLI ABOUT THE WORK AND CHRONOLOGY OF ERISTAVI

During that time, several noteworthy scientific publications delved into the life and work of Romanoz Eristavi, the Archbishop of Kartli, the principality, and the Metropolitan of Gori. Prominent academics such as Acad. K. Kekelidze, M. Kavtaria, and E. Gabidzashvili contributed to this body of work.

In 2011, at the international scientific conference “Foreign Geor-

gian Heritage” held at the National Center of Manuscripts, a report titled “The Merits of the Archbishop and Metropolitan Romanoz Eristavi of Kartli Against the Background of Diplomatic, Political, and Cultural Relations Between Georgia and Russia in the 18th Century” was presented. Although the report was included in the abstracts of conference reports, technical issues prevented the complete collection from being published.

In 2012, Teo Gelashvili showed interest in the work of Metropolitan Romanoz Eristavi, dedicating a separate article to this church figure, albeit with some inaccuracies. In 2020, Lado Mirianashvili published an article titled “Clarified Chronology of the Main Events of the Life of Romanoz Eristavi and the Place of Burial” in the first issue of the scientific magazine *Scientia*. While Mirianashvili used your unpublished publication, he disagreed on the issue of chronology and omitted certain parts of expressed opinions when he had access to the complete article. Notably, the theses published by you were not thoroughly checked by the author of the article.

From a chronological perspective, addressing inaccuracies and inconsistencies is essential to ensure that the available information about this significant church figure aligns with reality.

Information about Archbishop Romanoz of Kartli reveals that he was the son of Giorgi Aragvi Eristavi and the brother of poets Otar and Bardzim Eristavi. In 1710, Romanoz became a monk in the Gareji desert, where he resided for twelve years and rose to the rank of Archimandrite. Between 1722 and 1727, Romanoz worked at Doni Monastery. His desire to return to Gareji brought him to Georgia in 1728, and he settled in Tbilisi between 1735 and 1737. After a brief period supposed to be the bishop of Tbilisi, he assumed the position of archbishop of Kartli, the principality, and the metropolitan chair of Gori during the Catholicization of Kirill II (1737-1739).

L. Mirianashvili’s arguments, unfortunately, heavily rely on Russian sources, giving them more priority and underestimating the reliability of Georgian historical documents and sources. Despite acknowledging flaws in the authoritative “Russian Biographical Dictionary,” Mirianashvili trusts it. Relying on 18th-century decrees and the “Orthodox Confession Office,” he contends that Metropolitan Romanoz arrived in Georgia in 1725. Mirianashvili claims that Romanoz was in Russia again in 1729, back in Georgia in 1730, in Moscow and St. Petersburg in 1732, and again in Georgia in 1736. In 1740, he was supposedly in Kizlar, and in 1741, in Moscow.

Mirianashvili's chronology is at odds with Georgian sources, notably suggesting that Romanoz arrived in Georgia in 1725 and spent three years and four months in Moscow, contrary to the five years mentioned in Georgian sources.

Examining the historical sequence:

Archimandrite Romanoz was not in Georgia in 1722-25, as confirmed by letters in the Sd fund and a letter from his brother Otar in January 1725, seeking help for asylum in Russia.

In 1723 and then on January 7, 1725, Otar Aragvi Eristavi wrote to Romanoz, detailing their situation in Terg, requesting assistance, and informing him about their plea to the Russian emperor.

In 1728, Romanoz Eristavi returned to Georgia, facing a tragedy when a large invasion resulted in the death of his brothers, mother, nephews, and the destruction of the Gareji desert. Forced to stay in Tbilisi, he was appointed to the rank of Tbilisi by Bessarion Catholicos (1725-1737), according to P. Ioseliani. During the Catholicization of Kirile Tsitsishvili (1737-1739), Romanoz assumed Kirill's position as the archbishop of Kartli, the principality, and the metropolitan chair of Gori.

L. Mirianashvili, relying on the Russian biographical dictionary, disagrees with this chronology, suggesting that Romanoz was consecrated as the Metropolitan of the Principality and Gori in 1730/31, much earlier than 1737. He disputes P. Ioseliani's account and mentions errors by T. Gelashvili and Chanishvili. Mirianashvili contends that Romanoz could not have been the archbishop of Kartli in the late 1720s and early 1730s because Razden Tsitsishvili held that position at the time.

Mirianashvili notes that Catholicos Domenti was in Istanbul in 1725-39, and his duties were performed by Catholicos Kirile Tsitsishvili in 1737-39. Romanoz could have received the title of archbishop and metropolitan of Kartli only from the end of 1737 or the beginning of 1738, not until 1739 when he left for Russia again. Unpublished deeds dated 1739 support this chronology.

The historical sequence indicates that Romanoz's consecration as Metropolitan likely occurred around 1737-1738, aligning with the mentioned deeds from 1739.

Regarding the consecration of Romanoz as a bishop in the 1730s, scholars like P. Yoselian, St. Mg. P. Karbelashvili, and Anton Natroshvili believe that Archimandrite Romanoz's first priestly position was in Tbilisi. T. Jordania cites a deed issued by Archbishop Romanoz around 1730, indicating that he built "a small church in the city of

Shida Tiflis, in the place of the seat of the deity of the principality.” The document, accompanied by the signature and approval of Archbishop Kirill, likely dates to 1735-36 when Kirill II was the archbishop of Kartli, and Romanoz was the archbishop of Tbilisi before becoming the archbishop of Kartli.

It is known from sources that the temple built by Romanoz was later vandalized and burned, likely after 1735 when “Ottomanism” was replaced by “Kizilbash” in Georgia. The specific event might have occurred in the aftermath of this change in political and religious dynamics.

The content of the epitaph translated from Russian is as follows: “Remember, Lord, Metropolitan Romanoz and forgive him what he has sinned in this world by word or deed. He lived in this world for 27 years from childhood, in the rank of archimandrite - 16 years, in the rank of archbishop - 14 years. He lived for a total of 57 years.”

In the footnote, L. Mirianashvili notes: “The dates calculated from the epitaph and indicated in the archival file do not coincide: in particular, according to the text of the epitaph, it happened in 1738/1739, and according to the archival document, in 1730/1731. In any case, the Holy Synod of Russia officially recognized the archbishopric and metropolitanate of Romanози from 1732, so there is a mistake in this part of the epitaph.”

The author of the article doubts the part of the epitaph published by him, which refers to the years of consecration of Romanoz as archbishop and metropolitan. At this time, this very part confirms the correctness of the assumptions made earlier regarding the chronology of his principedom and consecration as the Metropolitan of Gori (1737-1739). Around 1735-36, Romanoz should have been the bishop of Tbilisi, which is also confirmed by Russian sources when he is referred to in the title of bishop and not archimandrite.

It should also be taken into account that according to the epitaph, since the Metropolitan lived for 57 years and we know that he died in 1753, therefore, Romanoz was born in 1696 and in 1730 he should have been only 34 years old, and according to the “law of the law” and the church rules of that time, such a young monk No one would bless him as a bishop, especially in the chair of the archbishop of Kartli, who was the second person in the religious hierarchy at that time and in the absence of the Catholicos-Patriarch in Georgia, he also performed his functions. As for the time of his elevation to the Tbilisi chair, he would have been 39-40 years old in 1735-36, and 41-43 years old in 1737-39, during the archbishopric of Kartli. It should

also be noted that if we doubt the years of his episcopacy and do not accept it, then the years of his archimandriteship will also be questioned. There may be an epitaph error in 2-3 years, but by no means in 8-9 years.

Of course, the publication published by Mirianashvili is important in terms of establishing the resting place and chronology of Metropolitan Romanoz Eristavi, but it should also be noted here that the tombstone of Metropolitan Romanoz was traced in Moscow for the first time in 2011/12 by St. The high priests of the Synod and the then archbishop of Samtavis and Gori Andria (Gvazawa) informed us about this. We have mentioned this fact in the “Theses of reports” of the conference published by us in 2011 (p. 100). Photos of several gravestones of famous clergymen working in Russia were published on the website of the “Eparchy of Zugdidi and Tsaish”.

Is there L. among them? The tombstone (with epitaph) of Metropolitan Romanoz published by Mirianashvili, if there is another tombstone of him in Moscow, this is the subject of further research. It is difficult to say where the remains of Metropolitan Romanoz Eristavi actually rest and, specifically, where he is buried - in Davit-Garezh, Astrakhan, or Moscow.

ნინო მეგენეიშვილი

კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს
ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი

შორენა თავაძე

კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს
ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი

ფოტო-მიკროფირების ელექტრონული დოკუმენტირების მნიშვნელობა (ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცული მიკროფირების საცავის მაგალითზე)

თანამედროვე ეპოქა ციფრული ტექნოლოგიებისა და შესაძლებლობების ხანაა, რაც ცვლის სამუშაო სტანდარტსა და მეთოდოლოგიას. ეს შეეხება არამარტო ზუსტ მეცნიერებებს, ყოფით დეტალებს, საკომუნიკაციო სფეროსა და ა.შ. ასევე კულტურულ შემოქმედებით მოღვაწეობასა და სამეცნიერო

აქტივობებს.

ციფრული ტექნოლოგიები ამარტივებს მუშაობის პროცესს და შლის სივრცით ბარიერს სხვადასხვა ქვეყანაში მოღვაწე მკვლევრებს შორის. იქმნება ცენტრალური საინფორმაციო ბაზა, რაც ამარტივებს წვდომას სხვადასხვა პროფესიულ ინფორმაციაზე და ქმნის მეცნიერთა კოორდინაციის საუკეთესო საშუალებას მსოფლიოს ნებისმიერ ადგილას.

არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობა კონკრეტული ერისა და ეთნოსის უტყუარი ფაქტობრივი მტკიცებულებაა, რომელიც ინახავს ინფორმაციას არა მარტო ცალკეული ეთნოსისა და ერის, არამედ სხვადასხვა ქვეყნებთან მათი ისტორიულ-კულტურული ურთიერთობების შესახებ. მონაცემთა ბაზა ქმნის მარტივ საშუალებას, ერთ კვლევით ლანდშაფტზე დალაგდეს სხვადასხვა ქვეყანაში დაცული ინფორმაცია.

ეს პროცესი დაწყებულია და ეტაპობრივად გრძელდება მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში. საქართველო, როგორც მსოფლიოს ერთ-ერთი ძველი ცივილიზაცია, დიდი ისტორიისა და კულტურის მატარებელი, მნიშვნელოვან გეოსტრატეგიულ არეალში მდებარე ქვეყანა, მრავალი არსებული და გამქრალი სახელმწიფოს ისტორიულ გზაჯვარედინს წარმოადგენს, ამდენად მისი წერილობითი ძეგლების კვლევა ცილდება საქართველოს ფარგლებს და წარმოადგენს მსოფლიოს საისტორიო ღირებულებას. უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოში დაცული წერილობითი ძეგლების შესახებ ცნობებს მცირე ადგილი უკავია მსოფლიოს საინფორმაციო ბაზაში, ამიტომ მნიშვნელოვანია საქართველოში დიגיტალური ჰუმანიტარიის განვითარება, იმ წერილობითი წყაროების ციფრული ბაზის შექმნა, რომლებიც ინახება საქართველოს საცავებში. საქართველოში ამ მხრივ ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი ერთ-ერთი წამყვანი ორგანიზაციაა.

ენისა და კულტურის ძეგლების თანამედროვე გამოცდილებამ საფუძველი ჩაუყარა ახალ დისციპლინას – დიგიტალურ ჰუმანიტარიას, რომელსაც დღეისათვის გააჩნია საკუთარი თეორიული ბაზისი (დიგიტალური დოკუმენტირებისა და არქივირების ძირითადი პრინციპები და მეთოდები) და ჩარჩო პროგრამა, ანუ რესურსების მოპოვების (მასალის ჩაწერის), აღრიცხვის (რეგისტრაციის), ტექნიკური დამუშავების (დიგიტალიზაციის), შენახვის (არქივირების) და შემდგომი მოვლის (დაცვის) მეთოდოლოგიური და ტექნოლოგიური საშუალებები.

დიგიტალური ჰუმანიტარიის კონტექსტში გაფართოვდა წერილობითი წყაროებისა და სამეცნიერო პუბლიკაციების მნიშვნელობა და მან მიიღო „დინამიკური სამეცნიერო დოკუმენტის“ სახელწოდება, რომელიც აერთიანებს არა მარტო ტექსტს, არამედ მულტიმედიას, მეტამონაცემებს, დინამიკურ გარემოს და ყოფით ინტერნეტ საკომუნიკაციო ენას აკადემიურ ფორმატში.

საქართველოში ხელნაწერების ციფრულ დოკუმენტირებას თავისი ისტორია აქვს. ხელნაწერთა შეგროვებისთანავე დაიწყო ზრუნვა და ფიქრი მათი დაცვის მექანიზმებისა და მეთოდოლოგიის შემუშავებაზე. ერთ-ერთი პრევენციული ქმედება იყო ხელნაწერთა ფოტო-მიკროფირების შექმნა, რაც უზრუნველყოფდა მათ ნაკლებ მოხმარებას. ამის მაგალითია ექვთიმე თაყაიშვილის ინიციატივით ალექსანდრე როინაშვილის მიერ გადაღებული ადიშის სახარება და სხვა ხელნაწერები. ხელნაწერთა ფოტო-მიკროფირების, ნეგატივებისა და სლაიდების შექმნას თანდათან უფრო მასშტაბური სახე მიეცა. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ხდებოდა ყველა იმ ხელნაწერი ერთეულის, რომელიც მუზეუმის ხელნაწერთა განყოფილებაში შედიოდა, ფოტოფიქსაცია. სწორედ ამიტომ მიკროფირებისა და ფოტოპირების დიდმა რაოდენობამ საჭირო გახადა გახსნილიყო ხელნაწერთა ინსტიტუტში ფოტო-მიკროფირების საცავი. ძველი სტანდარტით ხელნაწერების ფოტოფიქსირება გაგრძელდა მანამდე, მცირე გამონაკლისების გარდა, სანამ დაინერგებოდა გაციფრულების ახალი, თანამედროვე მეთოდოლოგია.

ამჟამად საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის ფოტო-მიკროფირების საცავში ინახება ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცული თითქმის ყველა ხელნაწერის მიკროფირი. კერძოდ, ყველა ისტორიული დოკუმენტის მიკროფირი Ad-2297, Sd-5514, Hd-15108, Qd-10944; ქართულ ხელნაწერთა მიკროფირები (მხოლოდ მცირედ ნაკლულია Q ფონდი) - A-1734, S-5375, H-3265, Q-1480, ასევე Q-1480, Q-1519, Q-1566 ფირები. ასევე დაცულია ოსმალური -11, არაბული -7 ხელნაწერი და 60 ისტორიული დოკუმენტი, სპარსული -9 ხელნაწერი და 13 ისტორიული დოკუმენტი, სომხური -1, ბერძნული -34, რუსული -4 ხელნაწერთა ფირები. ცალკე ფონდად გამოყოფილია varia-1, სადაც დაცულია სხვადასხვა ენაზე გადაწერილი ხელნაწერთა ფირები. მიკროფირების ფონდში ცალკეა გამოყოფილი ხელნაწერთა ანდერძ-მინაწერების -4, მივლინებებისა და ექსპედიციების-1, ასევე

კერძო პირთა კოლექცია -9 ფირი. რაც შეეხება საზოგადო მოღვაწეთა მიკროფირების კატალოგს, ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის მიკროფირების საცავში დაცულია გ.ჭავჭავაძის - 216, წერეთლების -500-მდე, თუმანიშვილების - 212, გ. ბოჭორიძის - 68, ლ. ანდრონიკაშვილის -100, მ.თუმანიშვილის-100, გ. თუმანიშვილის-100, ალ. ეპისკოპოსის - 1867, კ. საძაგლიშვილის - 1615, მ. კელენჯერიძის - 253, პლ. იოსელიანის - 142, მარი ბროსეს -167, სხვადასხვა - 527, ვ. კარბელაშვილის - 881, ალ.ყაზბეგის 329, ი. დავითაშვილის - 118, დ. მეღვინეთუხუცესის -56, პ. უმიკაშვილის -42, ეგ. ნინოშვილის - 30, ივ. ჭავჭავაძის - 1163, ი.სონღულაშვილი - 452, გრ. წერეთლის -3635, აკ. წერეთლის -873, ექ. თაყაიშვილის - 2200, ილ. ნაკაშიძის -442, გრ. ორბელიანის -717, გ. წერეთლის -587, ანასტასია თუმანიშვილის - 962, რაფიელ ერისთავის -1097, დ. ბაქრაძის -182, ს. მესხის -89, ვეიდენბაუმის -1973, ვაჟა-ფშაველას -262, ილ.ჭავჭავაძის -1052, დ. ყიფიანის -1956, ალ. ხახანაშვილის -882, თ. ჟორდანიას -824, ჯორჯაძეების -58, მიხ. მაჩაბლის -1626, ალ. ჭაბადარის -45, კ. სმირნოვის -156, ი. ელიაშვილის -220, კ.კეკელიძის -949, მესხიშვილები -389, თ. კიკვიძს - 43, კ. ცინცაძის -312, დ. მუსხელიშვილის -135, გოგებაშვილი - 640 ფონდების ფირები.

ამის გარდა ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის ფოტო-მიკროფირების საცავში დაცულია საქართველოსა და უცხოეთის მუზეუმებში დაცული ქართული და საქართველოს კულტურასთან, ისტორიასთან დაკავშირებული არაქართულენოვანი ხელნაწერების ფირები და ფოტოები, სულ 38 ფონდის ფირი.

ციფრული ტექნოლოგიების ეპოქაში საზოგადოებრივ ინტერესს იწვევს არა მხოლოდ ისტორიული თუ ყოფილი მოვლენებისა და პროცესების შინაარსი, არამედ ინფორმაციის ვიზუალიზაცია, გამოსახულებითი მეთოდით ინფორმაციის მინოდება, რომელიც კომუნიკაციის ერთ-ერთ ყველაზე გავრცელებულ ფორმად გადაიქცა. მონაცემთა ვიზუალიზაციამ ფართო გამოყენება ჰპოვა სამეცნიერო და სტატისტიკურ კვლევებში, მონაცემთა მოპოვების სფეროში, პედაგოგიურ დიზაინში, საინფორმაციო ანგარიშებსა და ანალიტიკურ მიმოხილვებში.

დიגיტალური ჰუმანიტარიის შესაძლებლობები, თანამედროვე ლანდშაფტი აერთიანებს კონფერენციების, თემატურ ჟურნალების, საზაფხულო სკოლების განხორციელების მრავალფეროვან მეთოდებს.

თანამედროვე დიგიტალური ჰუმანიტარიის მიზნებიდან გამომდინარე გასათვალისწინებელია შემდეგი თავისებურებები:

1. ზოგადი ინფორმაცია - ხელნაწერი წიგნების, ისტორიული დოკუმენტების, საზოგადო მოღვაწეთა პირადი საარქივო ფონდების რანჟირება;
2. დარგობრივი დაჯგუფება - ხეც-ში დაცული თემატურად და ჟანრობლივად მრავალფეროვანი მასალის, საერო და სასულიერო შინაარსის ძეგლების, ფონდების მიხედვით (A, S, H, Q, Ad, Sd, Hd, Qd, საზოგადო მოღვაწეთა პირადი საარქივო ფონდები) გამარტივებული ფილტრაცია;
3. ქრონოლოგიური დაჯგუფება - ხეც-ში დაცული მასალა მოიცავს V-XX საუკუნეების ქრონოლოგიურ ჩარჩოს;
4. დამწერლობის მიხედვით - წერილობითი ძეგლები შესრულებულია ქართული დამწერლობის სამივე სახით, ასევე უცხოურ ენაზე შესრულებული ხელნაწერები;
5. დიგიტალური ჰუმანიტარია ინტერდისციპლინურ დარგს წარმოადგენს და ამ დარგში მომუშავე მკვლევრებისგან მოითხოვს როგორც წერილობითი ტექსტების ვიზუალიზაციას, ე.წ. კრიტიკული დიგიტალური რედაქციების, ასევე წერილობით ნყარობთან დაკავშირებული სამეცნიერო პუბლიკაციების საინფორმაციო ბაზის შექმნას;

როგორც ცნობილია, ხეც-ის საცავში დაცული მიკროფირები გადაღებულია 60-80-იან წლებში, იმდროინდელი სტანდარტებით მიკროფირების გარჩევადობა - micrat 200, micrat 300 - შეესაბამებოდა 1 მილიმეტრზე 300 ხაზის ტევადობას, ეს ტექნიკური პარამეტრები ქმნიდა მაღალი გარჩევადობის შესაძლებლობას. კულტურული მემკვიდრეობის ფოტოფიქსაციის დროს იყენებდნენ ძვირფასი კრისტალებისგან შედგენილ ფირებს, რაც ტექსტის გარჩევადობასთან ერთად, უზრუნველყოფდა ფირების დაცვის მაღალ ხარისხს გრძელვადიან პერსპექტივაში შესაბამის კლიმატ-კონტროლის პირობებში. იქმნებოდა ხელნაწერთა ორგვარი შავ-თეთრი მიკრო-ფირები - პოზიტივი და ნეგატივი. ფირების ზომა მერყეობდა 35 მმ - იშვიათად 60 მმ., რაც განსხვავდება თანამედროვე ტექნიკური მონაცემებისგან (ხილვადობით, შუქ-ჩრდილებით, გამოსახულებს სიმკვეთრითა და მასშტაბით), ამიტომ მიკროფირების გაციფრულება და სერვერზე განთავსება მოითხოვს შესაბამისი ტექნოლოგიების ცოდნას.

საბჭოთა და შემდგომ პერიოდში ნაკლები ყურადღება ეთ-

მოზოდა მიკროფირების დაცვას, იგულისხმება საცავში ფირების დაცვისთვის საჭირო კლიმატ-კონტროლის განსაზღვრა. არ იყო დადგენილი დაცვისთვის საჭირო სტანდარტული ტენიანობა და ტემპერატურული მსაზღვრელი, არ შექმნილა მათი მდგომარეობის აღმნიშვნელი პასპორტები, არ არის შემნილი მათ შესახებ საინფორმაციო რეესტრი, რაც უზრუნველყოფდა მიკროფირების პრევენციულ კონსერვაციას, ამდენად მიკროფირების დაცვისთვის სასურველი პრევენციული საკონსერვაციო ღონისძიებები მნიშვნელოვანია. რესტავრატორის მიერ უნდა შეფასდეს მიკროფირების მდგომარეობა, დაზიანების შემთხვევაში განისაზღვრება დაზიანების ხარისხი, ასევე გაიცეს კონსერვაციისთვის საჭირო რეკომენდაცია, შესაძლებლობის ფარგლებში უნდა ჩატარდეს პრევენციული კონსერვაცია. სასურველია იმ ფონდების მიკროფირების ამობეჭდვა, რომლის ფოტოპირი არ ინახება ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის ფოტო საცავში, ესეც არის ხელნაწერების დაცვის ერთ-ერთი პრევენციული ღონისძიება, რაც დანერგილია ეროვნულ არქივში.

მიკროფირების გაციფრულება ხელს შეუწყობს წერილობითი წყაროების, მდიდარი ციფრული ბიბლიოთეკის შექმნას, რაც გაამარტივებს წვდომას პროფესიული და დაინტერესებული მკვლევლისთვის ამ უმდიდრესი ინფორმაციაზე.

Nino Megeneishvili

Korneli Kekelidze Georgian
national Centre of Manuscripts

Shorena Tavadze

Korneli Kekelidze National
Center of Georgian Manuscripts

THE IMPORTANCE OF ELECTRONIC DOCUMENTATION OF PHOTO-MICROFILMING (EXAMPLE OF THE MICROFILM DEPOSITORY AT THE NATIONAL MANUSCRIPT CENTER)

The modern age is characterized by the prevalence of digital technologies, revolutionizing various fields of work, including exact sciences, communication, cultural creative work, and scientific

activities. These technologies not only simplify work processes but also bridge spatial gaps among researchers worldwide. The establishment of a central information base facilitates access to diverse professional information, offering an efficient means of global scientific collaboration.

Intangible cultural heritage serves as a distinctive testament to a specific nation and ethnos, preserving information about their historical-cultural interactions with different countries. The creation of a database presents a convenient method to organize information scattered across various countries into a unified research landscape.

This global trend is gradually unfolding in different countries, including Georgia. As one of the world's oldest civilizations with a rich history and culture, Georgia holds a unique position at the crossroads of numerous existing and vanished states. Therefore, the study of its written monuments extends beyond the national scope and contributes to the world's historical value. It's noteworthy that information about Georgian preserved written monuments occupies a relatively small place in the global information base. Hence, there is a crucial need to develop digital humanities in Georgia, particularly by establishing a digital database for written sources stored in Georgian repositories. The National Center of Manuscripts plays a pivotal role in spearheading these efforts in Georgia.

The modern era has given rise to a new discipline known as digital humanities, shaped by theoretical foundations that encompass the main principles and methods of digital documentation and archiving. This field has established a comprehensive program involving resource acquisition (material recording), accounting (registration), technical processing (methodological and technological means of digitization), storage (archiving), and ongoing maintenance (protection).

Within the realm of digital humanities, the significance of written sources and scientific publications has evolved into what is now termed a "dynamic scientific document." This dynamic document not only includes text but also integrates multimedia, metadata, a dynamic environment, and the language of internet communication in an academic format.

The history of digital documentation of manuscripts in Georgia dates back to the early stages of manuscript collection when efforts were initiated to develop mechanisms and methodologies for their preservation. Photo-microfilming of manuscripts was one such

preventive measure, ensuring their conservation. An exemplary case is the Gospel of Adisha and other manuscripts photographed by Aleksandre Roinashvili at the behest of Ekvtime Takaishvili. The practice of creating photo-microfilms of manuscripts, negatives, and slides gradually gained momentum. Following World War II, all manuscripts housed in the museum's manuscript department underwent photo-fixation. The proliferation of microfilms and photocopies necessitated the establishment of a photo-microfilming repository at the Institute of Manuscripts. The traditional standard of manuscript photo-fixation persisted until the advent of a new, modern digitization methodology, with only a few exceptions.

The photo-microfiche storage at the National Center of Manuscripts in Georgia currently houses nearly all the microfilms of manuscripts preserved in the center. This includes microfilms of historical documents in various funds, such as Ad-2297, Sd-5514, Hd-15108, Qd-10944, as well as microfilms of Georgian manuscripts (with minor gaps in the Q fund) - tapes A-1734, S-5375, H-3265, Q-1480, and Q-1566. Additionally, Ottoman-11, Arabic-7 manuscripts, and 60 historical documents, Persian-9 manuscripts and 13 historical documents, Armenian-1, Greek-34, Russian-4 manuscript tapes are also preserved. Varia-1 is designated as a separate fund, containing tapes of manuscripts transcribed in different languages. The micro-tapes fund includes 4 tapes of wills and letters, 1 of business trips and expeditions, as well as 9 tapes of private collections.

Furthermore, the catalog of microfilms of public figures encompasses the microfilms of various individuals, such as G. Javakhishvili - 216, Tsereteli - about 500, Tumanishvili - 212, G. Bochoridze - 68, L. Andronikashvili-100, M. Tumanishvili-100, G. Tumanishvili-100, al. Bishop's - 1867, K. Sadzaglishvili - 1615, m. Kelengeridze - 253, pl. Yoseliani - 142, Marie Broses - 167, various - 527, v. Karbelashvili - 881, Al. Kazbegi 329, i. Davitashvili - 118, d. Megvinetukhutsesi -56, p. Umikashvili -42, ex. Ninoshvili - 30, iv. Javakhishvili - 1163, I. Songhulashvili - 452, Gr. Tsereteli-3635, Ak. Tsereteli-873, ex. Takaishvili - 2200, Il. Nakashidze-442, Gr. Orbeliani -717, g. Tsereteli -587, Anastasia Tumanishvili - 962, Rafiel Eristavi -1097, d. Bakradze -182, s. Meskhi -89, Weidenbaum -1973, Vazha-Pshavela -262, Il. Chavchavadze -1052, d. Kifiani -1956, al. Khakhanashvili -882, T. Jordania -824, Jorjadze -58, Mich. Machablis -1626, Al. Jabadaris-45, K. Smirnov -156, i. Eliashvili -220, K. Kekelidze -949, Meskishvili -389, T. Kikvidze - 43, K. Tsintsadze -312, d. Tapes of Muskhelishvili - 135,

Gogebashvili - 640 foundations.

Additionally, the photo-microfiche storage of the National Center of Manuscripts houses tapes and photographs of non-Georgian manuscripts related to Georgian culture and history, preserved in Georgian and foreign museums, totaling 38 fund tapes. In the age of digital technologies, visualizing information through images has become a common form of communication and is of significant public interest. Data visualization is widely utilized in scientific and statistical research, data mining, instructional design, informational reporting, and analytical reviews.

The possibilities of digital humanities in the modern landscape encompass various implementation methods, including conferences, thematic magazines, and summer schools. Considering the goals of modern digital humanitarianism, several features should be taken into account:

1. General Information: This involves ranking handwritten books, historical documents, and personal archival funds of public figures.
2. Sectoral Grouping: Facilitates simplified filtering of materials based on thematic and genre diversity, including monuments of secular and religious content, according to funds (A, S, H, Q, Ad, Sd, Hd, Qd, personal archival funds of public figures) preserved in Khets.
3. Chronological Grouping: The material preserved in Khets spans the chronological framework of the V-XX centuries.
4. According to Writing: Encompasses written monuments in all three forms of Georgian writing, as well as manuscripts in foreign languages.
5. Interdisciplinarity: Digital humanities being an interdisciplinary field, researchers in this domain are required to visualize both written texts and create an information base of critical digital editions, along with scientific publications related to written sources.

The microtapes preserved in the Khets repository date back to the 60s-80s. By the standards of that time, the resolution of the microtapes (micrat 200, micrat 300) corresponded to 300 lines per 1 millimeter, providing high resolution. During the photofixation of cultural heritage, films made of precious crystals were used, ensuring long-term protection of films under appropriate climate control conditions. Two types of black-and-white microtapes of manuscripts

were created - positive and negative, ranging in size from 35 mm to rarely 60 mm. This differs from modern technical data, so digitizing microtapes and placing them on a server requires knowledge of relevant technologies.

During the Soviet period and beyond, insufficient attention was given to the protection of microfilms, specifically in terms of determining the necessary climate control measures for their preservation. Standard limits for humidity and temperature, crucial for protection, were not established. Passports indicating their condition, as well as an information register, were not created, which would have ensured preventive conservation of microfilms. Therefore, the implementation of preventive conservation measures is vital for the protection of microfilms.

The condition of the microfilms should be assessed by a restorer, determining the degree of damage, and providing necessary recommendations for conservation in case of damage. Preventive conservation measures should be implemented within the scope of feasibility. It is advisable to print out the microfilms of those funds whose photocopies are not stored in the photo storage of the National Center of Manuscripts.

Digitizing microfilms will contribute to the creation of a comprehensive digital library of written sources. This will facilitate access to this wealth of information for both professionals and interested readers.

თეონა მახარაშვილი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

მითოსური პლასტების ილუსტრირება გურამ დოჩანაშვილის რომან „სამოსელ პირველში“

წინამდებარე ნაშრომის კვლევის მიზანია რემითოლოგი-ზაციის ასპექტების გამოვლენა ქრონოტოპის თეორიის მე-შვეობით მე-20 საუკუნის 70-იანი წლების ქართულ რომანში, რომელმაც უნდა გამოკვეთოს აღნიშნული ეპოქის ლიტერატურულ-კულტურული კონტექსტისთვის დამახასიათებელი მითოსური პლასტები.

კვლევა დაეფუძნა მიხაილ ბახტინის მიერ შემუშავებულ ქრონოტოპის თეორიას, ასევე დავეყრდენით ე. ვლასოვის, ბ. კეუნენის, ვ. ტურაევას, დ. ბოჯეს, პ.ბორგჰარტის, ნ. ბიმონგის მოსაზრებებს. ქრონოტოპი დროისა და სივრცის ერთიანობას გულისხმობს, შესაბამისად კვლევის ამოცანა იყო ორივე კომპონენტის განსაზღვრა და შერჩეულ ტექსტში ძირითადი ქრონოტოპული მოდელების წარმოჩენა, კერძოდ ჩვენთვის საყურადღებო აღმოჩნდა გზის, შეხვედრის ქრონოტოპული ჩარჩო-სტრუქტურის განსაზღვრა მითოსური ასპექტების ილუსტრირებისთვის.

ჭ. კემპბელმა მსოფლიო მითოსსა და ფოლკლორზე მსჯელობის კონტექსტში, გამოკვეთა მონომითის ცნება და გამოყო გმირის ხანგრძლივი მოგზაურობის ფაზები:

1. თავგადასავლის დაწყება (ერთგვარი ინიციატივა, სურვილი)
2. დამხმარე;
3. თავგადასავლის სირთულეები: ზღურბლის გადაკვეთა, ძმათა ბრძოლა, დევნა...
4. გმირის გამოცდა;
5. დამხმარეთა ძალისხმევის ჩვენება;
6. საკრალური ქორწინება, მამასთან დაბრუნება, აპოთეოზი, ელექსირი;
7. ინიციაციაგავლილი გმირის დაბრუნება;

აღნიშნული შეხედულება საინტერესოდ რეალიზდება გურამ დოჩანაშვილის რომანში „სამოსელი პირველი“.

ტექსტში მოქმედება იწყება სოფლის სივრცით. ის ჩაკეტილი სისტემაა, იდილიური გარემოა, სადაც პროტაგონისტი თავს ბედნიერად, ლაღად და თავისუფლად გრძნობს, სოფელში დრო სტატიკურია, ამიტომ დომენიკოს ინდივიდუალური დროც და სივრცეც განყენებულია.

ბახტინის თქმით, გზისა და შეხვედრის მოტივის გადაკვეთისას, მნიშვნელოვანია გარკვეული ცვლილება, რომელიც პერსონაჟის ფსიქო-ემოციურ მდგომარეობას გამოჰკვეთს. დომენიკოსთვის მთავარი შეხვედრა, რომელიც დროის „ამუშავების“ დასაწყისად შეიძლება მოაზრდეს, ლტოლვილთან შეხვედრაა.

შეხვედრის ადგილი ტყეა, სივრცე, რომელიც მისტიკურობით გამოირჩევა, სწორედ აღნიშნულ სივრცეში ეზიარება დომენიკო შეცნობის მნიშვნელობას. ტყე, იუნგის თანახმად, არაცნობიერის სახეა. ის შეიძლება აღნიშნავდეს სულიერ ხედვასა

და სინათლის ნაკლებობას. ლტოლვილი ერთ-ერთი დამხმარე პერსონაჟია მონომითის თვალსაზრისით, რომელიც მისტიკურ გარემოში ცდილობს პროტაგონისტის თვითაქტუალიზებას, სწორედ ტყის სივრცეში იხატება დომენიკოს დაკარგულობის განცდა და სამყაროს, თვითობის გამოვლენის მძაფრი სურვილი ჩნდება.

დომენიკოს შემდგომი სივრცე, სადაც მისი მონომითური თავგადასავალი და ინდივიდუალური ქრონოტოპული მოდელი აქტუალიზდება, ლამაზ-ქალაქია, ერთი შეხედვით ფერადი, ნათელი ქალაქი, რომელიც დომენიკოს განსაკუთრებით მოხიბლავს, ადამიანები თავისუფალნი არიან სხვადასხვა საკრალური, რიტუალური აზროვნებისგან, მათი ცხოვრების წესი ჰედონისტურია, ჭამა-სმა და გართობა, სხვადასხვა სეზონზე განსაზღვრული თამაშობანია მათი მთავარი საზრუნავი, აქაც ექსისტენციური დრო „შეჩერებულია“. მ. ბახტინისეული ქრონოტოპი ზედმინევნით განსაზღვრავს „ლამაზ-ქალაქის“ მოდელს.

ზ. კიკვიძის თანახმად რომანის სივრცე დაკავშირებული უნდა იყოს ქართული მითოსური აზროვნებისთვის დამახასიათებელ უნივერსუმის ვერტიკალურ მოდელთან, რომელიც სამყაროს სამ სკნელად ჰყოფს. თითოეულს კონკრეტული ფერი მიესადაგება.

კიკვიძე ლამაზ-ქალაქს შუა სკნელის სახედ წარმოაჩენს, რომელიც ამქვეყნიური ცხოვრების ამსახველია, ფერთა სიმბოლიკას კი ფუნქციური დატვირთვება ენიჭება აღნიშნულის დასამტკიცებლად. ამ ქალაქში დომენიკოს მთავარი შეხვედრა შედგება ორ ქალთან, ესენია: ტერეზა და ანა-მარია, მათთან ურთიერთობით დომენიკოს ტრანსფორმაციის პროცესი იწყება, იგი ჩამოყალიბდა მამაკაცად, იგემა ემოციური ტრამვა ანა-მარიას სიკვდილის გამო. მონომითიურმა პერსონაჟმა თავგადასავლები უნდა გაიაროს, იმისთვის, რათა გამოცდა ჩააბაროს.

მომდევნო ადგილი, სადაც დომენიკო გადაიცვალეხს არის ქალაქი-კამორა, მონომითური „მოგზაურობის“ საგულისხმო სივრცე, სადაც პერსონაჟი დაკარგავს თავისუფლებას, დომენიკოს „სათამაშოს“ როლს არგუნებენ, იგი გამოცდის კონდიციაშია, რამდენად შეინარჩუნებს პიროვნულ საზრისს და არ დაემსგავსება კამორელებს. კამორაში გადარჩენის სხვადასხვაგვარმა მცდელობამ შიშისა და ათასგვარი ვნების დათრგუნვამ, რამაც დომენიკო გარკვეულწილად გამოაფხიზლა,

იდენტობაშენარჩუნებული პროტაგონისტი კანუდოსის გზას მიუყვება, თავს დააღწევს კაცის მკვლელობის ცოდვას, შეძლებს მივიდეს „წმინდა ქალაქამდე“, რომლის სივრცე სხვადასხვა სახე-სიმბოლოს სახითაა წარმოჩენილი. დომენიკომ დაძლია კრიზისის, ზღურბლის დახურული ქრონოტოპი, რომელიც კამორას ტოპოსში გამოვლინდა, შემწეა მეშვეობით გაარღვია „მოჭადებული წრე“ და მივიდა ქალაქ კანუდოსში, მშიდობისა და თავისუფლების ადგილას.

დომენიკოს ტრანსფორმაციის საზრისი გარდასახვა-გარდაქმნასა და გაცოცხლებას, აღდგენას გულისხმობს, საწყის ეტაპზე, ნელ-ნელა სიბნელეში შთანთქმას, თუმცა ყველა სირთულის დაძლევის და კვლავ მამის წიაღში დაბრუნებას, მაღალსოფელში, მარადიულ სამოთხეში ღირსეულ მყოფობას. მცირე ქრონოტოპული მოდელების გამოკვეთითა და მათზე დაკვირვებით წარმოჩნდება მარადიული დაბრუნების პროცესის გამომხატველი ძირითადი იქრონოტოპი.

პოსტლიმინალობის კონდიციაში მყოფმა გმირმა გაიარა ძირითადი ქრონოტოპული მოდელებისთვის დამახასიათებელი ყველა ფაზა: ცხოვრება (როდესაც იწყება მისი თავგადასავალი, საინიციაციო მოგზაურობა), კრიზისის პერიოდი (ანა-მარიას დაკარგვა, მთავარი სულიერი ტრანსფორმაციის წყარო), კონფლიქტი- ფაქტობრივად კამორაში ყოფნისას ყოველ ეტაპზე კონფლიქტის ფაზებს გადის, სადაც დრო ტემპორალურიდან მეტად ღრმად და შესამჩნევად ატემპორალურამდე გარდაიქმნება, საბოლოოდ კი შინ დაბრუნების, ნამდვილ ცხოვრებასთან ზიარების კონდიცია, ესაა- გამოსვლა, რომელსაც მოჰყვება განთავისუფლება ვნებებისგან, შიშისგან, დამაბრკოლებელი ასპექტებისგან.

კამორა დომენიკოს თავისუფლებას უბრუნებს, იგი ტრანსფორმირებული, გარდასახული გმირია, იგი კვლავ საწყის სივრცეს უბრუნდება; ამრიგად ანალიზზე დაყრდნობით შეგვიძლია ვთქვათ, რომ დომენიკო წარმოჩნდა, როგორც დისოცირებული პერსონაჟის სახე, რომელიც მარადიული კვლავდაბრუნების, „თაურსაწყისისკენ“ მიბრუნების სურვილითაა აღვსილი, აღნიშნული კი იდენტობის პოვნისა და კირკეგორისეულ რწმენის ფაზას გულისხმობს, რომელიც ინიციაციაცავალილი გმირის „გასხივოსნების“ მდგომარეობაა. აღნიშნულ კონდიციას კი მიაღწია მამასთან შეხვედრითა და სამოსელი პირველის არსის წვდომით, რომელიც ცხოვრებისეული გამოცდილების ილუსტრირება აღმოჩნდა.

„სამოსელი პირველში“ მითოსური მსოფლხედვა ილუსტრირდა, რომანი მითოლოგიურია, რადგან გამოვლინდა მონომითური გმირის თავგადასავლი, რომელიც ქრონოტოპული თეორიის მთავარი მახასიათებლების წარმოჩენით აიხსნა.

Teona Makharashvili

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

ILLUSTRATING MYTHIC ELEMENTS IN GURAM DOCHANASHVILI'S NOVEL "THE FIRST GARMENT"

The aim of this research is to unveil aspects of remythologizing through the theory of chronotope in the Georgian novel of the 1970s. This study seeks to outline the mythic patches characteristic of the literary-cultural context of the mentioned era.

The research is grounded in the chronotope theory developed by Mikhail Bakhtin, and we also draw on the opinions of scholars like E. Vlasov, B. Keunen, V. Turaeva, D. Boje, P. Borghart, and N. Bimong. Chronotope implies the unity of time and space; therefore, the task of this research was to determine both components and to present the main chronotopic models in the selected text. In particular, it was noteworthy to define the chronotopic frame-structure of the road and the meeting to illustrate the mythical aspects.

J. Campbell, in the context of discussing world myth and folklore, outlined the concept of the monomyth and distinguished the phases of the hero's long journey:

1. Initiation into the adventure (expressing initiative or desire)
2. Helper
3. Facing the challenges of the adventure: crossing the threshold, battling foes, and the chase...
4. Hero's test
5. Displaying the efforts of the helpers
6. Sacred marriage, return to the father, apotheosis, elixir
7. Return of the initiated hero

This perspective is interestingly realized in Guram Dochanashvili's novel "The First Garment."

The narrative in the text commences in a rural setting, a closed system, an idyllic environment where the protagonist experiences happiness. In the village, time is static, providing Domenico with a defined individual time and space.

Bakhtin suggests that at the intersection of the road and the motif of the meeting, a significant change occurs, highlighting the psycho-emotional state of the character. The pivotal meeting for Domenico, seen as the initiation of the “cultivation” of time, is his encounter with the refugee.

The meeting place is a forest, a space characterized by mysticism. In this setting, Domenico gains a deeper understanding of life. According to Jung, the forest represents the face of the unconscious, symbolizing a lack of spiritual vision and light. The refugee, as one of the supporting characters from the monomyth perspective, attempts to guide the protagonist toward self-actualization in this mystical environment.

The space where Domenico’s monomythic adventure and individual chronotopic model unfold is a beautiful city. At first glance, it appears colorful and bright, fascinating Domenico. The people here are free from various sacred, ritualistic thinking, leading a hedonistic lifestyle of eating, drinking, and having fun. Their main concern is to engage in various seasonal activities, and in this environment, existential time is “suspended.” M. Bakhtin’s chronotope meticulously defines the model of the “beautiful city.”

According to Kikvidze, the novel’s space should be related to the vertical model of the universe characteristic of Georgian mythical thinking, which divides the world into three realms, each with a specific color. Kikvidze presents the beautiful city as the middle of the world, reflecting worldly life. The symbolism of colors is given a functional load to prove this. In this city, Domenico’s main encounters are with two women: Teresa and Anna-Maria. The process of Domenico’s transformation begins with his relationship with them, and he becomes a man. The emotional trauma caused by Anna-Maria’s death deeply affects Domenico. A monomythic character must embark on adventures to pass the exam.

The next transformative space for Domenico is the city of Camorra. This significant setting in the monomythic “journey” is where the character loses his freedom. Domenico is given the role of a “toy” and tested to see how much he will maintain his personal sense and not become like the Camorrians. Through various attempts to survive in

Camorra, suppressing fear and facing numerous passions, Domenico awakens to a certain extent. The protagonist, preserving his identity, follows the path of Canudos, escapes the sin of murdering a man, and reaches the “holy city.” This space is presented in the form of various faces and symbols. Domenico overcomes the closed chronotope of the crisis, the threshold, which in the Camorra’s topos.

Domenico’s journey unfolds through various phases, marked by helpers who guide him through challenges, symbolized as the “encircled circle,” leading him to the city of Canudos—a place synonymous with hunger and freedom.

The essence of Domenico’s transformation involves a cycle of change, revival, and restoration. Initially absorbed in darkness, he overcomes challenges, returning to his father’s bosom in the highlands—an eternal paradise. By delineating small chronotopic models, a major ichronotope representing the process of eternal return becomes evident.

In the postliminal condition, the hero undergoes phases characteristic of main chronotopic models: life (initiation journey’s beginning), crisis (loss of Anna-Maria, the primary source of spiritual transformation), and conflict (encountering phases of conflict in Camorra). Time transforms from temporal to atemporal, concluding with a return home, communion with real life—an exit liberating him from passions, fears, and hindrances.

The Camorra restores Domenico’s freedom, turning him into a transformed hero who returns to the initial space. Through analysis, Domenico emerges as a dissociated character filled with a desire to return to the “beginning.” This signifies the phase of finding identity and Kierkegaardian faith—a state of “radiance” for the initiated hero. Meeting his father and accessing the essence of the first garment illustrates his life experience.

“The First Garment” embodies a mythical worldview, portraying the adventure of the monomythic hero. The novel’s mythological nature is evident through the presentation of key features of the chronotopic theory.

სოფიო მენტემაშვილი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი,

სულხან-საბა ორბელიანის „სამოთხის კარის“ ტექსტოლოგიური პრობლემატიკის კვლევისას აქამდე გაუთვალისწინებელი ხელნაწერი – A-627

სულხან-საბა ორბელიანის სამოთხის კარი“ დოგმატური ხასიათის თხზულებაა, რომელშიც დიალოგის, კითხვა-პასუხის ფორმით გადმოცემულია ქრისტიანული სარწმუნოების ძირითადი დოგმატები და განკუთვნილია ყრმათა და უსწავლელ ბერთა კატეხიზაციისთვის.

ივანე ლოლაშვილმა თხზულების ტექსტოლოგიური პრობლემატიკის კვლევას მიუძღვნა ნაშრომი „სულხან-საბა ორბელიანის ლიტერატურული მოღვაწეობიდან (1698-1713 წწ.)“. მკვლევარმა შეისწავლა ტექსტის შემცველი 21 ხელნაწერი და გამოყო ოთხი ძირითად რედაქცია:

- A – ნიკოლოზ ჩაჩიკაშვილისეული რედაქცია (S-2951)
- B – ავტოგრაფული რედაქცია (A-303)
- E – ნიკოლოზ ორბელიანისეული რედაქცია (H-581)
- T – ვახუშტი ბატონიშვილისეული რედაქცია (H-108)

აღსანიშნავია, რომ A და B რედაქციების ვარიანტები არ არსებობს; E ნუსხას ყველაზე მეტი ვარიანტი მოეპოვება (17 ხელნაწერი); T რედაქციის ზუსტი ასლი კი ერთ ხელნაწერშია დაცული.

რედაქციულ სხვაობებს, ძირითადად, დოგმატური საფუძველი აქვს. კერძოდ, ესაა დოგმატები სულიწმინდის გამომავლობისა და პაპის უზენაესობის შესახებ. ცნობილია, რომ მართლმადიდებლობა აღიარებს სულიწმინდის მხოლოდ მამისაგან გამომავლობას, კათოლიციზმი კი მიიჩნევს, რომ იგი გამოდის როგორც მამისაგან, ისე – ძისაგან; ასევე, კათოლიციზმის მიხედვით, პაპი დედამიწაზე ქრისტეს მონაცვლე და მისი ერთადერთი მემკვიდრეა, რის გამოც საეკლესიო და ზნეობრივ საკითხებში უცდომელია.

„სამოთხის კარის“ რედაქციებს შორის უმთავრეს განსხვავებას ზემონახსენები დოგმატური საკითხები ქმნის. ამის მიხედვით ისინი იყოფა სამ კონფესიურ ჯგუფად: მართლმადიდებლურ (E და T), კათოლიკურ (B) და ე. წ. კონფესიურად ნეიტრალურ (A რედაქციაში, უბრალოდ, ნათქვამია, რომ სუ-

ლინმინდა გამოდის და არ არის დაკონკრეტებული, ვისგან; ამასთანავე, არ შეიცავს პაპის უზენაესობის შესახებ მუხლებს) რედაქციებად.

ივანე ლოლაშვილი მიიჩნევდა, რომ ქრონოლოგიურად პირველი და ასევე საბას მიერ დაწერილი უნდა იყოს A რედაქციის ტექსტი. თუმცა, რედაქციათა ურთიერთშედარება და კოდიკოლოგიური მონაცემები ამტკიცებს, რომ ამოსავალია B რედაქცია, რომლის კონფესიური რედაქტირების შედეგად წარმოიშვა E და T რედაქციები. რაც შეეხება A რედაქციას, ის B რედაქციის საფუძვლიანი რედაქტირების შედეგი უნდა იყოს.

„სამოთხის კარის“ შესაძლო მეხუთე რედაქციის არსებობის შესახებ ჯერ კიდევ 1999 წელს წერდა ექვთიმე კოჭლამაზაშვილი: „A-627-ში შეტანილია სულხან-საბა ორბელიანის „სარწმუნოების წიგნი“ ... ხელნაწერის ანდერძიდან ირკვევა (78r), რომ მზეჭაბუკ ორბელიანს მართლმადიდებლურ მოძღვრებასთან შეთანხმების მიზნით გადაუმუშავებია ბიძამისის – სულხან-საბას ნაშრომი“. მოგვიანებით ეს ფაქტი აღნიშნა მერაბ ლაღანიძემაც და დაუმატა, რომ ეს ხელნაწერი თხზულების რედაქციული პრობლემათიკის კვლევისას არც ერთხელ გათვალისწინებულა: „ჯერჯერობით საგანგებო კვლევის საგნად არ ქცეულა „სამოთხის კარის“ არც ეს შესაძლო უცნობი რედაქცია, რომელიც მოთავსებულია თხზულების კვლევისას აქამდე გაუთვალისწინებელ ხელნაწერში (A-627) და არც ამ რედაქციის მიმართება დანარჩენ, აქამდე ცნობილ რედაქციებთან“.

ივანე ლოლაშვილის ცნობილ ნაშრომში „სამოთხის კარის“ ხელნაწერებს შორის არსად ახსენებს A-627-ს. გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ A ფონდის რამდენიმე ასეული ხელნაწერის აღწერილობა დღემდე მხოლოდ რუსულ ენაზე არსებობს. იგი შეადგინა თედო ჟორდანიამ და 1902 წელს გამოსცა. თეორიულად, ივანე ლოლაშვილს შეეძლო სცოდნოდა რუსულენოვანი აღწერილობის შესახებ, თუმცა, მის მონოგრაფიაში A-627-ის დაუსახელებლობა საწინააღმდეგოს ამტკიცებს. სავარაუდოდ, მკვლევარი არ იცნობდა ჟორდანიას წიგნს. სხვა შემთხვევაში, ვერაფრით აიხსნება ის ფაქტი, რომ A-627 კვლევაში არ გათვალისწინებულა.

კვლევის ფარგლებში დადგინდა A-627-ში დაცული ტექსტისა და თხზულების არსებულ რედაქციათა ურთიერთმიმართება.

ხელნაწერზე დართულ ანდერძში მზეჭაბუკ ორბელიანი წერს, რომ მან გადააკეთა საბას მიერ დაწერილი ტექსტი და მართალი სარწმუნოებისთვის მიუღებელი სწავლება „გა-

ნყარა“: „ესე სარწმუნოების წიგნი ბატონის საბა ბიძის ჩემისაგან გაკეთებული იყო და მე, მზეჭაბუკ ორბელიანმან, ვინადგან ვიხილე რა ესე, რამეთუ იყო ახლსა(!) ჳმასა ზედა ნამოდღვრის, რაოდენსაცა ჩემი უმეცარი გონება მისწვდებოდა, დავშვერ და განვმარე(!) მართალსა სარწმუნოებასა ზედა, ხოლო რომელიცა საზოგადო იყო და მართლმდღვება, მივიღე იგი და შემოვკრიბე, ხოლო რომელიცა სახლ-მტყუარისა და საცთურ მექონ იყო, განვყარე იგი და მტერითგან მაცხოვარება მოვსთვალ“. უნდა აღინიშნოს, რომ, დანარჩენ ხელნაწერთა ანდერძ-მინაწერების გათვალისწინებით, ესაა პირველი შემთხვევა, როდესაც თხზულების გადამწერი/რედაქტორი ანდერძში აღიარებს, რომ ტექსტი თავად გადააკეთა და მას საბას ხელიდან გამოსულად არ მოიხსენიებს.

იმის გასარკვევად, თუ კონკრეტულად რა შეასწორა მზეჭაბუკმა ტექსტში და რამდენად ჰგავს ან განსხვავდება მისეული ვერსია სხვა, ასევე რედაქტირებულ ნუსხათა ტექსტებისგან, მასში გამოიყო რედაქციული სხვაობების შემცველი ადგილები. ამ მუხლების ანალიზმა ცალსახად აჩვენა, რომ მზეჭაბუკისეული ტექსტი მართლმადიდებლური თვალსაზრისითაა ნასწორები, შესაბამისად, იგი შედარდა ორ, ამავე კონფესიური ჯგუფის რედაქციას: E-სა (ნიკოლოზ ორბელიანისეულს) და T-ს (ვახუშტი ბატონიშვილისეულს). ვინაიდან, T-სგან განსხვავებით, მზეჭაბუკის ტექსტში არ გვხვდება მუხლები რომის პაპის უზენაესობის დოგმატის საწინააღმდეგო მუხლები, მათ შორის განსხვავება ცხადი გახდა, ამიტომ A-627-ში მოთავსებული ტექსტი დეტალურად შედარდა მასთან უფრო ახლო მდგომ E რედაქციას.

კვლევამ აჩვენა, რომ მზეჭაბუკისეულ ვერსიაში E რედაქციის მსგავსადაა გადაწყვეტილი ძირითადი დოგმატური საკითხები: ერთი მხრივ, სულიწმინდის მამისაგან გამომავლობაა ხაზგასმული, მეორე მხრივ კი, ამოღებულია რომის პაპისადმი მორჩილების მუხლები და იგი ოთხი პატრიარქისადმი მორჩილების ქადაგებითაა შეცვლილი; გაირკვა, რომ, სავარაუდოდ, B რედაქციასთან ერთად, მზეჭაბუკს ნიკოლოზ ორბელიანისეული რედაქციიდანაც უნდა ესარგებლა. ამას ადასტურებს ტექსტის ის მონაკვეთები, რომლებიც B რედაქციიდან გადახვევისას ზუსტად მიჰყვება E რედაქციის ტექსტს. ვინაიდან ეს ლოგიკურად არაგანპირობებული გადახვევებია, ნაკლებად მოსალოდნელია, იდენტური ცვლილებები შემთხვევითი იყოს.

საგანგებო დაკვირვების საგნად იქცა მზეჭაბუკისეული

ტექსტის ენობრივი თავისებურებანიც. „სამოთხის კარის“ მზე-ჭაბუკ ორბელიანისეული ვერსია, თხზულების არსებულ რედაქციებთან მიმართებით, მორფოლოგიურ, ორთოგრაფიულ, სინტაქსურ, ფონეტიკურ და სტილისტიკურ თავისებურებებს ავლენს. ამის თქმის საფუძველს იძლევა A-627-ში დაცული ტექსტისა და ავტოგრაფული B რედაქციის შედარება. უმთავრესი, რაც მზეჭაბუკისეულ ვერსიას ამ მხრივ გამოარჩევს, არქაული ენობრივი ფორმების გათანამედროვეების ტენდენციაა. თუმცა ზოგიერთ შემთხვევაში საპირისპირო მოვლენაც ხდება – თანამედროვე ფორმები შედარებით არქაულით იცვლება. შეიძლება ითქვას, რომ ტექსტში თანაარსებობს ძველი და ახალი ენობრივი ფორმები.

დასკვნის სახით, შეიძლება ითქვას შემდეგი:

1. ხელნაწერ A-627-ში დაცული ტექსტი „სამოთხის კარის“ კიდევ ერთი ვერსიაა, რომელიც B და E რედაქციასთან კომპილაციის გზითაა შექმნილი.
2. უშუალოდ E რედაქციასთან მიმართებით იგი არ იძლევა ისეთ კონცეპტუალურ განსხვავებას, რომელიც მისი ცალკე რედაქციად გამოყოფისთვის საკმარისი იქნებოდა.

Sopio Menteshashvili

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

THE MENTIONING A MANUSCRIPT RELATED TO THE RESEARCH OF TEXTUAL PROBLEMS IN SULKHAN-SABA ORBELIANI'S "SAMOTKHIS KARI" (DOOR OF THE HEAVEN) (A-627)

Sulkhan-Saba Orbeliani's "Heaven's Gate" is a dogmatic work in which the main dogmas of the Christian faith are presented in the form of dialogue and question-and-answer. It is intended for catechizing children and uneducated monks. Ivane Lolashvili dedicated the work "From the Literary Work of Sulkhan-Saba Orbeliani (1698-1713)" to the study of the textual problems of Orbeliani's works. The researcher studied 21 manuscripts containing the text and identified four main redactions:

- A – Nikoloz Chachikashvili editorial office (S-2951)
- B – autograph edition (A-303)

- E – Nikoloz Orbeliani editorial office (H-581)
- T – Vakhushti Batonishvili editorial office (H-108)

It should be noted that there are no variants of A and B editions; the most variants of list E will be found (17 manuscripts). An exact copy of the T edition is preserved in one manuscript.

Editorial differences mainly have a dogmatic basis. In particular, these are dogmas about the coming of the Holy Spirit and the supremacy of the Pope. It is known that Orthodoxy recognizes the emanation of the Holy Spirit only from the Father, while Catholicism believes that it emanates from both the Father and the Son. Also, according to Catholicism, the Pope is Christ's successor on earth and his only successor, which is why he is infallible in ecclesiastical and moral matters.

The main difference between the editors of "Samotkhi Kari" is the above-mentioned dogmatic issues. According to this, they are divided into three confessional groups: Orthodox (E and T), Catholic (B), and confessionally neutral (edition A simply states that the Holy Spirit proceeds and does not specify from whom; moreover, it does not contain articles on the supremacy of the Pope) into redactions.

Ivane Lolashvili considered that the text of the A edition should be chronologically the first and also written by Saba. However, mutual comparison of redactions and codicological data prove that redaction B is the starting point, as a result of which redactions E and T arose from confessional editing. As for revision A, it must be the result of thorough editing of revision B.

Ekvtime Kochlamazashvili wrote about the existence of a possible fifth edition of "Samotkhi Kari" ("Heaven's Door"). as early as 1999: "In A-627, Sulkhan-Saba Orbelian's 'Book of Faith' is included... it is clear from the manuscript's will (78r) that Mzetchabuk Orbelian revised it to agree with Orthodox doctrine, the work of his uncle - Sulkhan-Saba." Later, Merab Ghaganidze also mentioned this fact and added that this manuscript was never taken into account in the research of the editorial problems of the works: "So far, even this possible unknown edition of 'Samotkhi Kari,' placed in the manuscript (A-627), which was not taken into account in the research of the works, has not yet become the subject of special research, nor the relation of this edition to the other, so far known editions."

In Ivane Lolashvili's famous work, A-627 is not mentioned anywhere among the manuscripts of "Samotkhi Kari." ("Heaven's Door"). It should be taken into account that the description of

several hundred manuscripts of the A fund exists only in Russian. It was compiled by Thedo Jordan and published in 1902. Theoretically, Ivane Lolashvili could have known about the Russian-language description; however, the non-naming of A-627 in his monograph proves otherwise. Most likely, the researcher was not familiar with Jordan's book. Otherwise, there is no way to explain the fact that A-627 was not considered in the study.

Within the framework of the research, the relationship between the existing editions of the text and works preserved in A-627 was established.

In the will attached to the manuscript, Mzechabuk Orbeliani writes that he changed the text written by Saba and "discarded" teachings unacceptable to the true believers: "This book of faith was made by Mr. Saba's uncle, and I, Mzechabuk Orbelian, from where did I see this, because it was new(!) As far as my ignorant mind could reach, I allowed and passed on the doctrine of the voice of the righteous, and the one that was common and the guidance, I accepted and gathered, and those that were in the house of liars and deceivers, I put them away and counted salvation from the enemy. It should be noted that, taking into account the bequests of the other manuscripts, this is the first time when the copyist/editor of the works admits in the will that he edited the text himself and does not refer to it as coming from Saba's hand.

In order to find out exactly what Mzechabuk corrected in the text and how similar or different his version is from the texts of other edited editions, the places with editorial differences were highlighted. The analysis of these articles clearly showed that the text by Mzechabuk is incorrect from the Orthodox point of view. Therefore, it was compared with two editions of the same confessional group: E (Nikoloz Orbelianiseuli) and T (Vakhushti Batonishviliseuli). Since, unlike T, there are no verses against the dogma of the Pope's supremacy in Mzechabuk's text, the difference between them became clear. Thus, the text in A-627 was compared in detail with the closer E redaction.

The research showed that in the Mzechabuki version, the main dogmatic issues are resolved similarly to the E edition: on the one hand, the emanation of the Holy Spirit from the Father is emphasized, and on the other hand, the articles of obedience to the Pope of Rome are removed and replaced by the preaching of obedience to the four patriarchs. It turned out that, probably, alongside the B

edition, Mzetchabuk should have benefited from Nikoloz Orbeliani's edition as well. This is confirmed by those sections of the text that, when turning from the B edition, follow exactly the text of the E edition. Since these are logically unrelated deviations, it is unlikely that identical changes are random.

The linguistic features of the Mzechabuki text became the subject of special observation. The Mzechabuk Orbelian version of "Samotkhi Kari" shows morphological, orthographic, syntactic, phonetic, and stylistic peculiarities in relation to the existing editions of the works. This is based on a comparison of the text preserved in A-627 and the autograph B redaction. The main thing that distinguishes the Mzechabuki version in this respect is the tendency to modernize archaic language forms. However, in some cases, the opposite happens - modern forms are replaced by archaic ones. It can be said that old and new linguistic forms coexist in the text.

In conclusion, the following can be stated:

1. The text preserved in manuscript A-627 is another version of " Samothkhis kari " ("Heaven's Door") created through the compilation of B and E redactions.
2. In direct relation to the E edition, it does not exhibit such conceptual differences that would be sufficient for its classification as a separate edition.

ირაკლი ფაღავა

გიორგი წერეთლის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტი
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

სევერიანე თურქია

დამოუკიდებელი მკვლევარი

ახალი მონაცემები თბილისის ჯა'ფარიანი ამირას, 'ალი ბ. ჯა'ფარის სამონეტო ისტორიისთვის (ახალი ტიპის ღირებულების ქისა და ჰ. 409 წ. უნიკალური ღირებულება)

თბილისის ჯა'ფარიანი ამირების სამონეტო მემკვიდრეობა ამ არაბული დინასტიის ისტორიის საკვლევად ერთ-ერთ ძირითად პირველწყაროს წარმოადგენს. საბედნიეროდ, ახალი

აღმოჩენები გვეხმარება უკეთ გავიაზროთ შუასაუკუნოვანი საქართველოს ტერიტორიაზე, ჯაფარიანთა საამიროს ჩათვლით, მიმდინარე პროცესები. 2009-2018 წლებში ირაკლი ფალავამ თანაავტორებთან ერთად გამოაქვეყნდა 'აღი ბ. ჯაფარის სამი აქამდე უცნობი და უნიკალური სამონეტო ტიპი (Paghava, Turkia 2009; Paghava, Bennett 2012; Paghava 2018). ახალი აღმოჩენები დაემატა ამ X-XI საუკუნეების ჯაფარიანი ამირას აქამდე ცნობილ ექვს სამონეტო ტიპს, რომლებიც გოჩა ჯაფარიძემ 1990-იან წლებში განიხილა (ჯაფარიძე 1991; Japaridze 1998). თუმცა, ჯაფარიანთა ნუმისმატიკური ისტორიის კვლევა 'აღი ბ. ჯაფარის სამონეტო ისტორიის ჩათვლით, არ დასრულებულა. წინამდებარე მოკლე სტატიის მიზანია გამოვაქვეყნოთ ახალი სამონეტო ტიპები და პატარა განძი (ქისა), რომელიც შეიცავდა 'აღი ბ. ჯაფარის რამდენიმე დირჰემს; ასევე მოკლედ განვიხილავთ 'აღი ბ. ჯაფარის ზეობის ნუმისმატიკური განხილვის ისტორიოგრაფიულ მნიშვნელობას.

მოგვყავს ახალი სამონეტო ტიპებისა და განძის აღწერა ([I აღნიშნავს ლეგენდების იმ ფრაგმენტებს, რომელიც ვერ იკითხება, ან სამონეტო ნამზადს აცდა).

ჰ. 409 წლის ტიპი ჯერჯერობით წარმოდგენილია უნიკალური ცალით (სუხ. 1.1), რომელიც, გადმოცემით, შემთხვევით ნაპოვნია სადღაც შიდა ქართლში (?). მონეტა შემდეგნაირია: წონა 1.25 გ, კვეთა 15 x 16 მმ, სიქების თანაფარდობა 1:00; AR (*de visu*);

შუბლი: ცენგხში შაჰადა, ხომედსაც მოჰყვება ხადიფა ალ-კა-დირ ბი-ლლაჰის სახელი:

لا اله الا
الله وحده
لا شريك له
القادر بالله

წიიული ლეგენდა (გახშემოხცემულია ხაზოვანი ხკადით):

«بسم الله ضرب هذا الدرهم بتفليل» سنة تسع و اربعمائة

სახელითა ღვთისაითა, იქნდა ესე დიხქემი თბილისს, წედსა ცხხასა და ოთხასსა

ზურგი: (ზურგის სიქას შუბლის სიქასთან შედარებით აშკარად უფრო დიდი სამუშაო ზედაპირი ჰქონდა): ცენგხში მოხსენიებულა მუჰამმადი, შემდეგ კი მოყვანილია მმახთვედი ამიხას ლაკაბები, ქუნდა, ისმი და ნასაბი:

«محمد

«رسول الله»
«الامير المظفر»
«المنصور أبو الأحسن»
«علي بن جعفر»
؟

[*მუჰამმადი ღვთის მოციქულია*]
ამიხა გამაჩჯვებული
დღევამოსილი აბუ ად-ჰასანი
‘ალი ბ. ჯა‘ფაჰი
?

წიგნი დეგენდა: მოდიფიცირებული ყურანი IX, 33:

«محمد رسول الله لرسوله» بالهدى ودين الحق ليظهره على الدين كله ولو كره المشركون»
მუჰამმადი ღვთის მოციქულია. იგია ვინც წახმოაგზავნა თავისი მოციქული წიგნი გზითა და ქეშმახიგების სახწმუნოებით, ხათა გამაჩჯვებინოს მას ყვედა ხწმენაზე, თუნდაც ეს სძაგდეთ წახმახით

საბედნიეროდ, სამონეტო ნამზადზე მოხვდა როგორც მოჭრის ადგილი - „თბილისი“, ჯა‘ფარიანთა ერთადერთი ზარაფხანა, ასევე თარიღიც - ჰ. 409 წ., ანუ 1018/9, რომელიც ‘ალი ბ. ჯა‘ფარის მონეტებისთვის ადრე უცნობი იყო.

შენადნობის შემადგენლობის ანალიზი ვერ განხორციელდა, თუმცა ვიზუალურად მონეტა მაღალი სინჯის ვერცხლის შთაბეჭდილებას ტოვებს. მიუხედავად ამისა, დიამეტრით ის საგრძნობლად ჩამორჩება სტანდარტულ ქუფურ დირჰემს, რაც თბილისის საამიროს სამონეტო საქმეზე ვეჩხბდის კიზისის ზეგავლენაზე მიუთითებს.

ეს ახალი სამონეტო ტიპი მეტად ემსგავსება ‘ალი ბ. ჯა‘ფარის ჰ. 413 და 418 წლებით დათარიღებულ სამონეტო ტიპებს; სამივეს ზურგის თითქმის იდენტური ლეგენდა აქვთ, რომელიც იგივენაირად არის განაწილებული (ჯაფარიძე 1991, 138-144; Japaridze 1998, 100-103).

ახალი სამონეტო ტიპი ‘ალი ბ. ჯა‘ფარის სახელით (უცნობი თარიღით).

2022 წლის თებერვალში მოგვეცა შესაძლებლობა შეგვესწავლა პატარა განძი (ქისა), რომელიც შეიცავდა ქუფური წარწერების მატარებელ სამ ვერცხლის (ან მოვერცხლილ) დირჰემს (მონეტები 1-3, სუხ. 2.1-2.3). გადმოცემით, მონეტები შემთხვევით თანამედროვე თბილისის მიდამოებშია ნაპოვნი. ორი ეგზემპლარი ერთმანეთზე იყო მიკრული, რასაც მონეტების *de visu*

1 ორ საზად?

შესწავლაც ადასტურებს (მონეტები 1, 3, სუხ. 2.1, 2.3). მოგვიანებით, უკვე 2023 წელს შეგხვდა იმავე ტიპის კიდევ ორი ეგზემპლარი (მონეტები 4-5, სუხ. 2.4) (მათი პოვნის ადგილი უცნობია):

მონეტა 1, სურ. 2.1: წონა 1.24 გ, კვეთა 11 x 12 მმ, სიქების თანაფარდობა 5:00;

მონეტა 2, სურ. 2.2: წონა 1.37 გ, კვეთა 16 x 17 მმ, სიქების თანაფარდობა 5:45;

მონეტა 3, სურ. 2.3: წონა 2.83 გ, კვეთა 20 x 21 მმ, სიქების თანაფარდობა 4:45;

მონეტა 4, სურ. 2.4: წონა 1.36 გ, კვეთა 15 x 17 მმ, სიქების თანაფარდობა 11:45 (ზურგზე ორმაგი დარტყმის კვალია);

მონეტა 5, სურ. 2.5: წონა 1.29 გ, კვეთა და სიქების თანაფარდობა უცნობა (სამაგიეროდ, ამ ცალზე იკითხება მოჭრის ადგილი).

ყველა ეგზემპლარი ერთსა და იმავე სამონეტო ტიპს მიეკუთვნება, რომელიც გამოირჩევა თავისებური კალიგრაფიით, ე.ი. განსაკუთრებით ფოთლოვანი, რომ არ ვთქვათ აყვავებული ქუფურით (ზედწერილების თავისებური კალიგრაფია იძლევა საშუალებას ამ ტიპის ცალები ძალიან ადვილად გამოვარჩიოთ); უფრო მეტიც, ყველა ეს ეგზემპლარი, როგორც ჩანს, სიქების ერთი და იმავე წყვილითაა მოჭრილი. აქედან გამომდინარე, ხელმისაწვდომ ცალებზე შემონახული ფრაგმენტების აწყობით შესაძლებელი ხდება ლეგენდების რეკონსტრუქცია.

ყველა შემონახული ცალის მიხედვით ეს ახალი ტიპი შემდგენაირად წარმოგვიდგება:

შუბლი: ცენტრში შაჰადა, *ხომედსაც მოჰყვება ხადიფა ალ-კადირ ბი-ლლჰაჰის სახელი და 'იზზ (ძლიერება); ზემოთ ექვსქიმიანი ვარსკვლავი:*

*

لا اله الا
الله وحده
لا شريك له
القادر بالله»
عز

წიხული ლეგენდა:

بِسْمِ اللَّهِ [ضرب هذا] درهم بتفليس [سنة ...] و اربعمائة
სახელითა ღვთისაითა, იქნება ესე დიხჰემი თბილისს, წედსა ...
და ოთხასსა

ზურგი: ცენტრში მოხსენიებულია მუჰამმადი, შემდეგ კი მოყვანილია მმართველი ამიხას ლაკაბები, ქუნდა, ისმი და ნასაბი; ზემოთ ვინიეცია (privy mark?):

؟

محمد
رسول الله الامير
«المظفر المنصور»
ابو الحسن
علي بن جعفر

?

მუჰამმადი
ღვთის მოციქულია. ამიხა
გამაჩვენებუდი ძღევამოსიდი
აბუ ად-ჰასანი
‘აღღ ბ. ჯა’ფაჰი

წიხური დეგენდა: მოდიფიცირებული ყურანი IX, 33 (როგორც ზემოთ):

«محمد رسول الله لرسله بالهدى ودين الحق ليظهره على الدين كله ولو كره المشركون»

ერთ-ერთი ცალზე იკითხება მოჭრის ადგილი: თბილისი; სა-
მნუხაროდ, არცერთ ცალზე არ არის მოხვედრილი მოჭრის თა-
რილი. თეორიულად, ეს სამონეტო ტიპი შეიძლება მოჭრილიყო
‘აღღ ბ. ჯა’ფარის ზეობის ნებისმიერ პერიოდში; თუმცა, წონისა
და ზომის უნესობა ასახავს თბილისის საფასის ვეჩცხდის კიზი-
სით განპირობებულ ტრანსფორმაციას. მეორე მხრივ, ყველაზე
ცოტა ზოგიერთი ცალი (მონეტები 4-5, სუხ. 2.4-2.5) ვიზუალურად
მაინც შედარებით მაღალი სინჯის ვერცხლის შთაბეჭდილებას
ტოვებს.

*

რაც შეეხება მათ ისტორიულ მნიშვნელობას, ‘აღღ ბ. ჯა’ფა-
რის ახალი სამონეტო ტიპები გვეხმარება გავერკვიოთ თბილი-
სის საამიროს მრავალწახნაგოვან ისტორიაში. ამ ორი ახალი
სამონეტო ტიპის მონეტები წარმოადგენს საქართველოში
არაბობის ისტორიის ამსახველ სამონეტო არტეფაქტებს; და-
მატებით პირველწყაროს თბილისის საამიროს სამონეტო პო-
ლიტიკაზე, და, შესაბამისად, ეკონომიკურ ისტორიაზე, ისევე
როგორც ამ სახელმწიფოს პოლიტიკურ ისტორიაზე მსჯელო-
ბისთვის.

უკვე ვიცნობთ ‘აღღ ბ. ჯა’ფარის თერთმეტ (sic) განსხვავე-
ბულ სამონეტო ტიპს. სავარაუდოდ, დროთა განმავლობაში გა-
მოჩნდება ამ ამირას (აქტ. კ. 386-418) სახელით მოჭრილი კიდევ
ახალი სამონეტო ტიპებიც. ეს კი ადასტურებს თბილისის ზა-

რაფხანის შედარებით აქტიურ და *ხეგუდახუდ* საქმიანობას. ხომ არ შეიძლება ისიც კი ვივარაუდოთ, რომ თბილისის ზარაფხანა მონეტებს *ყოველწილიხად* უშვებდა?

ბუნებრივია, მოჭრის თარიღი შემოგვინახა გადარჩენილ ცალთა მხოლოდ ნაწილმა. დღეისთვის, ცნობაში მოყვანილი თერთმეტი სამონეტო ტიპიდან მხოლოდ შვიდია დათარიღებული (დანარჩენი დღესაც დაუთარიღებელია და მათი დათარიღება მხოლოდ მიახლოებითია): ჰ. 386 (996/7), 393 (1002/3), 394 (1003/4) ან 404 (1013/4), 409 (1018/9) (ახალი აღმოჩენა), 413 (1022/3), 418 (1027/8). ეს წლები წარმოადგენს 'ალღ ბ. ჯაფარის *აქტიუხობის* (*floruit*) სარწმუნო თარიღებს. 'ალღ ბ. ჯაფარის ზეობის ქრონოლოგიის დაზუსტება განსაკუთრებით აქტუალური გახდა მას შემდეგ, რაც აღმოჩნდა მეზობელი ქრისტიანული ქართული სახელმწიფოს, კახეთ-ჰერეთის სამეფოს მონარქის, კვირიკე III დიდის დირჰემები, მოჭრილი *თბილისში*, რომელიც დაახლოებით თარიღდება 1014-1031 წლების შუალედით (Paghava, in print). საფიქრებელია, კვირიკე III-მ რაღაც დროს დაიკავა თბილისი; ეს კი ნიშნავს რომ 'ალღ ბ. ჯაფარის ზეობა შესაძლოა წყვეტილი იყო.

დედაქალაქში ზარაფხანის აქტიური მუშაობა შეიძლება (თუნდაც XI საუკუნის დასაწყისისთვის ტერიტორიულად დაკნინებული) საამიროს აყვავებულ ეკონომიკაზე მიუთითებდეს.

თუმცა, რთული სათქმელია, ახალი სამონეტო ტიპების გამოშვება ნამდვილად თუ ასახავდა მოთხოვნილებას *ღამატებით* საფასეზე; ანუ, *მზახდ* ეკონომიკასა და საამიროსა თუ რეგიონში ინტენსიურ ფულად მიმოქცევას; შეიძლება ისიც დავუშვათ, რომ ძველ საფასეს რეგულარულად (ყოველწილიურად?) ახალ საფასედ გადაჭედავდნენ, სახელმწიფო შემოსავლების გასაზრდელად.

განძების მონაცემები როგორც ჩანს პირველ ვერსიას ეხმიანება. ყოველ შემთხვევაში, როგორც თბილისის მიზგითის, ასევე ქვახვრელის განძები შეიცავდა ჰ. როგორც 413 ასევე 418 წლების მონეტებს (Kapanadze 1961; ანთაძე 1986; ჯაფარიძე 1991, 142-144; Japaridze 1998, 102-103). მეორე მხრივ, 'ალღ ბ. ჯაფარის ახალი ტიპის მონეტებისგან შემდგარი განძი (ქისა) შეიცავდა მხოლოდ ერთი და იმავე ტიპის მონეტებს. თუმცა, საზოგადოდ, ხანმოკლე დაგროვების განძები შეიცავს მხოლოდ ბოლოდროინდელი ტიპის მონეტებს; ასე რომ, მონეტათა მცირე რაოდენობიდან გამომდინარე, ვერ გამოვრიცხავთ, რომ 'ალღ ბ. ჯაფარის წინარე ტიპის მონეტები აგრძელებდა მიმოქცევას

ხსენებული ქისის ტეზავრაციის პარალელურად, თუმცა, მცირე რაოდენობით.

თუ ვიმსჯელებთ თბილისის მიზგიეთისა და ქვახვრელის განძებით, გამოვთქვამდით ვარაუდს, რომ ახალი ტიპის მონეტების შემოღება არ გულისხმობდა წინარე ტიპის/ების მიმოქცევაში მყოფი საფასის სავალდებულო გადაჭედვას. თუმცა, ადრეული და მაღალი სინჯის ვერცხლის დირჰემებისა და გვიანდელი ბილონისა თუ მოვერცხლილი (ოფიციალურად, კვლავაც *დიჰემები*დ წოდებული) მონეტების ერთნაირი სტატუსით მიმოქცევა, წონითა თუ თვლით, შეუძლებლად გვეჩვენება. კოპერნიკ-გრეშემის კანონის ძალით, ცუდი ფული განდევნის კარგს, იმ პირობით რომ ორივეს ანგარიშწორების კანონიერ საშუალებად მიიჩნევენ. დაშვებულიც რომ ყოფილიყო დავუშვათ, ორი განსხვავებული ტიპის (ღირებულების) საფასის ერთდროულად მიმოქცევა, ნაკლებ მოსალოდნელია, ერთმანეთს ერთ განძში შერეოდნენ. აღსანიშნავია, რომ ჰ. 413 და 418 წლების მონეტები, რომლებიც თბილისის მიზგიეთისა და ქვახვრელის განძებს შეადგენს, ერთმანეთს ძალიან ემსგავსება არა მარტო ვიზუალურად, არამედ მეტროლოგიურადაც. გამოვთქვამთ ვარაუდს, რომ ერთად აგრძელებდნენ მიმოქცევას (შეეძლოთ მიმოქცევა და დაიშვებოდნენ მიმოქცევაში) მხოლოდ ძვირფასი ლითონის შემადგენლობის მხრივ მიმსგავსებული მონეტები; ხოლო უფრო მაღალი შინაგანი ღირებულების წინარე მონეტებს (რომელიც წონითა თუ თვლით მიმოქცეოდა) ხელისუფლება აუქმებდა ან გამოითხოვდა, როგორც ამას გოჩა ჯაფარიძე ფიქრობდა (ჯაფარიძე 1991, 145-146; Japaridze 1998, 104); შეიძლება ასევე დავუშვათ, რომ ისინი ცაღკე მიმოქცეოდა როგორც მაღალი ღირსების საფასე (?), ანდა, რაც უფრო მოსალოდნელია, კოპერნიკ-გრეშემის კანონის ძალით გამოიდევენებოდა ფულადი მიმოქცევიდან.

დამონმებანი:

ანთაძე მერი. 1986. „ქვახვრელის განძი“. *საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე*, XXXVIII-B: 121-125.

ჯაფარიძე გოჩა. 1991. „თბილისის ამირა ‘ალი იბნ ჯაფარის მონეტები“. *ამიეჩკავკასიის ისტორიის ჰობდემები*. თბილისი: 132-150.

Japaridze Gocha. 1998. "On the Coins of the Tbilisi Amīr 'Alī b. Ġa'far". *Bulletin D'Études Orientales*, L: 97-107.

Paghava Irakli. In print. *The Coins of Kvirike III the Great*.

Paghava Irakli. 2018. "A Unique AH 393 Dirham of 'Alī b. Ja'far, Ja'farid Emir of Tiflīs". *Journal of Oriental Numismatic Society*, 233: 24-25.

Paghava Irakli, Bennett Kirk. 2012. "New Monetary Material for the Numismatic History of 'Alī B. Ja'far, Ja'farid Emir of Tiflīs, and its Significance". *Journal of Oriental Numismatic Society*, 213: 11-12.

Paghava Irakli, Turkia Severiane. 2009. "A New Early Coin Type of 'Alī b. Ja'far, Emir of Tiflīs, Citing the Caliph Al-Tā'ī' li-llāh." *Journal of Oriental Numismatic Society*, 199: 7-9.

Капанадзе Давид. 1961. "Клад монет начала XI в. Тбилисского эмира 'Али ибн Джа'фара". *Эпиграфика Востока*, XIV: 71-78. [Kapanadze David. 1961. "A Hoard of Coins of the Beginning of the 11th C. of 'Ali ibn Ja'far, Emir of Tiflis"]



სურ./Fig. 1.1



სურ./Fig. 21



სურ./Fig. 2.2



სურ./Fig. 2.3



სურ./Fig. 2.4



სურ./Fig. 2.5

Irakli Paghava

Giorgi Tsereteli Institute of Oriental Studies,
Ilia State University

Severiane Turkia

Independent researcher

**NEW DATA ON THE MONETARY HISTORY OF 'ALĪ B. JA'FAR,
JA'FARID EMIR OF TIFLĪS
(A SMALL HOARD OF NEW TYPE DIRHAMS AND A UNIQUE AH
409 DIRHAM)**

The monetary legacy of the Ja'farid emirs of Tiflīs constitutes one of the primary sources on information on the history of this Arab dynasty. Fortunately, new discoveries further expand our understanding of historical processes on the territory of the medieval Georgia, including the Ja'farid emirate. In 2009-2018 Irakli Paghava et al. published three previously unknown and unique coin types of 'Alī b. Ja'far (Paghava, Turkia 2009; Paghava, Bennett 2012; Paghava 2018). These discoveries supplemented six previously known coin types of this 10th-11th c. Ja'farid emir reviewed by Gocha Japaridze in the 1990s (ჯაფარიძე 1991; Japaridze 1998). Evidently, numismatic research of the Ja'farids has been far from complete, including the monetary history of 'Alī b. Ja'far's reign. By means of this short article we pursue **the goal** of publishing new coin types and a small hoard (*a purse*) comprising several dirhams of 'Alī b. Ja'far; we will also review briefly the historiographical significance of analysing 'Alī b. Ja'far's reign numismatically.

We proceed with descriptions of the new coin types and the hoard ([] designate illegible or off-flan fragments of the legends).

AH 409 type is so far represented by a unique specimen (*Fig. 1.1*), reportedly constituting an accidental find from the Shida Kartli region of Georgia (?). The coin is as follows: Weight 1.25 g, dimensions 15 x 16 mm, die axis 1:00; AR (*de visu*);

Obverse: *Shahāda followed by the name of Caliph al-Qādir bi-llāh in central area:*

لا اله الا
الله وحده
لا شريك له
القادر بالله

Marginal legend (surrounded by circular border):

«بسم الله ضرب هذا الدرهم بتقليد سنة تسع و اربع مائة»

In the name of God, was struck this dirham in Tiflīs year nine and four hundred

Reverse (the reverse die evidently had a much bigger working area, than the obverse one): *Muḥammad is acknowledged, followed by laqabs, kunyā, ism and nasab of the ruling emir in central area:*

محمد
«رسول الله
الامير المظفر
المنصور ابو الحسن
علي بن جعفر
؟

[*Muḥammad is the messenger of God*]
Emir the victorious
the triumphant Abū Al-Ḥasan
‘Alī b. Ja’far
?

Marginal legend: Modified Al-Qur’ān IX, 33:

«محمد رسول الله لرسله» بالهدى ودين الحق ليظهره على الدين كله ولو كره المشركون»

Muḥammad is the apostle of God, Who has sent him with guidance and the religion of truth that he may make it prevail over all religion, even if the polytheists disagree

Fortunately, both mint-place and date are on flan: "Tiflīs", the sole mint of Ja’farids, and the date – AH 409, i.e. 1018/9, previously unattested to the coinage of ‘Alī b. Ja’far.

No alloy composition analysis could be performed, but visually the coin seems to be composed of relatively high-standard silver. Nevertheless, its diameter is much less than that of the standard Kūfic dirham, indicating the ongoing silver crisis affecting the monetary system of the Tiflīs Emirate.

This new coin type exhibits much semblance with the AH 413 and

1 In two lines?

418 types of 'Alī b. Ja'far's currency; all three have almost identical reverse legend distributed in a similar way (ჭაფარძე 1991, 138-144; Japaridze 1998, 100-103).

New coin type in the name of 'Alī b. Ja'far (with date missing).

We had an opportunity to study a small hoard comprising only three silver (or silverwashed) dirhams with Kūfic inscriptions in February 2022 (Coins 1-3, *Figs. 2.1-2.3*). Reportedly, the coins were found in the vicinities of modern Tbilisi, i.e. ancient Tiflīs. Two specimens were adhered to each other, as confirmed by *de visu* study of the coins (Coins 1, 3, *Figs. 2.1, 2.3*). Later on, already in 2023, we happened to encounter two more specimens of the same type (Coins 4-5, *Fig. 2.4*) (find location unknown):

Coin 1, *Fig. 2.1*: Weight 1.24 g, dimensions 11 x 12 mm, die axis 5:00;

Coin 2, *Fig. 2.2*: Weight 1.37 g, dimensions 16 x 17 mm, die axis 5:45;

Coin 3, *Fig. 2.3*: Weight 2.83 g, dimensions 20 x 21 mm, die axis 4:45;

Coin 4, *Fig. 2.4*: Weight 1.36 g, dimensions 15 x 17 mm, die axis 11:45 (double struck on the reverse side);

Coin 5, *Fig. 2.5*: Weight 1.29 g, dimensions and die axis not available. (mintname legible).

All of the specimens pertained to the same coin type, remarkable for its peculiar calligraphy, i.e. extremely foliated, almost floriated Kūfic (the specific calligraphy of the inscriptions helps to distinguish the specimens of this coin type quite easily); moreover, they all seemingly were struck with the same pair of dies. Therefore, the legends can be reconstructed based on the extant fragments legible on the available specimens.

The general description of this new coin type, based on all the extant specimens is as follows:

Obverse: *Shahāda followed by the name of Caliph al-Qādir bi-llāh and 'izz (might/power) in central area; a six-rim star on top:*

×
لا اله الا
الله وحده
لا شريك له
القادر با«الله»
عز

Marginal legend:

بسم الله [ضرب هذا الدرهم بتفليس سنة ...] واربعمائة

In the name of God, was struck this dirham in Tiflīs year ... and

four hundred

Reverse: Muḥammad *is acknowledged, followed by laqabs, kunyā, ism and nasab of the ruling emir in central area, a vignette (or privy mark?) on top:*

؟
محمد
رسول الله الامير
«المظفر المنصور
ابو الحسن
على» بن جعفر

?

*Muḥammad
is the messenger of God Emir
the victorious the triumphant
Abū Al-Ḥasan
'Alī b. Ja'far*

Marginal legend: Modified Al-Qur'ān IX, 33 (as above):

«م» محمد رسول الله لرسله بالهدى ودين الحق ليظهره على الدين كله ولو كره المشركون»

The mint-place is on flan: Tiflīs; however, the date unfortunately is off-flan on all the extant specimens. This coin type could have been issued at any time during the entire reign of 'Alī b. Ja'far, but the irregularity of weight and size reflects the transformation of the Tiflīs Emirate currency predetermined by the upcoming *silver famine*. On the other hand, visually at least some of the specimens (Coins 4-5, Figs. 2.4-2.5) seem to be composed of relatively high-standard silver.

*

As to historical significance, the new coin types of 'Alī b. Ja'far contribute to clarifying the multifaceted history of the Tiflīs Emirate. By means of these two new coin types we have the monetary artifacts pertaining to and reflecting the history of the Arab sway in Georgia; but also additional primary source on the monetary policy, and hence economic situation in the Tiflīs Emirate, as well as the political history of this state.

We already know no less than eleven (*sic*) different coin types in the name 'Alī b. Ja'far. Most probably, more new types issued in the name of his emir (fl. AH 386 / - AH 418 /) are to show up over the course of time. This testifies to the relatively high and *regular*

activity of the Tiflīs mint. One would even conjecture that the Tiflīs mint issued coinage *annually*.

Naturally, only some of the surviving specimens have preserved the (minting) dates. For the moment, out of eleven coin types we know the dates for seven of them (the rest remain undated and can be dated only tentatively): AH 386 (996/7), 393 (1002/3), 394 (1003/4) or 404 (1013/4), 409 (1018/9) (new discovery), 413 (1022/3), 418 (1027/8). These years constitute the reliable chronological *floruit* dates for 'Alī b. Ja'far. Ascertaining the chronology of 'Alī b. Ja'far's reign has become particularly stringent considering the discovery of *Tiflīs* dirhams of K'wirik'e III the Great, king of the neighbouring Georgian Christian state of K'akheti-Hereti, putatively dated 1014-1031 (Paghava, in print). Evidently, K'wirik'e III occupied Tiflīs at some point in this time period; that means that 'Alī b. Ja'far's reign could be *intermittent*.

Vigorous minting activity in the capital can be interpreted as an indication of the flourishing economy of the Emirate (mostly reduced territorially by the 1st quarter of the 11th c. to immediate *hinterland* of Tiflīs).

However, it is hard to say, whether issuing of the new types truly reflected the continuous demand for *supplementary* money, i.e. *expanding* economy and intense monetary circulation within the Emirate or in the region; alternatively, the old money could be reminted on a regular (annual?) basis to increase state revenues.

The hoard evidence seemingly supports the former version. At least both the Tbilisi mosque and Kvakhvrelī hoards comprised the coins of both AH 413 and 418 types (Капанадзе 1961; ანთაძე 1986; ჭაფარბიძე 1991, 142-144; Japaridze 1998, 102-103). On the other hand the small hoard (purse) of the new type coins of 'Alī b. Ja'far was composed of the coins of just one type. However, generally, and understandably enough, the short-term accumulation hoards contain mostly the latest coin type/s, and due to the limited sample size, we cannot rule out that 'Alī b. Ja'far's dirhams of prior types continued to circulate contemporaneously, albeit in smaller numbers.

Based on the Tbilisi mosque and Kvakhvrelī hoards, we would conjecture that introducing the new types apparently did not imply the obligative recoinage of the circulating currency of earlier type/s. Nevertheless, simultaneous circulation (or hoarding) of the early high-standard silver dirhams on a par with the late-period billon or silver-washed coins (officially still designated *dirhams*), no matter

whether by tale or weight, seems to be impossible. By Copernicus-Gresham's law, bad money drives out good, provided both are recognized as legal tender. Even if allowed to circulate freely, albeit having been assigned different value, these say two types of currency would hardly mix in the same hoard. Remarkably, the AH 413 and 418 coins forming the Tbilisi mosque and Kvakhvrelis hoards are very similar to each other not only visually, but by means of metrology as well. We would conjecture that only the coins of similar precious metal content continued (could and were allowed to continue) to circulate conjointly, while the antecedent coins with higher intrinsic value (valued by tale or weight) were either annulled and recalled by authorities, as considered by Gocha Japaridze (ჭაფარიძე 1991, 145-146; Japaridze 1998, 104); or circulated *separately* as specific high-value coinage (?), or even more likely, were driven from circulation by Copernicus-Gresham's law.

References:

ანთაძე მერი. 1986. „ქვახვრელის განძი“. *საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე*, XXXVIII-B: 121-125. [Antadze Mary. 1986. "The Hoard of Kvakhvrelis"]

jafariZe goCa. 1991. "Tbilisis amiras 'ali ibn ja'faris monetebi". *amierkavkasiis istoriis problemebi*. Tbilisi: 132-150. [Japaridze Gocha. 1991. "Coins of Tbilisi Emir 'Alī ibn Ja'far"]

Japaridze Gocha. 1998. "On the Coins of the Tbilisi Amīr 'Ali b. Ġa'far". *Bulletin D'Études Orientales*, L: 97-107.

Paghava Irakli. In print. *The Coins of Kvirike III the Great*.

Paghava Irakli. 2018. "A Unique AH 393 Dirham of 'Alī b. Ja'far, Ja'farid Emir of Tiflis". *Journal of Oriental Numismatic Society*, 233: 24-25.

Paghava Irakli, Bennett Kirk. 2012. "New Monetary Material for the Numismatic History of 'Alī B. Ja'far, Ja'farid Emir of Tiflis, and its Significance". *Journal of Oriental Numismatic Society*, 213: 11-12.

Paghava Irakli, Turkia Severiane. 2009. "A New Early Coin Type of 'Alī b. Ja'far, Emir of Tiflis, Citing the Caliph Al-Tā'ī li-llāh." *Journal of Oriental Numismatic Society*, 199: 7-9.

Капанадзе Давид. 1961. "Клад монет начала XI в. Тбилисского эмира 'Али ибн Джа'фара". *Эпиграфика Востока*, XIV: 71-78. [Kapanadze David. 1961. "A Hoard of Coins of the Beginning of the 11th C. of 'Ali ibn Ja'far, Emir of Tiflis"]

თამაზ გოგოლაძე

კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს
ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი

დარეჯან გველესიანი

დამოუკიდებელი მკვლევარი

ერთი საინტერესო მინაწერი კლარჯული სვინაქსრის (A-97) აშიეზიდან და მისი მნიშვნელობა ფანჩულიძეთა საგვარეულოს შესახებ

როგორც ცნობილია, XI საუკუნის 60-იანი წლების მეორე ნახევარში კლარჯული სვინაქსარი (A-97) წყაროსთაველ ხუცესმონაზონ, ეგნატის მიერ გიორგი მთაწმინდელის მოსახსენებლად იქნა გადაწერილი. მის აშიეზზე მოგვეპოვება ასეულობით სხვადასხვა ტიპის მოსახსენებელი მინაწერი. ჩვენი ყურადღება მიიქცია ხელნაწერის 231 v-ზე შესრულებულმა ერთ-ერთმა მინაწერმა, რომელსაც ჩვენამდე შემდეგი სახით კითხულობდნენ:

„ფანჩიძესა იაკობს და მისა მემცხედრესა ადუსაჯანს შეუნდნეს ღმერთმან და მისთა დედა-მამათა შეუნდნეს ღმერთმან“.

ჩვენ მინაწერს შემდეგი სახით ვკითხულობთ:

f & iZesa iakobs da misa mmcxedr esa adusaj ns S&ns R&:
da misTa deda m&nyTa S&ns R&

„ფ(ა)ნჩ(უ)ლიძესა იაკობს და მისა მ(ე)მცხედრესა ადუსაჯანს შეუნდნეს ღმერთმან და მისთა დედა-მ(ა)მ(ა)თა შეუნდნეს ღმერთმან“.

ტექსტის დაზუსტების შედეგად გაირკვა, რომ ეს მოსახსენებელი წარმოადგენს არა ვინმე იაკობ ფანჩიძის, მისი მეუღლისა და მისი მშობლების მოსახსენებელ ტექსტს, არამედ იაკობ ფანჩულიძის, მისი მეუღლის ადუსაჯანისა და მისი მშობლების მოსახსენებელს. კოლოფონი პალეოგრაფიული ნიშნების მიხედვით XV-XVI საუკუნეებით უნდა დათარიღდეს.

ტექსტის დაზუსტების შემდეგ, რთული გამოსაცნობი აღარ არის თუ რომელ იაკობ ფანჩულიძე იხსენიება აღნიშნულ მოსახსენებელში. ჩვენი აზრით, აქ იხსენიება XV საუკუნის მეორე ნახევრისა და XVI საუკუნის დასაწყისის ცნობილი საეკლესიო პირი და კალიგრაფი, სამეფო კარის მწიგნობარი - იაკობ ფანჩულიძე.

პირველად ეს საგვარეულო ერთიანი საქართველოს უკანა-

სკნელი მეფის, გიორგი VIII-ის 1464 წლის შეწირულების წიგნში გელათის მონასტრისადმი იხსენიება, რომლითაც მეფე გიორგი გელათის მონასტერს მღვიმის ეკლესიასა და იქ მსახლობელ გლეხებს - ფანჩულისძეებს სწირავს. ამავე ხანებში, 1455-1467 წლებში ბაგრატ VI იობ ფანჩულიძეს, მის შვილებს - ბართლომესა და იაკობს წყალობის სიგელს აძლევს. დოკუმენტის მიხედვით, ბაგრატ მეფე იობ ფანჩულიძესა და მის შვილებს: ბართლომესა და იაკობს წყალობის სახით აძლევს გელათს სენაკს, სატრაპეზოს გვერდით საბოსტნეს, სატრაპეზოს ქვემოთ მდებარე სათიბ-სავენახე ადგილს. გარდა ამისა, დაუნაშვილის ვენახის გამოღმა, ვახტანგის სამწირველოს „შემომარგლობით“ ზემოთ სათიბს, კურსებს მცხოვრებს ქარსაგასძეს თავისი მამულებით, რის სანაცვლოდაც გიორგობის საუფლო დღესასწაულზე ორი ჟამისწირვა უნდა გადაეხადათ მათი სულის მოსახსენებლად. მეფე ფანჩულისძეებს ყველა გადასახადისაგან ათავისუფლებს გარდა გალატობობისა. როგორც დოკუმენტის ტექსტიდან ვიგებთ, ამ გვარის წარმომადგენლებს გელათში სამშენებლო სამუშაოებიც უნდა განეხორციელებინათ. როგორც ჩანს, ისინიც პირნათლად ასრულებდნენ ამ დაკისრებულ გადასახადს, რისი ნათელი დასტურიცაა იაკობ ფანჩულისძის წარწერა მის მიერ ქვის შეწირვის შესახებ. წარწერა ასე იკითხება: „გ. ეს[ე] ქვა, ი[ა]კ[ო]ბ მოგ[ართუა] ფ[ან]ჩ[უ]ლ[ის] ძ[ემ]მ, შ[ე]უნდ[ო]ს ღ[მ]ერთმა, ამ[ე]ნ“.

ქართულ ისტორიოგრაფიაში (ვალერი სილოგავა, ნიკოლოზ ჟღენტი) წარწერას პალეოგრაფიული მონაცემების მიხედვით XV-XVI საუკუნეებით ათარილებდნენ. თუ გავითვალისწინებთ ერთი მხრივ იმ ფაქტს, რომ 1464 წლის გიორგი VIII შეწირულების საბუთს, სადაც პირდაპირ არის მითითებული, რომ მეფემ გელათს მღვიმევის ეკლესია და იქ მცხოვრები გლეხები: ფანჩულისძეები შესწირა და მეორე მხრივ, 1513 წლის ქართულ ისტორიულ საბუთში იაკობ ფანჩულისძის უკვე როგორც ჯვარისმტვირთველად მოხსენიების ფაქტს, წარწერის ქრონოლოგიას კიდევ უფრო დავავიწროვებთ და მას ზოგადი ქრონოლოგიური მონაკვეთის - XV-XVI საუკუნეების ნაცვლად, 1464-1513 წლებით დავათარილებთ. ამჟამად, წარწერიანი ქვა იაკობ ფანჩულიძისა გელათის სამონასტრო კომპლექსის ეზოში დევს და ძნელია რაიმეს გადაჭრით თქმა იაკობ ფანჩულიძის წარწერა-საბუთი თუ რომელ ეკლესიის კუთვნილების წარმომადგენს. კლარჯული სვინაქსრის მინაწერის მიხედვით, იაკობ ფანჩულიძის მეუღლეს სახელად ადუსაჯანი ჰრქმევია, რაც დღემდე

უცნობ ფაქტს წარმოადგენდა. სამწუხაროდ, კოლოფონში არ არის დაკონკრეტებული თუ რომელი საგვარეულოს წარმომადგენელი იყო იაკობ ფანჩულიძის ცოლი, ადუსაჯანი.

Tamaz Gogladze

Korneli Kekelidze National Centre of Manuscripts

Darejan Gvelesiani

Independent researcher

ONE INTERESTING INSCRIPTION FROM THE EDGE OF KLARJIAN SVINAKSR (A-97) AND ITS MEANING FOR THE LINEAGE OF PANCHULIDZE FAMILY

As it is known, in the second half of the 60s of the 11th century, Klarjian Svinaksar (A-97) was transcribed by monk Egnati from Tskharostavi, to commemorate Giorgi the athonite. Hundreds of different types of commemorating inscriptions can be found on its edges. Our attention was drawn to one of the inscriptions on manuscript v. 231, that before us was read as follows:

„ფანჩიდესა იაკობს და მისა მემცხედრესა ადუსაჯანს შეუნდნეს ღმერთმან და მისთა დედა-მამათა შეუნდნეს ღმერთმან“.

ჩვენ მინაწერს შემდეგი სახით ვკითხულობთ:

f &CiZesa iakobs da misa mmcxedr esa adusaj ns S&ns R&:
da misTa deda m&mYTa S&ns R&

„ფ(ა)ნჩ(უ)ლ(ი)დესა იაკობს და მისა მ[ე]მცხედრესა ადუსაჯ[ან]ს შე(ე)ნ(დ)ნეს ღ(მ)ერთმან და მისთა დედა-მ(ა)მ(ა)თა შე(ე)ნ(დ)ნეს ღ(მ)ერთმან“.

It became clear that this commemoration is not the commemorative text of uncertain Iakob Panchidze, his wife and his parents, but it is a commemoration of Known Iakob Panchulidze, his wife Adusajani and his parents. According to palaeographic signs, the colophon should be dated to the XV-XVI centuries.

After clarifying the text, it is no longer difficult to guess which Iacob Panchulidze is mentioned in the mentioned text. In our opinion, he is the famous ecclesiastic and calligrapher - Iacob Panchulidze.

For the first time, this family line is mentioned in the 1464 book

to the Gelati monastery donated by the last king of United Georgia, George VIII, according to which King Giorgi donates Gelati monastery, the cave church and the peasants who live there to Panchulisdze. At the same time, in 1455-1467, Bagrat VI gives a certificate of mercy to Iob Panchulidze, his sons - Bartholomeo and Iacob. According to the document, King Bagrat gives Gelati Senak, a vegetable garden next to the dining room, and a mowing-growing area below the dining room. In addition, beyond Daunashvili's vineyard, above the "surroundings" of the Vakhtangi church, the residents of Charsagadze with their estates were to give into Panchulidze's ownership, in exchange for which they had to conduct two liturgies on the feast of St. George to commemorate their souls. The king freed Panchulisdze from all taxes, except bricklaying. As we see from the document, the representatives of this family had to carry out construction works in Gelati. It seems that they also clearly paid imposed tax, which is clear proof from the Iakob Panchulisdze's inscription about his donation of a stone. The inscription can be read as follows: „გ. ეს{ე} ქვა, ი{ა} კ{ო}ბ მოგ{ართუა} ფ{ა}ნჩ(უ)ლ(ის)ძ(ე)მ, შ{ე}უნდ{ო}ს ღ{მერთმ}ა, ამ{ე}ნ“.

In Georgian historiography (Valeri Silogava, Nikoloz Zhgenti) the inscription was dated by 15th-16th centuries according to paleographical data. If we take into consideration the fact that George VIII donated the Mghvimevi church and the peasants living there to Panchulisdze family and on the other hand, the fact that Iacob Panchulidze was already mentioned as a cross-bearer in the Georgian historical document dated by 1513, We will further narrow the chronology and date of inscription between 1464-1513 instead of the general chronological section - 15th-16th centuries. Today, the stone with the inscription of Iakob Panchulidze is lying in the courtyard of the Gelati monastery complex, and it is difficult to say which church this inscription-document of Iakob Panchulidze belongs to. According to the the Klarjian Svinaksari inscription, the name of Iacob Panchulidze's wife is Adusajani, which was an unknown fact until now. Unfortunately, in the colophon, the lineage of Adusajani it is not specified.

ზოპრაბ გევორგიანი

ისტორიის ინსტიტუტი,
სომხეთის რესპუბლიკის
მეცნიერებათა ეროვნული აკადემია
სომხეთის ამერიკული უნივერსიტეტი

ვაჭრობა და ინფორმაციის გაცვლა ხმელთაშუა ზღვაში: კილიკიის სამეფოს მაგალითზე, სომხეთი (XIII-XIV სს.)

პოლიტიკურ, კომერციულ, ეკონომიკურ, რელიგიურ და კულტურულ ნაკადთა დინებამ შეცვალა დროისა და სივრცის აღქმა ჯერ ევროპაში, ახლო აღმოსავლეთსა და ჩრდილოეთ აფრიკაში, შემდეგ კი, აბრეშუმის გზის გასწვრივ, ჩინეთში, ინდოეთსა და შედარებით უფრო მოშორებით, სხვა მრავალ ქვეყანაში. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო შეუფერხებელი ნავიგაცია ხმელთაშუა ზღვაში, რომელიც არა მხოლოდ სავაჭრო, ეკონომიკური, პოლიტიკურ-დიპლომატიური ურთიერთობების თავშეყრის ადგილი იყო, აგრეთვე, იგი წარმოადგენდა ერთგვარ „ჭაჭვს“, რომელიც ამ ინფორმაციულ ნაკადთა სიმრავლეს ერთმანეთს უახლოებდა და აერთიანებდა.

XI საუკუნემდე კილიკიის ტერიტორია სხვადასხვა იმპერიის ნაწილი იყო. VII-XI საუკუნეებში იგი წარმოადგენდა ბიზანტიის იმპერიის საკუთრებას და აგრეთვე გახლდათ ერთგვარი ბრძოლის ველი ბიზანტიის იმპერიასა და არაბთა სახალიფოებს შორის.

XI-XII საუკუნეები საეტაპო პერიოდად ითვლება, რადგან სწორედ მაშინ ჩაეყარა საფუძველი კილიკიური სომხეთის სახელმწიფოებრიობას. ამ პერიოდისთვის პრიორიტეტები იყო სამხედრო-მილიტარისტული პოლიტიკის გატარება და შიდა თუ გარე საკითხებზე ზრუნვა.

სიტუაცია იცვლება, როდესაც 1201 წელს, კილიკიური სომხეთი ხელს აწერს სავაჭრო ხელშეკრულებებს, ვენეციისა და გენუის რესპუბლიკებთან, რომლებსაც მოგვიანებით შეუერთდება - პიზა, სამხრეთ საფრანგეთის ქალაქები, კატალონია, ფლორენცია და ა.შ.

ეს ხელშეკრულებები რამდენჯერმე გახდება გადახედვის საგანი XIII და XIV საუკუნეებში. თუმცა, ყველა გეოპოლიტიკური და ეკონომიკური პროცესი არსობრივად შეიცვლება მაშინ, როცა 1243 წელს „კოზე დაღის“ ბრძოლაში მონაწილეები და-

ამარცხებენ იკონიის სასულთნოს. შემდეგ კი, 1258 წელს, ჩინგიზ ყაენის შვილიშვილი, ჰულაგუ, დაიპყრობს ბაღდადს და ბოლოს მოუღებს არაბ ხალიფათა მმართველობას, მესოპოტამიაში. ამრიგად, ირანში შეიქმნება ახალი ილხანთა სახელმწიფო, რომლის დედაქალაქადაც თავრიზი გამოცხადდება და სწორედ იგი გახდება ახალი სავაჭრო კერა. კილიკიური სომხეთის უდიდესი - „აიას“ პორტი (ევროპულ წყაროებში მოხსენიებულია როგორც Laiazzo, Laias და სხვა) მაშინვე იქცევა მთავარ დამაკავშირებლად დიდი აბრეშუმის გზებისა თავრიზიდან ხმელთაშუა ზღვის მიმართულებით.

XIII საუკუნის დასაწყისიდან კილიკიური სომხეთი საერთაშორისო სავაჭრო სისტემის ნაწილი ხდება, რომელიც აკავშირებდა, ერთი მხრივ, ხმელთაშუა და შავ ზღვებს, ხოლო მეორე მხრივ, კატალონიასა და ინგლისს. ბანკებს, უფრო ზუსტად კი ფლორენტინის ბანკებს, რომლებიც ყველაზე დიდი იყო და „ბარდებისა“ და „პერუცების“ ოჯახებს ეკუთვნოდათ, ჰქონდათ საკუთარი სააგენტო სისტემა ხმელთაშუა ზღვასა და კილიკიურ სომხეთზე. ეკონომიკური კაპიტალი, რომელიც ძირითადად მიწაზე იყო დაფუძნებული, მეტად მოქნილი და მრავალფეროვანი გახდა, რის შესაბამისადაც შეიცვალა ადამიანების დამოკიდებულება, აღქმა და კაპიტალის გამოყენების გზები.

ქალაქის გამოგონება ჩინეთის მიღწევას, მაგრამ მისი ფართო გამოყენება ახლო აღმოსავლეთსა და ევროპაში დაიწყო 751 წელს „ტალასის“ ბრძოლის შემდეგ, რომელიც მოხდა აბასიანთა სახალიფოსა და ჩინეთის „ტანის დინასტიას“ შორის. ქალაქის წარმოება, ძალიან მოკლე დროში გავრცელდა მთელს ახლო აღმოსავლეთსა და ევროპაში. ქალაქი უფრო ხელმისაწვდომი იყო სხვადასხვა სოციალური ფენისთვის, ვიდრე, მაგალითად, პერგამენტი და უფრო მეტ ადამიანსაც შეეძლო ქონების აღრიცხვა, სხვადასხვა დოკუმენტის გაფორმება და მრავალი სახის კონტრაქტის დამზადება სწორედ მისი გამოყენებით. უფლების დამადასტურებელი დოკუმენტები უძრავ და პირად ქონებაზე სოციალური მდგომარეობის მნიშვნელოვანი გარანტი გახდა და ხელი შეუწყო სამართლებრივ სტრუქტურებს. ქალაქი იქცა ახალი ტიპის ფორმირების მთავარ კატალიზატორად, რომელმაც გარდაქმნა შუა საუკუნეების კაპიტალი და საბოლოოდ შეცვალა ეკონომიკური ურთიერთობები, უშუალოდ ხმელთაშუა ზღვაზე. ქალაქი გახდა მთავარი კატალიზატორი, მან შექმნა ახალი ტიპი კერძო კაპიტალისა შუა საუკუნეებში, რამაც, საბოლოო ჯამში, შეცვალა

ეკონომიკური ურთიერთობები, უშუალოდ ხმელთაშუა ზღვაზე. ქალაქის ფართოდ გავრცელების ათასობით დოკუმენტური მტკიცებულებაა, რომლებიც გენუელმა და ვენეციელმა ნოტარიუსებმა შეადგინეს, კილიკიურ სომხეთში, კვიპროსში, კრეტასა და სხვა მრავალგან. ეს დოკუმენტები შემოიფარგლება მცირე რაოდენობის სანელებელთა ყიდვა-გაყიდვითა და მრავალი ანდერძით. დოკუმენტაციის მნიშვნელობა ძალიან დიდი იყო, რასაც ადასტურებს ის, რომ უშუალო დოკუმენტები იგზავნებოდა და ვრცელდებოდა მთელს ხმელთაშუა და შავ ზღვებზე, კილიკიური სომხეთიდან და იტალიელთა სავაჭრო გაერთიანებებიდან. მათ შორის რამდენიმე დღესაც კი ინახება იტალიური თუ სხვა ევროპული ქალაქების არქივში.

XIII საუკუნის მეორე ნახევარში, კილიკიურ სომხეთში, სრულად დაინერგა ხმელთაშუა ზღვის აუზის ქვეყნებში მოქმედი, ფინანსურ-კომერციული საქმიანობის სისტემა. ვაჭარს, რომელიც კილიკიური სომხეთის მთავარი პორტიდან „აიასიდან“ მიემგზავრებოდა ბარსელონაში, შეეძლო მხოლოდ ხელწერილის გამოყენებით, ყველანაირი გარანტიით ეყიდა საქონელი ფულის გარეშე და ამ ხელწერილის საფუძველზე, იგი თანხასაც კი იღებდა სხვა გაყიდვების აგენტისგან, იმ ქალაქში, რომელშიც ჩადიოდა. ეს ყველაფერი მტკიცდება ათასობით ნოტარიული დოკუმენტით, რომელიც ნაპოვნია კილიკიის ქალაქებში და განსაკუთრებით „აიასში“. საბანკო დაწესებულებებსა და კომერციულ კომპანიებს, რომლებიც იმავე ფლორენტინის, პიაჩენტინისა და სხვა იტალიური ქალაქების ხელთ იყო, ჰყავდათ თავიანთი წარმომადგენლები კილიკიაში. ასე დიდი ჩართულობა საერთაშორისო სავაჭრო-ეკონომიკურ ურთიერთობებში, გარდაუვალად შეცვლიდა კილიკიურ სომხეთში მცხოვრები ხალხის დამოკიდებულებას უშუალოდ კაპიტალსა და ქონებრიობაზე, ისევე როგორც მისი გამოყენების გზებზე.

XIII საუკუნიდან მოყოლებული, კილიკიურ ქალაქებში, უკვე მუდმივად იყვნენ - „იტალიური“ , ფრანგული, კატალონიური, ბერძნული, ებრაული და არაბული საზოგადოებები, რამაც უნიკალური კოსმოპოლიტური გარემო შექმნა.

გამოთვლების მიხედვით, გენუის სანოტარო დოკუმენტები „აიასში“, მარტო სამი წლის განმავლობაში, შეიცავდა 684 პიროვნების სახელს (340 in 1274, 213 in 1277 and 220 in 1279). მათი უმრავლესობა იყო წარმომადგენელი გენუის, ან სხვა ლიგაში შემავალი ქალაქებისა. ყველაზე ნაცნობი და ხშირად ნახსენები წევრები იყვნენ იმ ოჯახებიდან, როგორებიცაა - „გრიმალდი,

ტარტარო, დე ნიგრო, დორია, ლერკარი, პანზანო, გუისულფო, პიკამილიო, ლომელინი, პინელო, ტურო, რუბეუსი, უსოდიმარე, დე მარი, დე მურტა, ციკადა, პელავიჩინო, სპინოლა, ბესტანიო, სკუარციაფიკო“ და სხვა. ვაჭრებთან ერთად ნახსენებია სხვა მრავალი პროფესიის ადამიანიც - ნოტარიუსები (notarius, 20), მდივნები (cancellarius, 2), მწიგნობრები (scriba, 2), კომერციული შუამავლები (censarius, 7), ბანკირები (bancherius, 4), მასწავლებლები (magister, doctor gramatice, 7), ექიმები (magister medicus, 2), ფარმაცევტები (speciarius, 3), დალაქები (barberius, 5), გემთმშენებლები (calafato, 3), სანთლები (candelarius, 1), მჭედლები (ferrarius, 2), დურგლები (magister axie, 8), დანების და ხმლების ოსტატი (custurerius, 1), ძაფის ტრიალი (filatori, 2), ტანსაცმლის ვაჭრები (draperius, 3), ბენვეულის სპეციალისტები (pelliparius, 5), მკერავები (sartor, taliator, 6), მატყლის საპარსი (accimator, 1), ფეხსაცმლის მწარმოებლები (calegarius, 1), მცხობლები (panerius, 1), მაღაზიის მეპატრონეები (tabernarius, 11), მშვილდოსნები (balistarius, 1) და ა.შ.

პროფესიათა ასეთი მრავალფეროვნება მტკიცებულებაა იმისა, რომ კარგად ორგანიზებული უცხოელი მოსახლეობა იწყებს დასახლებას კილიკიურ სომხეთში. კომუნიკაციების გაძლიერებამ გამოიწვია ინფორმაციული ნაკადის ცვლილებები როგორც შინაარსობრივად, ისე მისი გავრცელების სიჩქარის თვალსაზრისითაც. ეს მოხდა გეოგრაფიულად დისტანცირებულ ქვეყნებში, რომელთა გავლითაც შეიცვალა დროისა და სივრცის აღქმა. ეს მოხსენება, ყურადღებას ამახვილებს ინფორმაციათა ცვლაზე, ტექნოლოგიებსა და შრომით საკითხებზე (labor) დასავლეთ ხმელთაშუა ზღვისა და კილიკიის ქალაქებს შორის XIII-XIV საუკუნეებში.

TRADE AND EXCHANGE OF INFORMATION IN THE MEDITERRANEAN: EXAMPLE OF THE KINGDOM OF CILICIAN ARMENIA, (13TH-14TH CENTURIES)

The political, commercial, economic, religious, and cultural flows between Europe, the Middle East, North Africa, and then along the Great Silk Road with China, India and other distant countries changed the temporal and spatial perceptions. Especially the intensive navigation in the Mediterranean Sea was not only a place for trade, economic, political-diplomatic relations but also all these flows became one complete “wire” for multi-layered information flows.

Until the 11th century, the territory of Cilicia was part of various empires. During the 7th- 11th centuries, it became the battlefield of the ongoing wars between the Byzantine Empire and the Arab Caliphate.

The 11th and 12th centuries were the stage of foundation and establishment of the statehood for Cilician Armenia, during which the main priorities were military-political internal and external issues.

The situation changed, when in 1201 Cilician Armenia signed trade agreements with the republics of Venice and Genoa, which were later joined by Pisa, southern French cities, Catalonia, Florence, etc. These contracts were revised several times during the 13th and 14th centuries. However, all these geopolitical and economic processes completely changed when in 1243 in the battle of Köse Dağ Mongols defeated the Sultanate of Iconium, then in 1258 Genghis Khan’s grandson Hulagu conquered Baghdad and put an end to the rule of the Arab Caliphate in Mesopotamia. A new Mongolian state – the Ilkhanate was established in Iran with Tabriz as its capital, which became a new hub for trade routes. The biggest port of Cilician Armenia, Ayas (referred to in European sources as Laiazzo, Laias and other forms) had already become the most important gate of the great Silk Road leading from Tabriz to the Mediterranean Sea.

From the beginning of the 13th century, Cilician Armenia became a part of the international trade system, which connected the Mediterranean and Black seas on the one hand and Catalonia, England

on the other. Banks, particularly the Florentines, the largest of which were the banks belonging to the Bardi and Peruzzi families had their own agencies throughout the Mediterranean including in Cilician Armenia. Economic capital, which mostly based on land, became more flexible and diverse, thus people's attitudes, perceptions, and ways of using capital changed.

The invention of paper traces to China, but its widespread use in the Middle East and then in Europe began after the battle of Talas in 751 between the Abbasid Caliphate and the Chinese Tang Dynasty. Within a short time, paper production spread throughout the Middle East and Europe. Paper was more accessible to various social strata than parchment and more people could document their wealth, property and sign various contracts using it. Documents asserting rights over real estate and personal property became an important guarantee for social standing and facilitated legal structures. Paper became the main catalyst for the formation of new types of capital in the Middle Ages which ultimately changed the economic relations of the Mediterranean in particular. Widespread use of paper is evidenced by thousands of documents compiled by Genoese and Venetian notaries in Cilician Armenia, Cyprus, Crete and so on, which range from the purchase and sale of small quantities of spices to numerous wills. The significance of documentation was so important that these documents were transported from Cilician Armenia and the "Italian" trading communities of the Mediterranean and Black Seas, and are still kept in the archives of Italian and other European cities.

In the second half of the 13th century, the whole palette of the system of financial- commercial activities operating in the countries of the Mediterranean basin was fully introduced in Cilician Armenia. A merchant traveling from the main port of Cilician Armenia, Ayas to Barcelona could take only a paper receipt with all its assurances instead of cash to buy goods and based on this receipt he received cash from another sales agent in the city of arrival. This is evidenced by thousands of notarial documents drawn in the cities of Cilicia, especially in Ayas. The banking houses and commercial companies belonging to the same Florentine, Piacentine and other "Italian" cities had their representations in Cilicia. Such a huge involvement in international trade and economic relations would inevitably change the attitude of people living in Cilician Armenia towards the capital and property and the way they used it.

Since the 13th century, there were always large “Italian”, French, Catalan, Greek, Jewish, Assyrian, Arab communities in the cities of Cilicia, which formed a unique cosmopolitan environment.

According to calculations, Genoese notary documents drawn up in Ayas only in three years contain 684 personal names (340 in 1274, 213 in 1277 and 220 in 1279). Most of them were representatives of Genoa and other Ligurian cities. More than 102 are representatives of Genoese noble families, whose names are scattered in various sources related to Cilician Armenia. Members of the Grimaldi, Tartaro, de Nigro, Doria, Lercari, Panzano, Guisulfo, Picamilio, Lomellini, Pinello, Turro, Rubeus, Usodimare, de Mari, de Murta, Cicada, Pelavichino, Spinola, Bestanio, Squarciafico and other families are most common. Along with merchants, people with many professions are mentioned: notaries (notarius, 20), secretaries (cancellerius, 2), scribes (scriba, 2), commercial intermediaries (censarius, 7), bankers (bancherius, 4), teachers (magister, doctor gramatice, 7), doctors (magister medicus, 2), pharmacists (speciarius, 3), barbers (barberius, 5), shipwrights (calafato, 3), candlemakers (candelarius, 1), blacksmiths (ferrarius, 2), carpenters (magister axie, 8), master of knives and swords (custurerius, 1), thread spinners (filatori, 2), cloth merchants (draperius, 3), furriers (pelliparius, 5), tailors (sartor, taliator, 6), wool shearers (accimator, 1), shoemakers (calegarius, 1), bakers (panerius, 1), shopkeepers (tabernarius, 11), crossbowmen (balistarius, 1), etc.

Such a large variety of professions is evidence of the organized community of the foreign population settled in Cilician Armenia. The intensification of communications led to changes in the content and speed of information flows between geographically distant countries, through which spatial and temporal perceptions changed. This report will focus on exchange of information, technologies, labor between Western Mediterranean and Cilician cities in the 13th-14th centuries.

შაქის ხან ჰუსეინის მიერ ავარელთა ჯარის სალაშქროდ დაქირავება 1771 წელს და ერეკლე II

1771 წლის 13 თუ 14 ნოემბერს რუსეთის სამხედრო სამსახურში მდგარი თერგის ჯარის როტმისტრი ჰასბულატ შამურზინი ყიზლარის კომენდანტ პარკერს დალესტნიდან დაბრუნების შემდეგ მოახსენებდა: „ჯერ კიდევ ჩემს ავარეთში მისვლამდე, ხანის ძმა და მისი უფროსი ვაჟი მათი შეკრებილი ხალხით შაქის ჰუსეინ ხანის თხოვნით წავიდნენ მასთან საქართველოს მეფე ერეკლეს წინააღმდეგ დასახმარებლად, საითკენაც ახლა ყველა მთის ადგილიდან ლეკები და თავლელები ემზადებიან წასასვლელად. და ამბობენ, შაქის ხანი შეპირდა ავარეთისას, რომ მათი მოსვლის შემდეგ გაუგზავნის სამი ათას მანეთს, ხოლო მათ ყველას მომავალში მისცემს კარგ ჯამაგირს და ყველა ისინი იქ გამოიზამთრებენ, გაზაფხულზე გაიმართება ბრძოლა.“ ამავე მოხსენებიდან ვიგებთ, რომ ახალციხისაკენ წარმატებული ლაშქრობიდან ერეკლე II უკან გამობრუნებულა და პატაკის ჩაწერის დროს უკვე ჯარით იდგა თავისი სამეფოს „საზღვართან ჰუსეინ ხანის წინააღმდეგ“. შაქის ხანის დასახმარებლად წავლის გამო დალესტნიდან წასული დაქირავებულები იქ აპირებენ გამოიზამთრებას, ამიტომ მათგან რაიმე მნიშვნელოვანი თავდასხმები ამ მხარეს (ანუ რუსეთის საზღვრებზე - დ. მ.) მოსალოდნელი არაა - დასძენდა თერგის ჯარის როტმისტრი (გამრეკელი 1968: 195-196; გაჯიევი 1988: 138-139).

ნიშანდობლივია, რომ მალე მოვლენები პატაკისაგან სრულიად განსხვებულად წარიმართა: ჰუსეინ ხანმა დაქირავებული ავარელები თავის ჯართან ერთად არა დასავლეთით, ქართლ-კახეთის სამეფოს საზღვრებისაკენ, არამედ შემახისაკენ მიმართა აქედან ყუბა-დერბენდის ხან ფათალის გასაძევებლად. ხოლო ამისათვის დალესტნელ დაქირავებულებს შაქში გამოიზამთრება სულაც არ მოუწიათ და მათ მოკავშირეებთან ერთად ფათალი ხანის ჯართან 1771 წლის დეკემბერში ან მომდევნო წლის იანვარში გამართეს ბრძოლა (მერკვილაძე 2022: 184-184).

ასევე უნდა აღინიშნოს, რომ მანამდე ერეკლე II-ს ჰუსეინ

ხანს უცხადებდა მხარდაჭერას ყუბის ხანთან დაპირისპირებისას. 1768 წელს გაძლიერებული ფათალი ხანი შემახის სრული დაპყრობის შემდეგ შეეცადა, დაემორჩილებინა ჰუსეინ ხანი, რომელიც მონაწილეობდა შემახელი დიდებულების შეთქმულებაში ფათალი ხანის წინააღმდეგ. ამ დროს ერეკლე მეფე კი არათუ დათანხმდა ყუბის ხანის მოწოდებას, ერთობლივად ემოქმედათ შაქის სახანოს წინააღმდეგ,¹ არამედ ჰუსეინ ხანის მხარე დაიჭირა და ფათალი ხანი აიძულა, ამ უკანასკნელს შერიგებოდა.² ერეკლე II-ის მხარდაჭერა ჰუსეინ ხანისადმი, ისევე როგორც მოგვიანებით სამხედრო ძალით ყარაბაღის ხან იბრაჰიმისადმი დახმარება (ცაგარელი 1891: 108), განპირობებული იყო მეფის გადაწყვეტილებით, არ დაეშვა რეგიონში ფათალი ხანის ზედმეტი გაძლიერება (მერკვილაძე 2022: 177). მოგვიანებით, 1770 წლის გაზაფხულზე, ჰუსეინ ხანი (იბრაჰიმ ხანთან ერთად) ქართველ მეფეს მოკავშირეობას სთავაზობდა და მიმართავდა დახმარებისათვის, რათა ფათალი ხანი გაეძევებინათ შირვანიდან (შემახიდან) და იქ დამხობილი ადგილობრივი აღასი ხანის ხელისუფლება აღედგინათ. ერეკლე II-საც იგივე სურვილი ამოძრავებდა, მაგრამ ვინაიდან ამ დროს იგი უკვე ჩართული იყო ოსმალეთის წინააღმდეგ ომში, ხსენებულ გეგმაში პირდაპირი მონაწილეობისაგან თავი შეიკავა, თუმცა შაქისა და ყარაბაღის ხანებს თანადგომას უცხადებდა და აიძულებდა.³

1 შემახელი დიდებულების შეთქმულების, შეთქმულებაში ჰუსეინ ხანის მონაწილეობისა და ამ უკანასკნელის წინააღმდეგ ფათალი ხანის მიერ ქართლ-კახეთის მეფისა და ყარაბაღის ხანის მოწვევის შესახებ რუს კონსულ სულიაკოვს ეცნობა 1968 წლის 10 სექტემბერს. დოკუმენტი იხ (აბდულაევი 1958: 159-160).

2 გრაფ პანინისადმი გაგზავნილ უწყებაში ერეკლე II აღნიშნავდა: როცა ფათალი ხანი „წამოვიდა დაღისტნის ჯარითა და შირვანი დაიჭირა, იქიდან შაქის ხანზედ მოვიდა და დაამარცხა. ეს საქმე რომ ჩვენთან განცხადებული შეიქნა, ამ ჟამად ჩვენ შაქის ხანს ჯარით შევეწინინით და ამ ჩუენის შეწვევის გამო ყუბა-ხანს თავისი წადილი დაუხსნა და, შერიგება მოინდომა და შერიგდა“ (მაჭარაძე 1988: 359).

3 იხ. კონსულ ბოგოლუბოვის მოხსენება რუსეთს საგარეო საქმეთა კოლეგიისადმი (მაჭარაძე 1997: 270-271). აღსანიშნავია, რომ ხსენებული რუსი კონსული საგარე საქმეთა კოლეგიას ურჩევდა, რუსეთის საიმპერატორო კარს დაერწმუნებინათ ერეკლე II, რომ მიმდინარე ომის პირობებში არ გაეღიბიანებინა ვეჩილი (ქერიმ-ხანი) და რუსეთის მომიჯნავე ფათალი ხანი, მისივე ინტერესების მიუხედავად (ფათალი ხანის გაძლიერების შებლუდვა) მოკავშირე ხანებს მხოლოდ „თავშეკავებული თანადგომა“ გამოუცხადოს და პირდაპირი ჩარევისაგან თავი შეიკავოს, უფრო კი ხანებს შორის უთანხმოების მოსაგვარებლად იზრუნოს (მაჭარაძე 1997: 27). ეს გარემოება გვაფიქრებინებს, რომ ერეკლეს ზემოხსენებული პოზიცია სავარაუდოდ სწორედ რუსეთის ფაქტორით იყო განპირობებული.

რაც შეეხება ხუნდახის ბატონ ნურსალ-ბეგს, ანუ ავარეთის ხან მეჰმედ (მუჰამედ) IV-ს, საქართველოში მისი ორი წარუმატებელი დიდი ლაშქრობის შემდეგ ერეკლე II-ს მასთან ურთიერთობა უკვე წლების წინ მოეგვარებინა და ერთგვარ მოკავშირედაც კი გაეხადა. ქართლ-კახეთის მეფის სამსახურის სანაცვლოდ ხუნდახის ბატონს მისგან ჯამაგირიც ჰქონდა დანიშნული: „მასუკან ჩვენთან შემორიგება მოინდომა, ჩვენც შევრიგდით და მცირეს რასმე ჯამაგირს ვაძლევთ“ - ატყობინება ერეკლე მეფე რუსეთის მთავრობას (მაჭარაძე 1988: 360-361).

ზემოაღნიშნულ გარემოებათა (ერეკლეს მოკავშირული ურთიერთდამოკიდებულება შაქის ხან ჰუსეინთან და ხუნდახის მმართველ ნურსალ-ბეგთან, ამ უკანასკნელთ ერთობლივი ლაშქრობა ფათალი ხანის წინააღმდეგ) გათვალისწინებით, ერთი შეხედვით რჩება შთაბეჭდილება, თითქოს თერგის ჯარის როტმისტრის მოხსენება ყიზლარის კომენდანტისადმი არსებულ პოლიტიკურ ვითარებასთან სრულიად შეუსაბამო იყო. თუმცა რუსეთ-ოსმალეთს შორის ომმა და და ამ ომში ქართლ-კახეთის სამეფოს ჩათრევამ შიდაკავკასიურ პოლიტიკური ურთიერთობებში თვალშისაცემი ცვლილებები შეიტანა.

უკვე 1769 ოქტომბერში ჩნდება პირველი ცნობები, რომ დაღესტანში და ყუბის ხანთან ჩავიდნენ ოსმალო ემისრები, რათა ისინი ჩაებათ მიმდინარე ომში რუსეთის წინააღმდეგ.¹ მალევე გაირკვა, რომ ყაზიყუმუხის მთავრის ძე ჰაჯი გერეი (გარაი) სულთანს თავის კარზე მიუღია, ფაშობა უბოძებია და დიდი ოდენობით ფულიც მიუცია, რათა დაღესტნელთაგან ჯარი შეეგროვებინა ოსმალეთის მოშიშვლებული ჩრდილო-აღმოსვლეთი საზღვრების დასაცავად (მაჭარაძე 1988: 521). შესაბამისი მიწვევა მიუვიდა ხუნდახის მმართველსაც, რომელმაც მყის კაცი გამოაგზავნა ერეკლესთან რჩევის მისაღებად, თუ როგორ მოქცეულიყო ამ ვითარებაში. მეფემ კი ამ ღონისძიებაში მონაწილეობისგან ხელი ააღებინა.² მას შემდეგ, რაც ჰაჯი გერეი ასპინძის ბრძოლაში (1770 წლის 20 აპრილი) დაიღუპა, ყაზიყუმუხის ხანი შეეცადა ქართლ-კახეთის სამეფოს წინააღმდეგ შურისძიების მიზნით დაღესტნელთა და სხვა კავკასიელ ხანთა მონაწილეობით დიდი სამხედრო კოალიციის შეკვრას. მაშინაც ეს ამბავი ხუნდახის (ავარეთის) ნუცალმა ერეკლეს აცნობა და თან

1 ამის შესახებ ერეკლე II-ს უცნობებია ა. მოურავოვისათვის, ხოლო ამ უკანასკნელმა ეს შეატყობინა ქართლ-კახეთის სამეფოში რუსული ჯარის მეთაურ გენერალ ტოტლებენს. დოკუმენტი იხ. (მაჭარაძე 1988: 428).

2 ამის თაობაზე ერეკლე II წერდა გენ. ტოტლებენს 1769 წლის 27 დეკემბერს. დოკ. იხ. (მაჭარაძე 1988: 492).

დასძინა, რომ ამ შეთავაზებაზე მას უკვე ეპასუხა, „რომ ჩვენსა და ერეკლე ხანს შორის დამყარებულია ძმური ერთგული მეგობრობა და ჩვენ არ შეგვიძლია მისი დარღვევა უკუნისამდეო“ (მაჭარაძე 1988: 305). თუმცა სამხრეთ-კავკასიაში რუსული ჯარის გამოჩენისა და გააქტიურების შემდეგ ნურსალ-ბეგის მოქმედებაში ერთგვარი მერყეობა და ორმაგი თამაშის ნიშნებიც შეინიშნება. იგი ასევე ცდილობს დაძაბული პოლიტიკური ვითარების პირობებში თავისი „ერთგულების“ ფასის აწევას და ამით ახალი სარგებლის გამორჩენასაც. გასაკვირი არ უნდა იყოს, ამ პირობებში ავარეთის ნუცალისადმი ნდობის ხარისხი ერეკლე მეფის თვალში რომ შემცირებულიყო.

1770 წლის სექტემბრიდან ოსმალთა და ყაზიყუმუხელ ბელადთა ნაქეზებით ერეკლესთან შემორიგებული ჭარში დამკვიდრებული ლეკები კახეთის მოსაზღვრე მიწებზე იწყებენ თავდასხმას. ამის გამო მეფის წინაშე ახალი ამოცანა დგება: საიმედოდ გადაჭრას ჭარ-ბელაქნელი ლეკების საკითხი, რათა ოსმალეთთან ბრძოლისას ყველაზე მოწყვლადი მხრიდან ზურგში თავდასხმების აღკვეთა უზრუნველყოს. ჭარელების მოკავშირედ კი შაქის ხანი ჰუსეინი იყო საგულვებელი. ამის გამო ერეკლე II ძალისხმევას მიმართავს ყუბის ხან ფათალისთან სამოკავშირეო ურთიერთობის დასამყარებლად („შემოსარჩებლად“), რათა ჭარელ ლეკებს „მაშველი დაძვირებოდათ და ძალი მოკლებოდათ“ (მაჭარაძე 1997: 485; ცაგარელი 1898: 67-68) და ამას ახერხებს კიდევ.¹ ძნელი გამოსაცნობი აღარაა, რომ ერეკლე-ფათალის ეს კავშირი, რომელშიც განჯის ხანი მაჰმადიც ერთიანდება, შაქის ხანის წინააღმდეგაა მიმართული (მაჭარაძე 1997: 719).² 1771 წლის ზაფხულში ტოტლებენის შემცვლელი რუსი გენერალი სუხუტინი ერეკლეს საყვედურობს, რომ იგი აპირებდა 400 მეომრის გაგზავნას თავისი მოკავშირეებისათვის შაქის ხანის წინააღმდეგ და ამის გაკეთებას მკაცრად და შეუფერებელი ტონით უკრძალავს მეფეს (მაჭარაძე 1997: 684). მართალია, ამის გამო მეფეს თავისი მოკავშირე ხანებისთვის დამხმარე ძალა აღარ გაუგზავნია, მაგრამ ცხადი იყო, რომ ყოფილი მოკავშირეები - ერეკლე II და ჰუსეინ ხანი ერთმანეთს აშკარად დაუპირისპირდნენ, ხოლო ძველი მეტოქეები - ერეკლე მეფე და ფათალი ხანი ერთმანეთის მოკავშირეებად გადაიქცნენ.

მაშასადამე, ჰუსეინ ხანის მიერ ავარელთა ჯარის მიწვევა

1 წერდა ერეკლე II გენ. სუხოტინს 1771 წლის 21 აგვისტოს (მაჭარაძე 1997: 706).

2 იხ. ერეკლე II-ის შემდეგი წერილი გენ. სუხოტინისადმი (მაჭარაძე 1997: 719).

ერთობლივი ლაშქრობისათვის ქართლ-კახეთის წინააღმდეგ, მით უფრო, როცა ერეკლე ამ დროს თავისი ჯარითურთ ახალციხეში იმყოფებოდა სალაშქროდ, სულაც არ იყო გამორიცხული. თუმცა, როგორც ვიხილეთ, ჰაზბულატ შამურზინის ცნობები არ გამართლდა. ძნელი წარმოსადგენია, ხუნძახში საგანგებო მისიით მივლენილ როტმისტრს ადგილზე მოპოვებული სადაზვერვო ცნობები ერთმანეთში ესოდენ არეოდა. სავსებით შესაძლებელია, იქ მას განგებ მიაწოდეს მცდარი ინფორმაცია ლაშქრობის დროისა და მიმართულების შესახებ. მართალია, ამან ერეკლე II-ის აფორიაქება და ახალციხიდან სასწრაფოდ უკან გამობრუნება გამოიწვია, სამაგიეროდ, შემახისაკენ ლაშქრობა ფათალი ხანისათვის მოულოდნელი აღმოჩნდა. მიუხედავად ამისა, აღნიშნული ლაშქრობა, რომელსაც ავარელთა მხრიდან ნურსალ-ბეგის ძმა და ძე (ბულაჩ მირზა და მუჰამედ მირზა) სარდლობდნენ, საბოლოოდ მძიმე მარცხით დასრულდა, ორივე ავარელი მეთაური კი ბრძოლის ველზე დაეცა.¹

გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა:

აბდულაევი 1958: Абдуллаев Г. Б., Из истории Северо-Восточного Азербайджана в 60-80-х гг. XVIII в., Баку, 1958.
გამრეკელი 1968: Документы по взаимоотношениям Грузии с Северным Кавказом в XVIII в., Документы подобрал, подготовил к печати и предпослал им исследование В. Н. Гамрекели, Тб., 1968.
გაჯიევი 1988: Русско-дагестанские отношения в XVIII - начале XIX в. Сборник документов, под ред. В. Г. Гаджиева, Москва, 1988.
მაჭარაძე 1988: მაჭარაძე ვ., მასალები XVIII საუკუნის მეორე ნახევრის რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიისათვის, ნაწ. III. ნაკვ. I. რუსეთ-თურქეთის ომი 1768-1774 წლებში და საქართველო, თბ., 1988.
მაჭარაძე 1997: მაჭარაძე ვ., მასალები XVIII საუკუნის მეორე ნახევრის რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიისათვის, ნაწ. III. ნაკვ. II, რუსეთ-თურქეთის ომი 1768-1774 წლებში და საქართველო, თბ., 1997.
მერკვილაძე 2022: მერკვილაძე დ., სამხედრო-პოლიტიკური დაპირისპირებანი სამხრეთ კავკასიის სახანოებში 1768-1774 წლებში და ერეკლე II, Scientia, III, 2022.
ცაგარელი 1891: Грамоты 1891. Грамоты и другие исторические документы XVIII столѣтя, относящіяся до Грузіи. Томъ I, съ 1768 по 1774 годъ. Подъ редакціей А. А. Цагарели, СПб., 1891.
ცაგარელი 1898. Грамоты и другие исторические документы XVIII столѣтя, относящіяся до Грузіи. Томъ II, вып., I6 грузинские тексты съ 1768 по 1801 годъ. Подъ редакціей А. А. Цагарели, СПб., 1898.

¹ ამ ლაშქრობის შესახებ უფრო დანვრილებით იხ. (მერკვილაძე 2022: 184-184).

SHAKIS KHAN HUSAYN'S RECRUITMENT OF AN AVAR ARMY FOR AN EXPEDITION IN 1771 AND ITS CONNECTION TO EREKLE II

On November 13 or 14, 1771, Hasbulat Shamurzin, the commander of the Tergi army in Russian military service, reported to Parker, the commandant of Kizlar, upon returning from Dagestan: 'Even before I arrived in Avareti, Khan's brother and his eldest son, along with their gathered people, went to him at the request of Shakis Husein Khan to help against King Erekle of Georgia. From all the mountain places, the leks and the stables are preparing to go. They say that Shakis Khan promised in Avareti that, after their arrival, he would send three thousand manats, and in the future, he would reward them generously. They are planning to spend the winter there, and a battle will take place in the spring. At that time, he already stood with an army at the border of his kingdom against Husayn Khan.' The mercenaries who went to help Shaki Khan from Dagestan intend to spend the winter there, so no significant attacks from them on this side (that is, on the borders of Russia) are expected," added the captain of the Tergi army (Gamrekeli 1968: 195-196; Gajiev 1988: 138-139).

It is noteworthy that events soon unfolded differently than expected: Husein Khan directed the mercenary Avars with his army not to the west, to the borders of the Kartl-Kakheti kingdom, but to Shemakh to expel Khan Fatali of Kuba-Derbend. For this purpose, the Dagestani mercenaries did not have to spend the winter in Shaki. Instead, together with their allies, they fought against Fatali Khan's army in December 1771 or January of the following year (Merkviladze 2022: 184-184).

It's also worth noting that Erekle II had previously supported Hussein Khan in his confrontation with Kubis Khan. In 1768, after the complete conquest of Shemakh, the strengthened Fatali Khan attempted to subjugate Hussein Khan, who had taken part in the conspiracy of Shemakhel nobles against Fatali Khan. During this period, King Erekle not only agreed to Kubis Khan's call to act together against the Shaki Khanate but also lent his support to Husayn Khan,¹

¹ On September 10, 1968, the Russian consul Suliakov was informed about a

But he sided with Husayn Khan and forced Fatali Khan to reconcile with the latter.¹ Erekle II's support for Husayn Khan, as well as his later military assistance to Karabakh Khan Ibrahim (Tsagareli 1891: 108), stemmed from the king's decision not to permit Fatali Khan's excessive reinforcement in the region (Merkviladze 2022: 177). In the spring of 1770, Husayn Khan, along with Ibrahim Khan, proposed an alliance to the Georgian king and sought assistance to expel Fatali Khan from Shirvan (Shemakh) and restore the overthrown local Aghasi Khan government there. Erekle was motivated by the same desire, but since he was already involved in the war against the Ottomans at that time, he refrained from direct participation in the mentioned plan. However, he expressed support and hoped for the success of the Khans of Shaki and Karabakh.²

As for Nursal-Beg the owner of Khundzakh, namely Khan Mehmed (Muhammad) IV of Avareti, after his two unsuccessful major campaigns in Georgia, Erekle II had settled the relationship with him years ago, even establishing a kind of alliance. In exchange for the service of the King of Kartli-Kakheti, the lord of Khundzakh had also appointed Jamagiri from him. 'Masukan wanted to make peace with us, we reconciled, and we gave Jamagiri a little,' reported King Erekle to the Russian government (Macharadze 1988: 360-361).

Considering the aforementioned circumstances, including Erekle's allied relationship with Shaki's Khan Hussein and Nursal-Beg, the ruler of Khundzakh, and the latter's joint campaign against Fatali Khan, at first glance, the impression remains as if the report of the commander of the Tergi army to the commandant of Kizlar

conspiracy involving the princes, the participation of Hussein Khan in the plot, and the invitation of the King of Kartli-Kakheti and the Khan of Karabakh by Fatali Khan against the latter. Refer to the document (Abdulaev 1958: 159-160).

1 In a message sent to Count Panin, Erekle II mentioned that when Fatali Khan 'came up with the Daghistani army and captured Shirvan, Ikida came to Shaki Khan and defeated him. If this matter had been reported to us, at that time we could have reached Shaki Khan with an army. Because of Chuen's intervention, Kubakhan explained his departure, wanted to reconcile, and was eventually reconciled' (Macharadze 1988: 359)."

2 See Consul Bogolubov's report to the Board of Foreign Affairs of Russia (Macharadze 1997: 270-271). It's worth noting that the Russian consul advised the Collegium of Foreign Affairs to persuade the Russian Imperial Court that Erekle II, despite his own interests (restricting the strengthening of Fatali Khan) as an ally, should not irritate Vekili (Kerim-Khan) and Russia's neighboring Fatali Khan. Instead, he should only express 'reserved support' to the khans and refrain from direct intervention. Moreover, he should attempt to resolve disagreements between the khans (Macharadze 1997: 27). This circumstance leads us to believe that Erekle's aforementioned position was probably influenced by the Russian factor.

was completely inconsistent with the current political situation. However, the war between Russia and the Ottoman Empire and the involvement of the Kingdom of Kartli-Kakheti in this war led to significant changes in intra-Caucasian political relations.

Already in October 1769, the first reports emerged that Ottoman emissaries had arrived in Dagestan and near Kubis Khan to join the ongoing war against Russia.¹ It soon became clear that Haji Gerey (Garai), the son of the prince of Kazikumukh, was accepted by the Sultan, Pashoba Ubodze, and given a large amount of money to assemble an army from the Dagestanis to protect the deserted northeastern borders of the Ottomans (Macharadze 1988: 521). A corresponding invitation was also sent to the ruler of Khundzakh, who promptly sent a messenger to Erekle to seek advice on how to act in this situation. The king refused to participate in this event.

After Haji Gerey was killed in the battle of Aspindze (April 20, 1770), the Khan of Qazikumukh attempted to form a large military coalition involving the Dagestanis and other Caucasian khans to seek revenge against the Kingdom of Kartli-Kakheti. During this time, Nutsal of Khundzakh (Avareti) informed Erekle about these developments and added that he responded to the offer by stating, 'Brotherly and loyal friendship has been established between us and Erekle Khan, and we cannot break it forever' (Macharadze 1988: 305).

However, with the appearance and activation of the Russian army in the South Caucasus, a kind of fluctuation and signs of a double game can be observed in the actions of Nursal Beg. He is attempting to raise the price of his loyalty in the tense political situation and secure new benefits. It should not be surprising if, under these conditions, the degree of trust in Avareti Nutsali would decrease in the eyes of King Erekle.

Starting from September 1770, instigated by the Ottomans and the Qazikumukh chiefs, the Leks who had settled in Chari, as negotiated with Erekle, began attacking the bordering lands of Kakheti. This posed a new challenge for the king: to definitively address the issue of the Char-Belakne Leks to prevent attacks from the most vulnerable side during the fight with the Ottomans. Shakis Khan Hussain, remembered as an ally of Charel, played a crucial role in this context. To strengthen this alliance, Erekle made efforts to

1 Erekle II was unaware of this. Mouravov reported the situation to General Totleben, the commander of the Russian army in the Kingdom of Kartli-Kakheti. See the document (Macharadze 1988: 428).

reconcile with Fatali, aiming to make the 'salvage' more expensive and powerless (Macharadze 1997: 485; Tsagareli 1898: 67-68), and he succeeded in doing so.¹ It is no longer difficult to guess that this union of Erekle-Fatali, in which Ganji Khan Muhammad is united, is directed against Shaki Khan (Macharadze 1997: 719).² In the summer of 1771, General Sukhotin, who replaced Tottleben, rebuked Erekle for intending to send 400 warriors to aid his allies against Shaki Khan and strictly and inappropriately forbade the king from doing so (Macharadze 1997: 684). As a result, the king refrained from sending any further support to his allied khans. However, the dynamics between former allies Erekle II and Husayn Khan had shifted, with the old rivals Erekle and Fatali Khan now becoming allies.

Therefore, the possibility of Hussein Khan inviting the Avar army for a joint campaign against Kartli-Kakheti, especially when Erekle was at that time in Akhaltsikhe with his army, could not be ruled out. However, as we have seen, Hazbulat Shamurzin's reports turned out to be unfounded. It is hard to imagine that the intelligence reports obtained by the captain on a special mission in Khundzakh were so mixed up. It is quite possible that the Ganges provided him with incorrect information about the time and direction of the trek. This, indeed, caused Erekle to panic and immediately turn back from Akhaltsikhe, but the march to Shemakhi caught Fatali Khan by surprise. Nevertheless, the campaign, commanded by Nursal Beg's brother and son (Bulach Mirza and Muhammad Mirza) from the Avar side, ended in a heavy defeat, with both Avar commanders falling on the battlefield.³

Bibliography:

Abdulaevi 1958: Абдуллаев Г. Б., Из истории Северо-Восточного Азербайджана в 60-80-х гг. XVIII в., Баку, 1958.

Gamrekeli 1968: Документы по взаимоотношениям Грузии с Северным Кавказом в XVIII в., Документы подобрал, подготовил к печати и предпослал им исследование В. Н. Гамрекели, Тб., 1968.

Gajievi 1988: Русско-дагестанские отношения в XVIII - начале XIX в. Сборник документов, под ред. В. Г. Гаджиева, Москва, 1988.

Macharadze 1988: Macharadze V., Materials for the history of relations between Russia and Georgia in the second half of the 18th century, p. III.

1 Written by Erekle II to Gen. Sukhotin on August 21, 1771 (Macharadze 1997: 706).

2 Find - The next letter of Erekle II to Gen. to Sukhotin (Macharadze 1997: 719).

3 For more details about this hike, see (Merkviladze 2022: 184-184).

after I. Russo-Turkish War in 1768-1774 and Georgia, Tbilisi., 1988.
Macharadze 1997: Macharadze V., Materials for the history of relations between Russia and Georgia in the second half of the 18th century, p. III. after II, Russo-Turkish War in 1768-1774 and Georgia, Tbilisi., 1997.
Merkvelidze 2022: Merkviladze D., Military-political conflicts in the khanates of the South Caucasus in 1768-1774 and Erekle II, Scientia, III, 2022.
Tsayareli 1891: Грамоты 1891. Грамоты и другие исторические документы XVIII столѣтїя, относящїеся до Грузїи. Томъ I, съ 1768 по 1774 годъ. Подъ редакціей А. А. Цагарели, СПб., 1891.
Tsayareli 1898. Грамоты и другие исторические документы XVIII столѣтїя, относящїеся до Грузїи. Томъ II, вып., 16 грузинские тексты съ 1768 по 1801 годъ. Подъ редакціей А. А. Цагарели, СПб., 1898.

ჰარუთუნ ხუდანიანი

სომხეთის რესპუბლიკის მეცნიერებათა
ეროვნული აკადემიის ისტორიის ინსტიტუტი

ქართული ვასოს პერსონაჟი მე-19 საუკუნის სომეხი რომანისტი „რაფის“ ისტორიულ რომანში „ხაჩაგოლის ანდერძი“

სომეხი მწერლის, რაფის (ჰაკობ მელიქ ჰაკობიანი, 1835-1888), სომეხური ინტელიგენციის ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული და გავლენიანი ფიგურის ისტორიული რომანები, თანამედროვე სომეხური ნაციონალიზმის განვითარებისთვის ძალიან მნიშვნელოვნადაა მიჩნეული. თავის ერთ-ერთ ყველაზე პოპულარულ ნაშრომში, „ხაჩაგოლის ანდერძში“, რაფი აღწერს სპარსელი სომეხების, გარკვეული სოციალური კლასის, სახელწოდებით „ross-stealers“, (გამოითქმის როგორც „khachagogh“, „ხაჩაგოლ“ სომეხურად), დანაშაულებრივ ქმედებებსა და ანტისოციალურ ქცევას. რომანი ძირითადად დაფუძნებულია მურადის, ამ ამბის მთავარი გმირის დღიურზე, რომელმაც დაწერა რამდენიმე გასაოცარი მემუარი. პერსარმენიაში მოგზაურობისას, რაფი ეწვია გარდაცვლილი მურადის მეუღლეს, ნენეს, რომელმაც მას ოდესღაც ცნობილი „ხაჩაგოლის“ ანდერძი გადასცა. ავტორსა და ნენეს ასევე ხანგრძლივი და საინტერესო საუბარი ჰქონდათ „ხაჩაგოლის“ ცხოვრებისა და საქმიანობის სხვადასხვა ასპექტზე, ამიტომ რომანის სიუჟეტის ნაწილიც, სწორედ იმ ნაშრომებზეა დაფუძნებული, რომელიც რაფიმ უშუალო ადგილიდან ნამოიღო.

ერთ-ერთ ბოლო თავში, სახელწოდებით „სიყვარული არ

იცდის“, მურადი ციხეში ხვდება ქართველ ახალგაზრდას, სახელად ვასოს, როცა ის მისმა თანამემამულე “cross-stealer-ებმა“ მიატოვეს. ვასო, მურადის ძალიან გულიათადი მეგობარი ხდება და მურადისთვის ინსპირაციის წყაროდც კი მოგვევლინება. შედეგად, ასე აღწერს რაფი ვასოს და მათ მეგობრობას მურადის სიტყვებით: „ის იყო მხიარული, მარტივად მოაზროვნე და საკმაოდ სიმპათიური ახალგაზრდა, იმერეთის რეგიონიდან. იგი ძალიან მალე დამიახლოვდა. ის მკვლელობისთვის გააძევეს. მაინტერესებდა, თუ როგორ შეეძლო ასეთი კეთილშობილების მქონე ახალგაზრდას, მკვლელობის ჩადენა. ყოველდღე უფრო და უფრო მომწონდა ეს ახალგაზრდა. იმდენი უბრალოება იყო მის ხასიათში, შეუძლებელი იყო რომ არ შეგეყვარებინა. ...ვასო ისე მიმეჩვია, რომ არასდროს მიმატოვებდა. ღამე ჩემს გვერდით ეძინა და ხშირად, როცა ვერ იძინებდა, საათობით მესაუბრებოდა თავისი ცხოვრების თავგადასავალზე“. ამ ამბის ყველაზე ამაღელვებელი ნაწილი კი ის უბედურებაა, რომელიც ვასოს დაატყდა თავს, როცა საყვარელი კეკელოს სიყვარულით დაჭრა თავისი ბატონი, რომელსაც ორივე ყმად ემსახურებოდა. შემდეგ ვასო გაიქცა, მთელი ამ ხნის განმავლობაში ცდილობდა კეკელოს თან წაყვანას, მაგრამ ვერ ახერხებდა და ბოლოს ტყვედ ჩავარდა. რაფი ადარებს მურადისა და ვასოს მხატვრულ სახეებს ერთმანეთს და ამ უკანასკნელს ასახავს ჭეშმარიტი კაცის ყველა სათნოებით - მამაცი, გულკეთილი და წყალივით სუფთა, მიუხედავად იმისა, რომ მან დანაშაული ჩაიდინა და თან, დანაშაული, რომელსაც რაფი არ აკრიტიკებს, არამედ აქებს, რადგან ავტორისთვის, სამყაროში არაფერია სიყვარულზე ძლიერი და ამაღლებული, რომელსაც შეუძლია განკურნოს სულელები და შეცვალოს ყველა, მიღმიერად ნებისმიერი აღიარებისა.

**THE CHARACTER OF THE GEORGIAN VASO IN THE HISTORICAL
NOVEL “THE DIARY OF A CROSS-STEALER” BY THE 19TH
CENTURY ARMENIAN NOVELIST RAFFI**

The historical novels of the Armenian writer Raffi (Hakob Melik Hakobian, 1835-1888), one of the most outstanding and influential figures of the Armenian intelligentsia in the 19th century Tiflis, are considered important for the development of modern Armenian nationalism. In one of his most popular works, “The Diary of a Cross-Stealer”, Raffi describes the criminal acts and antisocial behavior of a certain social class of Persian Armenians called “cross-stealers” (pronounced as “khachagogh”, “խաչաղօղ” in Armenian). The novel is mainly based on the diary of Murad – the main hero of the story, who wrote down some of his breathtaking memoirs. During his journey through Persarmenia, Raffi visited the late Murad’s wife, Nene, who gave him the diary of the once famous cross-stealer. The author and Nene also had a long and interesting conversation about various aspects of the lives and activities of cross-stealers, so part of the plot of the novel is also based on the notes Raffi took on the spot.

In one of the last chapters, entitled “Love does not wait”, Murad meets a Georgian youth called Vaso in prison when he has been abandoned by his fellow cross-stealers. He became a hearty friend to Murad and a source of inspiration for an exemplary and dignified man. And so Raffi describes Vaso and their friendship in Murad’s words: “He was a cheerful, simple-minded and rather handsome young man from the region of Imeretia. He soon became very close to me. He was banished for murder. I wondered how such a good-natured boy could commit murder. I grew to like this young man more and more every day. There was so much simplicity in his character that you couldn’t help but love him. ...Vaso got so used to me that he never left me. He slept next to me at night and often, when he couldn’t sleep, he talked for hours about the adventures of his life”. The most exciting part of this story, however, is the misfortune that befell Vaso when, out of love for his beloved Kekelo, he stabbed

his master, to whom they both served as serfs. Vaso then fled, trying all the while to take Kekelo with him, but he failed and was captured. Raffi compares the images of Murad and Vaso, depicting the latter with all the virtues of a true man – courageous, kind-hearted and pure as water, even though he has committed a crime. A crime that Raffi does not criticize, but praises, because for the author there is nothing stronger and more sublime in the universe than love, which can heal souls and change everyone beyond recognition.

თამარ ჩარკვიანი

კავკასიის უნივერსიტეტი

**საქართველოში ინტერრელიგიური
დიალოგის პროცესში, რელიგიათა
ურთიერთდაპირისპირების მონომოქიზმის,
მულტიმოქიზმის და ინტერმოქიზმის ანალიზი**

უკანასკნელ ათწლეულში განსაკუთრებით დიდია ინტერრესი რამდენად შესძლებია რელიგიამ დადებითი როლი შეასრულოს კონფლიქტების დარეგულირებისა და მშვიდობის მშენებლობის პროცესში. განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს რელიგიათა მშვიდობიან თანაარსებობას მულტირელიგიურ და მულტიკეთნიკურ საზოგადოებებში, თუ გავითვალისწინებთ, რომ ის დაპირისპირებული მხარეების ინდივიდუალური და კოლექტიური იდენტობის ერთ-ერთი მთავარი განმსაზღვრელი ფაქტორია. რელიგიური ნორმები და ღირებულებები კულტურული იდენტობის ცენტრალური ასპექტებია. სხვა კულტურული ღირებულებების მსგავსად რელიგიური იდენტობამ და ღირებულებებმა ორიენტაციებმა შეიძლება უბიძგოს ადამიანებს როგორც დაპირისპირების, ისე შერიგებისკენ.

კვლევის შესასრულებლად ჩემ მიერ გამოყენებულ იქნა ქართულ ენაზე არსებული სამეცნიერო ლიტერატურა (ა. ჩოხელიძის, ბ. კობახიძის და სხვათა სამეცნიერო სტატიები), აგრეთვე, ინგლისურენოვანი სტატიები (გ. მახმურიანის სტატია). კვლევის შესასრულებლად მთავარი პირველ წყარო ჰარბორდის კომისიის რეპორტია, რომელიც ვაშინგტონში 1920 წელს გამოიცა, აგრეთვე დავამუშავეთ ქართული და ამერიკული საარქივო მასალები. ჩვენ მიერ დამუშავებულ იქნა თანადროული პრესის მასალებიც (როგორც ქართული, ასევე ამერიკული), სადაც სკრუპულოზურადაა გადმოცემული ჯეიმს ჰარბორდისა და მისი კომისიის საქართველოში ჩამოსვლის დეტალები. მნიშვნელოვან ცნობებს შეიცავს ჯეიმს ჰარბორდისა და კომისიის წევრების მემუარებიც.

ვფიქრობთ, მოცემული კვლევა დახმარებას გაუწევს

ქართველ დიპლომატებს, ისტორიის, ამერიკისმცოდნეობის მიმართულების სტუდენტებს და საკითხით დაინტერესებულ ნებისმიერ მკითხველს.

Pavlika Jagunava

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

GENERAL JAMES HARBORD'S MISSION TO GEORGIA: REASONS AND CONSEQUENCES

Researching the foreign policy of the Democratic Republic of Georgia from 1918 to 1921 poses a challenge for modern Georgian historiography. Over the last 30 years, the study of Georgian-American relations has gained special relevance, particularly during the aforementioned period. Our research focuses on the reasons and results of the visit by the American General James Harbord and his subordinate commission to Georgia in 1919.

The study of this issue is relevant for several reasons. The modern geopolitical situation and the existing strategic relations between Georgia and the USA make it important for both states to understand the history of their relations. The significance of this issue is underscored by the numerous scientific works in Georgian historiography about Harbord's visit to Georgia. The difficulty of accessing American archival documents in the past has led to a wealth of literature on this topic. Today, we can determine whether written or audio-video material reflecting the facts of the visit is available. We believe that the Harbord Commission's visit to Georgia, its results, and the aspirations of the Georgian government at that time to establish good relations with the Americans serve as a valuable illustration of the foreign policy of the Democratic Republic of Georgia.

The primary objective of this study is to address the existing gap in historiography. Additionally, we aim to bring forth previously unknown written sources about Georgia to the public.

In conducting this research, I utilized available scientific literature in Georgian, including articles by A. Chokheli, B. Kobakhidze, and others, as well as English language articles such as G. Makhmuriani's

work. The principal primary source for the research is the report of the Harbord Commission, published in Washington in 1920. We also examined Georgian and American archival materials. Contemporary press materials, both in Georgian and American publications, were scrutinized for details about James Harbord and his commission's arrival in Georgia. Memoirs from James Harbord and commission members proved to be valuable sources of information.

We believe that this study will be beneficial for Georgian diplomats, history students, those interested in American studies, and any reader intrigued by the issue.

ნატო სონღულაშვილი

თსუ ივანე ჯავახიშვილის სახელობის
ისტორიის და ეთნოლოგიის ინსტიტუტი

თავისუფლების იდეა ვლასა მგელაძის ნააზრევში (XX საუკუნის 20-იანი წლები)

ეროვნული თემატიკის ანალიზი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრობლემაა საქართველოს ისტორიის საფუძვლიანი შესწავლისათვის. ამ მიმართულებით საინტერესოა საქართველოს ისტორიის სამი განსხვავებული მონაკვეთის: მეოცე საუკუნის დასაწყისის, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის (1918-1921) და საბჭოთა პერიოდის კომპლექსური ანალიზი, როდესაც საქართველოს განსხვავებულ რეალობაში უხდებოდა არსებობა და თითოეულმა ქრონოლოგიურმა მონაკვეთმა განსაზღვრა ქვეყნის შემდგომი განვითარება. აღნიშნული პერიოდის მოვლენები საკმაოდ რთული შესაფასებელია პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური, რელიგიური თუ იდეოლოგიური ცვალებადობის ფონზე, თუმცა საკმაოდ მდიდარ ინფორმაციას შეიცავს ეროვნული იდეის კვლევის თვალსაზრისით.

დროის ამ ქრონოლოგიური მონაკვეთის გააზრება და ეპოქის გამოწვევების ფონზე პიროვნების ნააზრევის განსაზღვრა საკმაოდ მნიშვნელოვანი და ამავედროულად რთულია. სწო-

რედ ამ პერიოდში მოღვაწეობდა საქართველოს ახალი და უახლესი ისტორიის ერთ-ერთი საინტერესო ფიგურა ვლასა მგელაძე, რომლის პოლიტიკური შეხედულებები რამდენადაც საინტერესოა, იმდენად პრობლემური საკვლევიცაა ეროვნული იდეის გააზრების თვალსაზრისით. განსხვავებული შეხედულებები არსებობს იმ პოლიტიკური პარტიის მიმართ, რომლის წარმომადგენელიც გახლდათ ვლასა მგელაძე და ამ ფონზე, ორმაგად მნიშვნელოვანი და აქტუალურია იმგვარი საკითხების ანალიზი, რომლებიც პრობლემას განსხვავებულ ჭრილში წარმოგვიდგენს.

ბუნებრივია, შესაძლოა არც ისე მარტივია ეროვნული იდეის ირგვლივ ვლასა მგელაძის ნააზრევის განხილვა, თუმცა მნიშვნელოვანი და აუცილებელი, რადგან საქართველოს ახალი და უახლესი ისტორიის შესწავლა მუდმივ გადააზრებას და ანალიზს მოითხოვს. „ვლასა მგელაძე... მარტოდმარტო ეს ფაქტი საკმაოა, რომ ვლასა შვიდეს „ქართლის ცხოვრებაში“, როგორც რაინდი, მზიური შარავანდედით მოსილი“ - წერდა გრიგოლ რობაქიძე; ვლასა ერთი იყო, მეორე არ გამოჩენილა, არც გამოჩნდება“ - კვერს უკრავდა ნოე ჟორდანიას.¹

ნაციონალური იდეის აღქმა და განვითარება სხვადასხვა ეპოქაში გარკვეულ ცვლილებას განიცდის და დროის მოთხოვნილებიდან გამომდინარე ყურადღება ექცევა იმ ეროვნულ სიმბოლოს, რომლის შენარჩუნებას ერის არსებობისთვის სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს. 1900-1921 წლებში აღნიშნული პრობლემისადმი საზოგადოების აღქმა ეტაპობრივ ცვლილებას განიცდის, 1900-1917 წლების იდეოლოგია ერთგვარი წინაპირობაა დემოკრატიული რესპუბლიკის პერიოდში შექმნილი მოვლენების. ხაზგასასმელია ის ფაქტი, რომ ამ დროს ეროვნული საკითხისადმი და კონკრეტულად, სამშობლოს იდეისადმი განსხვავებული მოსაზრებები არსებობს კულტურულ და პოლიტიკურ ელიტაში, რაც თავის ასახვას პოულობდა საზოგადოების ფართო ფენებშიც. სწორედ ამიტომ ეროვნული ძალების მიერ შემუშავებული პროგრამა მთლიანად იყო მიმართული სოციალური ფენების იმ ნაწილზე, რომელთაც ყველაზე მეტად სჭირდებოდა საკუთარი ადგილის და როლის გაცნობიერება ქართველი ერის ნაწილად. ამიტომ სახელმწიფოებრიობადაკარგული ერის ცხოვრებაში კულტურული და პოლიტიკური ელიტა ბრძოლის ახალ გზას ადგება, რასაც საბოლოო ჯამში თავისუფლების მოპოვება უნდა მოყოლოდა, რომლის მონა-

1 ვ. მგელაძე, 26 მაისი, თილისი-პარიზი, 1990, გვ. 68

წილე უნდა ყოფილიყო ქართული ერთობის ყველა წევრი. ეროვნული თავისუფლებისათვის ბრძოლა 1900-1921 წლების საქართველოში მხოლოდ შეიარაღებული ბრძოლით არ გამოიხატებოდა, ეს ფაქტი ვლინდება კულტურული და პოლიტიკური ელიტის საგანმანათლებლო მოღვაწეობაში. განათლებული და საკუთარი ნაციონალური სიმბოლოების მნიშვნელობას მიხვედრილი ქართველი უფრო მეტი შემართებით დაიცავდა სამშობლოს

XX საუკუნის დასაწყისში საქართველოს ისტორიაში იწყება ახალი ეტაპი. განმათავისუფლებელი მოძრაობა ახალ სტადიაზე გადადის. მართალია, ეროვნულმა მოძრაობამ გარკვეული ფორმირება განიცადა, მაგრამ იდეა უცვლელი დარჩა. როგორც XIX საუკუნის II ნახევარში, ისე XX საუკუნის I ოცნლეულში ქართული კულტურული ელიტა ორიენტირებულია ნაციონალური ღირებულებების, სიმბოლოების აღორძინება-პროპაგანდაზე საზოგადოების ყველა ფენაში, მნიშვნელოვანწილად სოციალურად დაბალი ფენის წარმომადგენლებში. ქართული კულტურული და პოლიტიკური ელიტის მიერ აღნიშნულ პრობლემაზე ყურადღების გამახვილება იმასაც მიუთითებს, რომ არსებობს ჭიდილი, რომელიც მიმდინარეობდა საზოგადოების თითოეული წევრის წინაშე და მთლიანად აღებული სხვადასხვა სოციალური ფენის ცნობიერებაში.

ეროვნულ - განმათავისუფლებელი მოძრაობა ერთ-ერთი რთული შესაფასებელია საბჭოთა რეჟიმის პირობებში. აღნიშნული პრობლემის შესწავლა საბჭოთა პერიოდში ტაბუდადებულ თემას წარმოადგენდა. მხოლოდ პოსტსაბჭოთა პერიოდიდან დაიწყო XX საუკუნის აღნიშნული მონაკვეთის გადააზრება.

ეროვნული მოძრაობის ცალკეული საკითხების გაშუქებასთან ერთად ყურადღება მისაქცევია ქართული ემიგრაციის პოზიციისა და მონაწილეობის ფორმების გააზრება ანტისაბჭოთა მოძრაობაში.

თანამედროვე სამეცნიერო ტენდენციების გამოწვევა, მეტოდოლოგიის დახვეწა საშუალებას გვაძლევს პრობლემის განსხვავებული მიმართულებით წარმოჩენის და გამოკვლევისა. აქედან გამომდინარე, მნიშვნელოვან საკითხად მიგვაჩნია ეროვნული იდეის პრობლემა საბჭოთა პერიოდში.

ვლასა მგელაძის მოღვაწეობა გრძელდება საბჭოთა პერიოდში და იგი საქართველოს ინტერესების დაცვისთვის ბრძოლას აგრძელებს ემიგრაციაში. თუმცა მისი ნააზრევი, რომელიც ემიგრაციაში ყოფნის დროსაც საქართველოს ირგვლივ

ტრიალებდა ქვეყნის თავისუფლების მოპოვებაზეა ორიენტირებული. მართალია მე-19 საუკუნის მეორე ნახევრიდან მოყოლებული ქართული პოლიტიკური და კულტურული ელიტის შეხედულებები განსხვავდებოდა ერთმანეთისგან, მაგრამ თითოეული მათგანის მთავარი ამოსავალი პრინციპი საქართველოს თავისუფლება და სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა იყო. სწორედ ამ იდეის განხორციელებისთვის იბრძოდა ვლასა მგელაძე.

Nato Songhulashvili

TSU Ivane Javakishvili Institute
of History and Ethnology

THE IDEA OF FREEDOM IN THE THOUGHT OF VLASA MGELADZE (20S OF XX CENTURY)

The analysis of the national theme poses a significant challenge for a comprehensive exploration of Georgia's history. A particularly intriguing approach involves the intricate analysis of three distinct periods in Georgian history: the early 20th century, the Democratic Republic of Georgia (1918-1921), and the Soviet era. Each chronological epoch played a pivotal role in shaping the country's trajectory, and evaluating the events during these periods against the backdrop of political, economic, social, religious, or ideological transformations provides rich insights for the study of the national idea.

Comprehending the mindset of individuals grappling with the challenges of their times is crucial yet challenging. Notably, Vlasa Mgeladze, a prominent figure in Georgia's recent history, was active during this period. His political views, although intriguing, present challenges in studying the national idea. Divergent opinions exist regarding the political party represented by Mgeladze, intensifying the importance of analyzing these issues from different perspectives.

Delving into Vlasa Mgeladze's thoughts on the national idea is not a straightforward task, but it is imperative. The study of Georgia's recent history demands constant reevaluation and analysis. Grigol Robakidze, capturing the essence of Vlasa Mgeladze, remarked, "Vlasa Mgeladze... this fact alone is enough for Vlasa to enter the

'life of Kartli' as a knight, dressed in a sunny robe." Noah Jordania added, "There was one Vlasa, the other one did not appear, nor will it appear." These statements underscore the complexity and significance of understanding Vlasa Mgeladze's role in shaping the national narrative.¹

The perception and evolution of the national idea undergo certain transformations in different eras, with a particular emphasis on the national symbol whose preservation is crucial for the nation's existence. In the years 1900-1921, the public's perspective on this issue experiences a gradual shift. The ideology prevalent during 1900-1917 serves as a precursor to the events that unfolded in the era of the Democratic Republic.

It is noteworthy that during this period, diverse opinions on the national issue, specifically the concept of the motherland, exist within the cultural and political elite. These perspectives resonate in broad layers of society. Consequently, the programs developed by national forces primarily target those social strata most in need of recognizing their place and role as part of the Georgian nation. Hence, the cultural and political elite, operating in a nation that has lost its statehood, embarks on a new path of struggle. This struggle is envisioned to ultimately lead to the attainment of freedom, a collective endeavor in which all members of the Georgian unity are expected to participate.

The struggle for national freedom in Georgia from 1900 to 1921 was not solely expressed through armed conflict; it was also evident in the educational initiatives of the cultural and political elite. An educated Georgian who grasped the significance of national symbols would defend his homeland with greater commitment.

In the early 20th century, a new chapter unfolded in Georgia's history as the liberation movement entered a fresh phase. While the national movement underwent some evolution, the core idea remained unchanged. Both in the latter half of the 19th century and the first decade of the 20th century, the Georgian cultural elite concentrated on revitalizing national values and symbols across all societal layers, including the socially lower strata. The attention devoted to this issue by the Georgian cultural and political elite underscores that it was a struggle embraced by every member of society, permeating different social strata.

Assessing the national liberation movement under the conditions

1 V. Mgeladze, May 26, Tbilisi-Paris, 1990, p. 68

of the Soviet regime proved challenging. The study of this issue was taboo during the Soviet era, and only in the post-Soviet period did a reevaluation of this segment of the 20th century commence. Apart from addressing specific aspects of the national movement, efforts have been directed towards understanding the stance of Georgian emigration and its involvement in the anti-Soviet movement.

By challenging contemporary scientific trends and refining methodologies, a different approach to presenting and investigating the problem has emerged. Consequently, the issue of the national idea during the Soviet period is considered significant. Vlasa Mgeladze's work extended into the Soviet period, where he continued to advocate for Georgia's interests in exile. Even while in exile, his thoughts centered on achieving the country's freedom. Although the views of the Georgian political and cultural elite varied since the second half of the 19th century, the fundamental guiding principle for each was the freedom and state independence of Georgia, a cause for which Vlasa Mgeladze passionately fought.

ასმათ გვაზავა რევაზ კლდიაშვილი

კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს
ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი

თანამედროვე კვლევის მეთოდების გამოყენება წიგნის კონსერვაცია-რესტავრაციაში (XIX საუკუნის ხელნაწერის [SIR-3] ყდის ქსოვილის რენტგენოფლუორესცენციული ანალიზატორით (XRF EDX 3600B) კვლევა და მისი შედეგები)

წერილობითი მემკვიდრეობის კონსერვაცია-რესტავრაციის საკითხებზე მსჯელობისას, როგორც წესი განსაკუთრებული ყურადღება მახვილდება მის ძირითად შემადგენელ მასალებზე, როგორცაა ეტრატი, ტყავი, ქაღალდი, ხე და ლითონი. ამ მასალებზე შესრულებული ტექსტი, ჩანახატი, ჭედურობა თუ ტვიფარი, მნიშვნელოვანია ისტორიული და მხატვრული ღირებულების გამო, ხოლო მათი სტრუქტურულ დონეზე შესწავლა ექსპონატის შენახვის, მისი რესტავრაციის, დაბერების

პროცესის შეჩერების და გადარეჩენის საშუალებას იძლევა. ყველა ჩამოთვლილი მასალა შეიძლება ერთი ხელნაწერი ან ბეჭდური - კოდექსბლოკური წიგნის შემადგენელი ნაწილი იყოს და ეს მასალები ვიზუალურად შესამჩნევია. თუმცა ჩამონათვალი ამით არ სრულდება, რადგან იმისათვის, რომ ბლოკი აკინძული, ყდა დაფიქსირებული და ყუა მყარი იყოს, არსებობს მასალათა კომბინაცია, რომლებიც ერთი შეხედვით არ ჩანს, მაგრამ ფუნქციურად მნიშვნელოვანია. ასეთი მასალა შეიძლება იყოს ასაკინძი თასმები, ძაფები, ყუის ფიქსაციისთვის გამოყენებული ადგენივები და ქსოვილი, რომელსაც სხვადასხვა დანიშნულება აქვს. იგი შეიძლება ფარავდეს ხის დაფებს ფორზაცისა და ბლოკის დაცვის მიზნით, რასაც საფარი ფუნქციის გარდა ესთეტიური დატვირთვაც ქონდა. თუმცა გაცილებით ხშირად ქსოვილი წიგნის არსებით ნაწილს წარმოადგენს, რადგან ის გამოიყენებოდა ასაკინძი თასმების დასაფარად, ყუის არეში ტყავის გასამაგრებლად და ხის დაფების ბლოკთან კავშირის გასამტკიცებლად.

კოდექსად აკინძული წიგნი მიუხედავად იმისა ფურცელი ეტრატის არის ის თუ ქაღალდის, გაცილებით უფრო გამძლეა გარემო-პირობების მიმართ ვიდრე გრაგნილი, რადგან ბლოკის გარე დამცავი ელემენტები - ყდა და გარეკანი საიმედო საფარია ფურცლების დაზიანებისგან დასაცავად, მაგრამ ისევე როგორც ყველაფერი ბუნებაში, ხელნაწერი წიგნის მასალაც განიცდის დაბერების პროცესს და ქსოვილი რომელიც ერთ დროს ყუის ფიქსაციას ახდენდა, გაცილებით მეტი ზიანის გამომწვევი შეიძლება გახდეს, ვიდრე მისი ფუნქციური დატვირთვაა. აქედან გამომდინარე წიგნის კონსერვაცია-რესტავრაციის პროცესში, გარდა ძირითადი მასალებისა, რიგ შემთხვევაში საკვლევ ობიექტს ქსოვილიც წარმოადგენს, და ჩვენი თემის ძირითადი ნაწილი დაეთმოა წერილობითი მემკვიდრეობის კონსერვაცია-რესტავრაციის დარგში თანამედროვე კვლევის მეთოდების გამოყენების მნიშვნელობას, კერძოდ XIX საუკუნის სირიული ხელნაწერის ყდიდან ამოღებული ქსოვილების რენტგენოფლოორესცენციული ანალიზატორით (XRF EDX 3600B) ჩატარებული კვლევის შედეგებს, რომლის დროსაც სამუშაო შესრულდა სტანდარტული მეთოდიკით (ხს-ს. მ. #1.G-18), EDX for Mineral and her Alloys – ORE (მადნების) და Soil (ნიადაგების) პროგრამის გამოყენებით და ნიმუშებზე გამოვლენილ იქნა ის ძირითადი ქიმიური ელემენტები რომლებიც ორგანულია მცენარეული ბოჭკოს ქსოვილისათვის და

ელემენტები რომლებიც ხელოვნურად მოხვდა მის ზედაპირსა თუ სტრუქტურაში.



სირიული ხელნაწერის (Sir-3) ყდის ფრაგმენტი, „ლოცვანი“
გადანერილია 1875 წელს

ტექსტილი ანუ საფეიქრო ნაწარმი ფართო მნიშვნელობის ტერმინია რომელიც აერთიანებს ბოჭკოზე დაფუძნებულ სხვადასხვა მასალებს, ნებისმიერ ქსოვილს, რომელიც წარმოიქმნება ქსოვის შედეგად სიგრძივი და ჰორიზონტალური ძაფების მონაცვლეობით, იქნება ეს ხელით ნაქსოვი თუ ქარხნული წარმოების ტილო. ე.წ. საფეიქრო ბოჭკო წარმოადგენს გრძივ, მოქნილ და მტკიცე სხეულს, განსაზღვრული სიგრძით და ძალზე მცირე განივი კვეთით, რომელიც გამოიყენება საფეიქრო ნაწარმის დასამზადებლად. უფრო ზუსტად ბოჭკო ის ელემენტია, რომლის შემდგომი გადამუშავებით მიიღება საფეიქრო ნაწარმები. ბუნებაში უამრავი სახის ბოჭკო არსებობს, მაგრამ ქსოვილის შესაქმნელად გამოიყენებოდა მხოლოდ ის, რომელსაც დართვის უნარი გააჩნია. საუკუნეების განმავლობაში ადამიანი მხოლოდ ბუნებაში არსებულ საფეიქრო ბოჭკოს ამუშავებდა და მხოლოდ XX საუკუნის 50-იან წლებიდან, მას შემდეგ რაც ქიმიური მრეწველობა განვითარდა, დაიწყო ქიმიური ბოჭკოს გამოყენება, ამრიგად საფეიქრო ბოჭკოები წარმოშობის მიხედვით შეგვიძლია დავყოთ: ნატურალური


ანუ ბუნებრივი (ნატურალურს მიეკუთვნება ბოჭკო, რომელიც ბუნებაში ფორმირდება ადამიანის ჩარევის გარეშე, როგორიცაა მცენარეული, ცხოველური და მინერალური ბოჭკოები) და ქიმიურ ბოჭკოდ. ამ შემთხვევაში ჩვენთვის საინტერესო მცენარეული ბოჭკოს ქსოვილებია, რადგან კვლევით დადგინდა, რომ ხელნაწერის ყდიდან აღებული ნიმუში ბამბის ბოჭკოთი დამზადებული მწვანე და შავი საღებავით შეღებილი ქსოვილებია.

იმის დასადგენად თუ როგორი წარმოშობის არის ქსოვილი კვლევის სხვადასხვა მეთოდები არსებობს, ერთ-ერთი ასეთი მეთოდი, რომელიც ყოველდღიურობაში ადვილად გამოსაყენებელი და ყველასათვის დაძლევადი წვის მეთოდი. ეს ტექნიკა მცენარეული ბოჭკოების სხვა ბოჭკოებისაგან გამოცნობის საშუალებას იძლევა, რადგან ნიმუში ცეცხლის ალში ადვილად იწვის, იგრძნობა დამწვარი ქალაქის სუნი, ხოლო ნამწვი ნაცრდება. განსხვავებით ცხოველური ბოჭკოს წართისაგან, რადგან მატყლის ბოჭკო ცილოვანი შედგენილობისაა. იწვის ნელა, გამოირჩევა მძაფრი დამახასიათებელი დამწვარი რქის სუნით. ალიდან გამოტანისთანავე ქვრება და რჩება შავი, ბურთულისებრი მინადული, რომელიც ერთგვაროვანია თუმცა გასრესისას ადვილად იფშვნება. წვის მეთოდი შეიძლება ეფექტურიც არის და შესასრულებლად მარტივიც, მაგრამ ამით მხოლოდ მცენარეული და ცხოველური ბოჭკოს განსხვავება შესაძლებელი, მაგრამ იმის დადგენა თუ რომელი ცხოველის მატყლია, ან მცენარის თესლის, ღეროსა თუ ნაყოფის ბოჭკოა გამოყენებული ქსოვილის შესაქმნელად რა თქმა უნდა ვერ მოხდება. გარდა ამისა ყოვლად დაუშვებელი და წარმოუდგენელია ასეთი მეთოდი კულტურული მემკვიდრეობის ნიმუშის საკვლევად იქნას გამოყენებული. ამიტომ არსებობს ლაბორატორიული, მეცნიერული კვლევის მეთოდები სადაც თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენება გაცილებით დიდ დიაპაზონს იძლევა, ვიდრე მხოლოდ ბოჭკოს წარმოშობის და მათ შორის განსხვავების დანახვაა.

ქსოვილის წარმოშობის დადგენა შესაძლებელია აგრეთვე ქსოვილის სისქის, მისი ქსოვის ტექნიკის, ზედაპირის შესწავლით, ან სტრუქტურის გამოკვლევით. ცხოველურ ბოჭკოს, თუ იგი წარმოებულია ცხვრის, თხის ან აქლემის თმოვანი საფარიდან, რასაც მატყლი ეწოდება, გააჩნია შეთელვის უნარი, ზედაპირზე შეხებისას იგრძნობა უწვრილესი ზომის ბუსუსები, ქსოვილი მაღალი ტემპერატურის წყალში მოთავსებისას იკ-

ლებს ზომაში და სხვ. ცხოველურ ბოჭკოს განეკუთვნება აბრე-
შუმიც, თუმცა ის კარდინალურად განსხვავდება მატყლისგან,
ანუ შალით ნაქსოვი ქსოვილებისაგან თავისი ელასტიურობით,
გლუვი ზედაპირით, სიმსუბუქითა და გამჭვირვალობით. ხოლო
რაც შეეხება მცენარეულ ბოჭკოს გაცილებით მრავალფერო-
ვანია, ვიდრედ ცხოველური, რადგან იგი შეიძლება მოდიოდეს
მცენარის თესლიდან, როგორცაა მაგალითად ბამბა, ან ლე-
როს კედლებიდან, ასეთი მცენარეებია – სელი, ქერელი, კე-
ნაფი, ჯუთი, კანაფი და სხვ. ფოთლებში არსებული ბოჭკოდან
– აბაკა, მანილის ქერელი, სიზალი, გენეკენი. ნაყოფის აფსკი-
დან - მაგალითად ქოქოსის კაკალი, კოირი და სხვ. თითოეული
მათგანის თვისებების ჩამოთვლა თავისთავად საინტერესოა,
თუმცა ჩვენს თემაში ყურადღებას ბამბისა და სელის ბოჭკოზე
დამზადებულ ქსოვილებზე შევაჩერებთ, რადგან საკვლევი ნი-
მუში სწორედ ამ ტიპის ქსოვილებს განეკუთვნებოდა.

როგორც ცხოველურ, აგრეთვე მცენარეულ ბოჭკოს აგებუ-
ლების ინდივიდუალური მახასიათებელი გააჩნია, რაც ერთ-
მანეთისგან განსხვავების კიდეც ერთი საშუალებაა. ბამბის
ბოჭკოს აგებულება შემდეგია: ბოჭკოს გარედან ფარავს და-
ახლოებით 1მმ სისქის პირველადი კედელი, რომელიც შე-
იცავს დაახლოებით 50% ცელულოზას. პირველადი კედლის
გარეთა ზედაპირზე თავმოყრილია ცხიმოვან-ცვილოვანი ნი-
ვთიერება, რითაც აიხსნება ბამბის ბოჭკოს ცუდი დასველება
წყლით და სხვა სითხეებით. პირველადი კედლის შემდგომ
მოდის ძირითადი მრავალფენიანი, დაახლოებით 6-8 მმ სი-
მსხოს მეორადი კედელი, რომელიც შეიცავს პროტოპლაზმი-
დან ფოტოსინთეზის გზით წარმოქმნილ ცელულოზას. ბოჭკოს
შიგნით არის არხი. არამწიფე ბოჭკო შევსებულია პროტოპლაზ-
მით, ხოლო მწიფეში მხოლოდ მისი ნარჩენი ნაწილებია. ბოჭ-
კოს აგებულების ეს ზოგადი მახასიათებელი, სინამდვილეში
საკმაოდ ინფორმაციულია ლაბორატორიული კვლევის დროს,
რადგან მკვლევარს საშუალებას აძლევს ერთმანეთისაგან გა-
მიჯნოს ცალკეული ელემენტები.




ნახ. 1. ბამბის ბოჭკოს მიკროსკოპული ფოტო

კვლევა, რომელიც ჩატარდა რენტგენოფლორესცენციური სპექტროსკოპიით ეს არის არაინვაზიური, უკონტაქტო და არაორგანული მასალების დახასიათების არადესტრუქციული მეთოდი, ეს ის ტექნიკაა, რომელიც ხშირად გამოიყენება კულტურული მემკვიდრეობის ანალიზისთვის. XRF-ით შესაძლებელია მხოლოდ არაორგანულ მასალებში ცალკეული ელემენტების აღმოჩენა, რადგან ამ მეთოდით ორგანულ მასალებში მთავარი ელემენტების ნახშირბადისა (C) და წყალბადის (H) გამოვლენა არ ხდება, ამიტომ კვლევის პროცესში გამოყენებულ იქნა ენერჯის დისპერსიული რენტგენის სპექტროსკოპია (EDX) და ის XRF-სგან განსხვავებით საკვლევი მასალის ვაკუუმურ სისტემაში მოთავსებას მოითხოვს, რაც ეწინააღმდეგება არაინვაზიურობის პრინციპს, თუმცა ნიმუში ხელნაწერის არსებით ნაწილს არ წარმოადგენს, რადგან მისი ალება ქსოვილის დაზიანებული ნაწილიდან მოხდა, რათა არ გამოეწვია ხელნაწერის დაზიანება ან არ შეეცვალა ორიგინალის ავთენტური იერსახე.



ნახ. 2. საკვლევი მასალა, ქსოვილის ნიმუშები (130,131)

კვლევამ აჩვენა, რომ ორგანულ მასალასთან ერთად იყო ძირითადი ქიმიური ელემენტები: სილიციუმი (Si) - 1.34 %, კალციუმი (Ca) - 1.06 %, ალუმინი (Al) - 0.057 %, გოგირდი (S) - 0.56 %, მაგნიუმი (Mg) - 0.29 %, კალიუმი (K) - 0.52 %, რკინა (Fe) - 0.14 %, თუთია (Zn) - 0.14 %, სპილენძი (Cu) - 0.037 %, ქრომი (Cr) - 0.023 %, ტიტანი (Ti) - 0.033 %, მანგანუმი (Mg) - 0.35 %, ცირკონიუმი (Zr) - 0.03 %, ნიკელი (Ni) - 0.01 %.



ნახ. 3. ხელნაწერის (Sir-3) ქსოვილის რენტგენოფლორესცენციული (XRF EDX 3600B) ანალიზატორით კვლევის სპექტრული გამოსახულება

კვლევის ეს შედეგები ერთგვარ წარმოდგენას გვიქმნის ქსოვილის ბუნებრივ შემადგენლობასა და დანამატებზე, სილიციუმისა და კალციუმის ასეთი მაჩვენებელი ქსოვილის მცენარეული ბოჭკოს წარმომავლობის მაჩვენებელია, კალციუმის ოქსილატის კრისტალები რამდენიმე მცენარეულ ოჯახში

გვხვდება, მათ შორის გიმნოსპერმებსა (ძარღვოვანი, თესლის სპოროფილებზე ყოველგვარი საფარველის გარეშე მატარებელი მცენარეები) და ანგიოსპერმებში (ძარღვოვანი მცენარეები, რომლებსაც ახასიათებთ ყვავილობა ნაყოფის გამოსხმამდე, ასეთი მცენარის ნაყოფი თესლის მატარებელია, ამ ტიპის მცენარეებში დამტვერვის პროცესი ქარის საშუალებით ხორციელდება). მნიშვნელოვანია ის, რომ კრისტალების ფორმა, ზომა და რაოდენობა აჩვენებს ვარიაციებს ტაქსებს შორის და მათი მორფოლოგიიდან გამომდინარე კლასიფიცირდება ხუთ ძირითად ჯგუფად: პრიზმები, დრუზები, სტილოიდები, რაფიდები და ბროლის ქვიშა. ეს კრისტალები შეიძლება განთავსდეს ისეთ კონკრეტულ ქსოვილებში, როგორცაა ეპიდერმისი, ქერქი, ფლომა, ქსილემა და ლერო.

სულ სხვა დატვირთვა შეიძლება ქონდეს მაგნიუმის, ალუმინის, სპილენძისა და რკინის არსებობას, რადგან ქსოვილზე გარემო პირობებიდან და დაბინძურების სხვადასხვა კერებიდან მოხვედრის გარდა ის შეიძლება საღებავის შემადგენლობიდან მომდინარეობდეს. რადგან ბუნებრივი თუ ხელოვნური წარმოშობის მინერალური საღებავების უმეტესობა შედგება: კარბონატების, სულფატების, ქრომატების, სილიკატებისა და სხვა წყალში და ზეთში უხსნადი, მარტივი და რთული ამ ჯგუფის სხვადასხვა ლითონების მარილებისაგან. საღებავების მეორე მნიშვნელოვან და ჩვენთვის საინტერესო ნაწილს შეადგენს სხვადასხვა ლითონთა ჟანგები (ოქსიდები) და ჰიდრატები, კერძოდ - რკინის, მაგნიუმის, კობალტის, ტყვიისა და კალციუმის. გარდა ამისა შავი საღებავის შემცველობაში რკინის ქვეჟანგი (ორვალენტიანი რკინის ოქსიდი) შედის, რომელიც ნაერთში მწვანე ფერის ხდება. თავისთავად მწვანე ფერის საღებავი კი სპილენძის მაღალი შემცველობისაა. სწორედ ამიტომ კვლევის შედეგად მიღებულ მაჩვენებელში ლითონების ასეთი მაღალი მაჩვენებელი თითქმის ბუნებრივადაც კი შეიძლება მივიჩნიოთ, მაგრამ მათი არსებობა გარკვეულ სირთულეს ქმნის ხელნაწერის დაზიანების თვალსაზრისით, განსაკუთრებით მაშინ თუ ეს დამაზიანებელი ფაქტორები ქსოვილისგან მომდინარეობს, რადგან თემაში ჩვენს მიერ განხილული მისი დადებითი და ხელნაწერისათვის საჭირო დანიშნულების გარდა უარყოფითი თვისებებიც გააჩნია, სახელდობრ ის, რომ ქსოვილი ქალაქდობით შედარებით ადვილად იშლება სტრუქტურულად, მცირე ნაწილაკებად იშლება, ეს ნაწილაკები ერთის მხრივ იზიდავს მწერებსა და ხოჭოებს, ხოლო მეორეს

მხრივ ჯდება წიგნის მასალის სტრუქტურაში. გარდა ამისა ადვილად შეიწოვს ტენს, იკრავს ჭუჭყსა და მტვერს, რომელიც ღრმად შედის ქსოვილის ბოჭკოში, ზრდის დაზიანების დინამიკის საფრთხეს და სხვ.

თემაში ჩვენს მიერ მოყვანილი საკითხებით, გვინდა ყურადღება გავამახვილოთ კულტურული მემკვიდრეობის, იქნება ეს წერილობითი, მხატვრული, მონუმენტური, დაბგური თუ სხვა ნებისმიერი ნიმუშის კონსერვაცია-რესტავრაციის საკითხები, არსებითი მნიშვნელობა აქვს მასალის შესწავლას, კვლევასა და კლასიფიკაციას, რადგან მხოლოდ ასეთი კომპლექსური მუშაობა ქმნის სასურველი შედეგის დადგომის შესაძლებლობას.

Asmat Gvazava

Revaz Kldiashvili

Korneli Kekelidze Georgian
National Centre of Manuscripts

THE USE OF MODERN RESEARCH METHODS, SPECIFICALLY THE EXAMINATION OF A 19TH-CENTURY MANUSCRIPT COVER FABRIC USING AN XRF EDX 3600B ANALYZER

When discussing the conservation-restoration of written heritage, attention is typically directed towards its primary constituent materials, including parchment, leather, paper, wood, and metal. The historical and artistic value of the text, sketches, engravings, or tufting on these materials makes their study at the structural level crucial for the preservation of the exhibit. This process aids in restoration, halting the aging process, and ensuring long-term preservation.

The mentioned materials, such as parchment, leather, paper, wood, and metal, are visually recognizable and can be part of a single manuscript or printed codex/block book. However, the scope extends beyond these visible materials. In order to bind the block, fix the cover, and create a sturdy structure, a combination of materials that might not be immediately visible becomes functionally important. These include elastic straps, threads, adhesives for fixing the cast, and fabric serving various purposes.

For instance, fabric may be used to cover wooden boards, providing protection for the forsatz and the block. Beyond its covering function, fabric also holds aesthetic significance. More commonly, cloth is a vital component of the book, used to cover binding straps, reinforce leather bindings, and strengthen the connection between wooden boards and the block.

A book bound as a codex, whether made of vellum or paper, exhibits greater resistance to environmental conditions than a scroll. This resilience is due to the outer protective elements of the block—the cover and binding—which reliably shield the pages from damage. However, like all natural materials, the components of a manuscript book undergo an aging process. The fabric that once reinforced the binding may, over time, pose more harm than its original functional load.

In the conservation-restoration process of books, fabric becomes a research object in addition to the basic materials. The main focus of our discussion will delve into the significance of employing modern research methods in conserving and restoring written heritage, particularly utilizing XRF EDX 3600B. During this process, the work adhered to the standard method (Khs. M. #1.G-18), employing the EDX for Mineral and her Alloys - ORE and Soil programs. The analysis detected both the main organic chemical elements present in the plant fiber tissue and elements artificially introduced into its surface or structure.



A fragment of the cover from the Syriac manuscript (Sir-3), containing the 'Prayer' text copied in 1875

Textile is a broad term encompassing various fiber-based materials, including fabrics produced through weaving, whether by hand or in factories, such as canvas. The term 'fiber' refers to a long, flexible, and strong body with a defined length and a small cross-section, essential for manufacturing textile products. Specifically, fiber is the primary element processed to create textiles. While nature offers numerous fiber types, only those capable of weaving have been traditionally utilized. Historically, people processed natural fibers, but it wasn't until the 1950s, with advancements in the chemical industry, that synthetic fibers gained popularity.

Fibers can be categorized by origin: natural fibers (occurring in nature without human intervention, including vegetable, animal, and mineral fibers) and synthetic fibers. Our focus here is on plant fiber fabrics, as research indicates that the manuscript cover sample is composed of cotton fiber fabric dyed with green and black colors.

Various methods exist to determine the fabric's origin, such as the burning method, which is easily applicable in everyday situations. This technique distinguishes vegetable fibers by their easy combustion, producing the smell of burning paper and leaving ash. In contrast, animal fibers, like wool, burn slowly with a distinct burnt horn smell, forming a black, ball-shaped residue upon removal from the flame. While the burning method is simple and effective for distinguishing between vegetable and animal fibers, it falls short in identifying specific animal wool or plant fibers from seeds, stems, or fruits. Therefore, laboratories employ scientific research methods that utilize modern technology for a more comprehensive analysis of fiber origins and distinctions.

The origin of fabric can also be discerned through an examination of its thickness, weaving technique, surface, and structure. Animal fibers, such as wool from sheep, goats, or camels, have distinctive characteristics. Wool, for example, possesses a softening effect upon touch, with the presence of fine bubbles on its surface. Additionally, it tends to shrink when exposed to high-temperature water. Silk, another animal fiber, contrasts significantly with wool in terms of elasticity, smooth surface, lightness, and transparency.

Vegetable fibers, on the other hand, are more diverse. They can originate from plant seeds, such as cotton, or from the stem walls, including flax, barley, kenaf, jute, and hemp. Fibers from leaves include abaca, Manila straw, sisal, and geneken, while those from the pulp of fruits include coconut coir, and more. Each type of fiber

has its unique properties, making it interesting to explore. However, in our discussion, the focus will be on fabrics made from cotton and flax fibers, as the research sample belonged to these specific types of fabrics.

Both animal and vegetable fibers exhibit distinct structural characteristics, providing a means to differentiate between them. The structure of cotton fibers is intricately organized: the outer layer, known as the primary wall, is approximately 1 mm thick and consists of around 50% cellulose. A fatty-waxy substance accumulates on the outer surface of this primary wall, contributing to the poor wetting of cotton fibers by water and other liquids.

Following the primary wall is a secondary wall, approximately 6-8 mm thick and composed of cellulose produced through photosynthesis from the protoplasm. This secondary wall is multi-layered and contains a channel within the fiber. In immature fibers, the channel is filled with protoplasm, while mature fibers contain only its remnants. This detailed characterization of fiber structure proves highly informative during laboratory research, enabling researchers to distinguish individual elements from one another.




Fig. 1 presents a microscopic photo of a cotton fiber

The research, conducted using X-ray fluorescence spectroscopy (XRF), represents a non-invasive, non-contact, and non-destructive method for characterizing inorganic materials—a technique frequently employed in the analysis of cultural heritage. XRF, however,

can only detect individual elements in inorganic materials and does not capture the main elements carbon (C) and hydrogen (H) in organic materials.

o overcome this limitation, energy dispersive X-ray spectroscopy (EDX) was utilized in the research process. Unlike XRF, EDX requires the material to be placed in a vacuum system, deviating from the principle of non-invasiveness. It's important to note that, in this study, the sample, although not an integral part of the manuscript, was taken from a damaged section of the tissue to avoid causing harm to the manuscript or altering its authentic appearance.



Fig. 2 displays the research material—tissue samples labeled as (130, 131)

The research revealed the presence of various main chemical elements alongside the organic material. The percentages of these elements are as follows: silicon (Si) - 1.34%, calcium (Ca) - 1.06%, aluminum (Al) - 0.57%, sulfur (S) - 0.56%, magnesium (Mg) - 0.29%, potassium (K) - 0.52%, iron (Fe) - 0.14%, zinc (Zn) - 0.14%, copper (Cu) - 0.037%, chromium (Cr) - 0.023%, titanium (Ti) - 0.033%, manganese (Mg) - 0.35%, zirconium (Zr) - 0.03%, nickel (Ni) - 0.01%.




Fig. 3 presents the spectral image of the manuscript (Sir-3) tissue research obtained with the XRF EDX 3600B analyzer

The results of this research offer valuable insights into the natural composition and additives of the tissue, with the silicon and calcium indices serving as indicators of the plant fiber's origin. Plants characterized by flowering before fruiting, where the fruit is a seed carrier and pollination occurs through wind, exhibit such indices. The shape, size, and number of crystals found in the tissue can vary among taxa, classified into five main groups: prisms, druses, styloids, raphides, and crystal sand. These crystals are distributed in specific tissues, including the epidermis, bark, phloem, xylem, and stem.

The presence of magnesium, aluminum, copper, and iron can originate from environmental conditions or pollution sources, but it may also be part of the paint composition. Mineral paints, both natural and artificial, often consist of carbonates, sulfates, chromates, silicates, and other water- and oil-insoluble salts of various metals. The second component of paint includes oxides and hydrates of metals like iron, magnesium, cobalt, lead, and calcium. The high metal content observed in the research index can be considered natural, but it presents challenges in terms of manuscript damage. Fabric, while essential for the manuscript's positive purposes discussed earlier, also has negative properties. It structurally breaks down into small particles, attracting insects and beetles and integrating into the book material's structure. It easily absorbs moisture, binds dirt and dust, increasing the risk of damage dynamics.

Highlighting these issues emphasizes the importance of conservation-restoration efforts for cultural heritage, whether written, artistic, monumental, or otherwise. The study, research, and classification of materials are crucial aspects of this work, creating the foundation for achieving well desired results.

დავით კუხალაშვილი არჩილ ორთანებაშვილი

კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი

საარქივო ისტორიული დოკუმენტებისა და ძეგლების უსაფრთხოების როლი სახელმწიფოს ისტორიულ-პოლიტიკურ უსაფრთხოებაში

ისტორიული უსაფრთხოების უზრუნველყოფის პროცესში, განსაკუთრებული ყურადღება ენიჭება სახელმწიფოს ისტორიული უსაფრთხოების განმაპირობებელი სექტორების, მათი ფიზიკური დაცვის უზრუნველყოფას, რომელთა მიზანია ისტორიული სინამდვილის დაცვის უზრუნველყოფი მტკიცებულების დაცვა განადგურებისგან, ძარცვისაგან, ქურდობისაგან.

უნდა აღინიშნოს, ის გარემოება, რომ აღნიშნული ქმედებები შესაძლებელია ხორციელდებოდეს უცხო ქვეყნების სადაზვერვო ინტერესების შესაბამისად, სპეცსამსახურების მონაწილეობით. იმ ვითარების ფონზე, როდესაც საქართველო იმყოფება, როგორც პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სამხედრო ისე სამეცნიერო-ტექნიკურად არასტაბილურ გარემოში, აღნიშნული პროცესების სისტემურობისა და მასშტაბურობის რისკი კიდევ უფრო მაღალია.

განსაკუთრებით ხიფათის შემცველია სახელმწიფოში არსებული რევოლუციური ვითარებები, როდესაც სახელმწიფოს კონსტიტუციური წყობილების ძალადობრივი რღვევის მიზნით შეკრებილი ბრბო ახორციელებს სტრატეგიული დანიშნულების ობიექტებზე თავდასხმას, მათ შორის ისტორიული დოკუმენტების მიზანმიმართული მოპარვის, განადგურების, ხელოვნური ხანძრის, აფეთქების, წყლით დატბორვის მიზნით. უნდა აღინიშნოს ის გარემოება, რომ რევოლუციური ვითარებები ყოველთვის მხარდაჭერილია უცხო სახელმწიფოების სადაზვერვო სამსახურების მიერ და შესაბამისად სხვა კონკრეტულ ინტერესებთან ერთად, შესაძლებელია მათ ინტერესებში შედიოდეს ისტორიული სამართლიანობის უზრუნველყოფი დოკუმენტებისა და ძეგლების მითვისება-განადგურება.

პოლიტიკურად არამდგრად გარემოში მყოფი უცხო ქვეყნების სადაზვერვო ინტერესების გადაკვეთის ობიექტი საქართველო, განსაკუთრებით, ბოლო პერიოდში იმყოფება აქტიური პოლიტიკური დესტაბილიზაციის ზღვარზე, რომლის

დროსაც არსებობს შესაძლებლობა მასობრივი არეულობებით სახელმწიფომ ვერ განახორციელოს ვითარების კონტროლი, რაც სახელმწიფოს ისტორიული უსაფრთხოების უზრუნველმყოფ შენობებზე თავდასხმების, ისტორიული სამართლიანობის უზრუნველმყოფი დოკუმენტებისა და ძეგლების მითვისება-განადგურების საფუძველი გახდეს.

ისტორიული სამართლიანობის შენარჩუნებისა და აღდგენის პროცესში განსაკუთრებულ მნიშვნელობას ინარჩუნებს ისტორიული ძეგლებისა და დოკუმენტების შენარჩუნების, ხოლო მათი განადგურებით დაინტერესებული სახელმწიფოს მხრიდან სპეციალური ოპერაციების ჩატარება საკუთარი სტრატეგიული ინტერესების მისაღწევად. ამ პროცესში სახელმწიფოები აქტიურად იყენებენ სადაზვერვო სამსახურებს. შესაბამისად, აღნიშნული საფრთხის ნეიტრალიზაციისთვის/რისკის მინიმუმამდე შემცირებისთვის, მნიშვნელოვანია სამიზნე სახელმწიფოს სადაზვერვო და კონტრსადაზვერვო უწყებების გამართული და კოორდინირებული საქმიანობა, რომლის შედეგადაც ხელისუფლება დროულად იქნება ინფორმირებული აღნიშნული მიმართულებით სახელმწიფოს წინააღმდეგ არსებული საფრთხეების იდენტიფიცირებისთვის, რაც წარმატებული პრევენციული ღონისძიებების დაგეგმვა-განხორციელების მნიშვნელოვანი საფუძველი გახდება.

სწორედ, აღნიშნულიდან გამომდინარე, პრევენციული ღონისძიებების დაგეგმვა-განხორციელების პროცესში მნიშვნელოვანია ჩართული იქნას საქართველოს, როგორც სადაზვერვო, ისე კონტრსადაზვერვო უწყება, გათვალისწინებულ იქნას ის საფრთხეები და რისკები, რომლებიც მოსალოდნელია/იგეგმება უცხო ქვეყნების სადაზვერვო სამსახურებში.

სახელმწიფოს ეროვნული უსაფრთხოებისათვის მნიშვნელოვანი ისტორიული ძეგლებისა და დოკუმენტების დაცვა სახანძრო უსაფრთხოების მიმართულებით უნდა წარმოადგენდეს ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებას სახელმწიფოსთვის. მზვერავი ქვეყნის მიერ კონკრეტული ინტერესის არსებობის შემთხვევაში, სადაზვერვო ხასიათის აგენტურულ-ოპერატიული და ოპერაციული ქმედებებით შესაძლებელია ხანძრის ინსპირირების კუთხით სამიზნე ქვეყნის, სამიზნე ობიექტის მოწყვლადობის შესწავლა და ხელოვნური ხანძრების ინსპირირება. აღნიშნული საფრთხის ნეიტრალიზაციის/რისკის მინიმუმამდე დაყვანის მიზნით აუცილებელია სამიზნე სახელმწიფოს სადაზვერვო და კონტრსადაზვერვო ორგანი-

ზებით მოპოვებულ იქნას მონაცემები უცხო ქვეყნების, კონკრეტული პირების, პირთა ჯგუფების მიერ ზემოაღნიშნული მიმართულებით განვითარებული პროცესების ირგვლივ, რათა მყარი ანალიტიკური დოკუმენტი სათანადო იდენტიფიცირებული საფრთხეებით დროულად მიენოდოს ხელისუფლებას სათანადო პრევენციული ღონისძიებების დაგეგმვისა და გატარებისთვის.

შესაბამისად, საქართველოს ისტორიული უსაფრთხოების უზრუნველყოფ სეგმენტებზე მიზანმიმართული ხანძრების ინსპირირების თავიდან აცილების კუთხით აუცილებელია საქართველოს სადაზვერვო-კონტრსადაზვერვო და შინაგან საქმეთა სამინისტროს კოორდინაცია, სახელმწიფოს სხვა უწყებებთან ერთად, რათა იდენტიფიცირებულ იქნას, ქვეყნის შიგნიდან და გარედან მომდინარე საფრთხეები და რისკები.

სადაზვერვო და კონტრსადაზვერვო ხასიათის აგენტურულ-ოპერატიული და ოპერაციული ქმედებების კონტექსტში ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიამართულებას წარმოადგენს საკუთარი სახელმწიფოს ეროვნული ინტერესებისთვის სტრატეგიულად მნიშვნელოვანი, რეალურად არ არსებული ისტორიული დოკუმენტის მიზანმიმართული შექმნისა და სამიზნე სახელმწიფოს არქივულ დოკუმენტებში მოხვედრის ორგანიზება, მათ შორის სამიზნე სახელმწიფოს ინტერესის შესაბამისი, ისტორიული დოკუმენტის ჩანაცვლება, მისი მოპარვის ან/და განადგურების გზით. აღნიშნული საფრთხის ნეიტრალიზაციის/რისკის მინიმუმამდე დაყვანის უზრუნველსაყოფად სამიზნე სახელმწიფოს სადაზვერვო და კონტრსადაზვერვო უწყებას აქვს ვალდებულება გამოავლინოს მოწყვლადი არეები, პირები, პირთა ჯგუფები, რომლებიც ზემოაღნიშნული პროცესის ორგანიზებაში შესაძლოა მონაწილეობდნენ. ამავე სამსახურების ვალდებულებაა ხელისუფლებას მიაწოდოს დროულობით, სანდოობითა და სრულყოფილებით გამორჩეული იდენტიფიცირებული საფრთხეებით გაჭერებული ანალიტიკური ინფორმაცია, სათანადო წარმატებული, პრევენციული ღონისძიებების დაგეგმვისა და განხორციელების უზრუნველსაყოფად.

საარქივო ისტორიულ დოკუმენტები შესაძლებელია შეიცავდნენ სახელმწიფოს კომპრომეტაციის, უცხო ქვეყნების სადაზვერვო პროპაგანდისათვის ხელსაყრელ ინფორმაციებს ისტორიულ წარსულთან დაკავშირებით. შესაბამისად, უცხო ქვეყნების სადაზვერვო ხასიათის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიმართულებად უნდა განვიხილოთ კონკრეტული პირების, პი-

რთა ჯგუფების, ორგანიზაციების წარმომადგენლების მივლინება საისტორიო არქივებში. შესაბამისად, მნიშვნელოვანია სახელმწიფოს სადაზვერვო და კონტრსადაზვერვო უწყებების კოორდინირებული აგენტურულ-ოპერატიული და ტექნიკური კონტროლის მექანიზმებით დროულად გამოვლინდეს ზემოაღნიშნული მისწრაფებები. ამასთან ერთად, მნიშვნელოვანია დარგის სპეციალისტებთან ერთად გაანალიზდეს ზემოაღნიშნული საფრთხის შემცველი ისტორიული დოკუმენტები, რათა ისინი არ გახდნენ საჯარო წვდომის ობიექტები. ამ მიმართულებითაც აუცილებელია სადაზვერვო და კონტრსადაზვერვო უწყებების მხრიდან ხელისუფლებას გააჩნდეს იდენტიფიცირებული საფრთხეების შესახებ სათანადო ანალიტიკური მონაცემები, რათა შეიქმნას ხელსაყრელი პირობა არსებული საფრთხეების ნეიტრალიზაციის/რისკის მინიმუმამდე დაყვანის უზრუნველსაყოფად.

სახელმწიფოს სულიერი/რელიგიური უსაფრთხოების ორგანიზების პროცესში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ისტორიულ დოკუმენტებს, რუკების სახით, იმ გეოგრაფიული მონაკვეთების მიხედვით, რომლებზეც განთავსებულია ისტორიული ძეგლები და რომლებზეც შესაძლებელია პრეტენზია ჰქონდეთ მოსაზღვრე სახელმწიფოებს. ამ კუთხით სახელმწიფოს სადაზვერვო და კონტრსადაზვერვო უწყებებს გააჩნიათ ვალდებულება მოიპოვონ მონაცემები ზემოაღნიშნული ზრახვების შესახებ. ასევე მათ აქვთ ვალდებულება ხელისუფლებას მიაწოდონ ანალიტიკური მონაცემები იმ იდენტიფიცირებული საფრთხეების შესახებ, რომლის მიხედვითაც შესაძლოა დამაზიანებელი ზემოქმედება განხორციელდეს ქვეყნის ეროვნული უსაფრთხოების მდგრადობაზე.

სახელმწიფოს ისტორიული უსაფრთხოების პროცესის ორგანიზებაში განსაკუთრებული როლი ენიჭება ქვეყნის შიგნით და საერთაშორისო ასპარეზზე არსებული კულტურულ-რელიგიური ძეგლების დაცვის უზრუნველყოფას. საკითხი განსაკუთრებით აქტუალურია იმ ფონზე, როდესაც მეგობრობისა და მტრობით ურთიერთობებში საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე. საქართველოსთან მტრობის პირობებში აფხაზეთის სეპარატისტული რეჟიმის მხრიდან სისტემატური ხასიათი მიიღო ქართული მართლმადიდებლური ძეგლებში არსებული ფრესკების გადაღებვამ და ისტორიული კვალის ნაშლამ. საკითხი აქტუალურია იმ კუთხითაც, რომ ჩვენს მეზობელ, მეგობარ სახელმწიფოში, თურქეთის რესპუბლიკაში განთავსებული

ქართული მართლმადიდებლური ეკლესიების ნანგრევები შემორჩენილი და მათზე პატრონაჟი პრაქტიკულად არ ხორციელდება, რაც შეიცავს რისკს საქართველოს ისტორიული უსაფრთხოებისთვის.

იმის გათვალისწინებით, რომ სახელმწიფოს ისტორიული უსაფრთხოება წარმოადგენს ქვეყნის პოლიტიკური უსაფრთხოების მნიშვნელოვან შემადგენელს ამ უკანასკნელზე დამაზიანებელი ზემოქმედების ორგანიზება დაუკავშირდება სახელმწიფოს პოლიტიკური უსაფრთხოების მდგრადობის რყევას. აქედან გამომდინარე, საქართველოს სადაზვერვო, კონტრსადაზვერვო სამსახურების მოღვაწეობის სფეროში განსაკუთრებული ადგილი უნდა დაიკავოს ზემოაღნიშნული საკითხების სისტემატურმა შესწავლამ, ანალიზმა, სამეცნიერო კუთხით ანალიტიკური ინფორმაციის დამუშავებამ, რათა ხელისუფლებამ, დროულობით სანდოობით და სრულყოფილებით გამორჩეული ინფორმაციების მიღებისთანავე უზრუნველყოს იდენტიფიცირებულ საფრთხეზე რეაგირების კუთხით გადაწყვეტილების მიმღები ჯგუფის კომპლექტაცია, საფრთხის ნეიტრალიზაციის განმაპირობებელი აქტიური ღონისძიებების დაგეგმვა-განხორციელება. სწორედ, ეს მოდელი იქნება ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ბერკეტი ქვეყნის პოლიტიკური მდგრადობის უზრუნველყოფაში.

Davit Kukhalashvili

Archil Ortanezashvili

Caucasus's International University

THE ROLE OF SECURITY OF ARCHIVAL HISTORICAL DOCUMENTS AND MONUMENTS IN THE HISTORICAL-POLITICAL SECURITY OF THE STATE

In the process of ensuring historical security, special attention is paid to the provision of physical protection of the sectors of the state that are responsible for the historical security, the purpose of which is to protect the evidence providing protection of historical reality from destruction, robbery, and theft.

It should be noted that the mentioned actions can be carried out

in accordance with the intelligence interests of foreign countries, with the participation of special services. Against the background of the situation, when Georgia is in a politically, economically, militarily, and scientifically-technically unstable environment, the risk of systematicity and scale of the mentioned processes is even higher.

The revolutionary situations in the state are especially dangerous, when the crowd gathered for the purpose of violently disrupting the constitutional structure of the state attacks strategic objects, including the purposeful theft, destruction, artificial fire, explosion, flooding of historical documents. It should be noted that revolutionary situations are always supported by the intelligence services of foreign states, and therefore, along with other specific interests, it is possible that their interests include the appropriation and destruction of documents and monuments that ensure historical justice.

Georgia, the object of crossing the intelligence interests of foreign countries in a politically unstable environment, especially recently, is on the verge of active political destabilization, where there is risk the state will not be able to control the situation with mass riots, which is the result of attacks on buildings that ensure the historical security of the state, appropriation of documents and monuments that ensure historical justice. to become the basis of destruction.

In the process of preservation and restoration of historical justice, preservation of historical monuments and documents has special importance, while the state interested in their destruction holds special operations to achieve its own strategic interests. In this process, states actively use intelligence services. Accordingly, to neutralize the mentioned threat/reduce the risk to a minimum, it is important to have a smooth and coordinated activity of the intelligence and counter-intelligence agencies of the target state, as a result of which the government will be informed in time to identify the threats against the state in the mentioned direction, which will become an important basis for the planning and implementation of successful preventive measures.

Based on the above, it is important to include both the intelligence and counter-intelligence agencies of Georgia in the process of planning and implementation of preventive measures, to consider the threats and risks that are expected/planned in the intelligence services of foreign countries.

The protection of historical monuments and documents important for the national security of the state in the direction of fire safe-

ty should be one of the priority directions for the state. In case of a specific interest of the intelligence country, it is possible to study the vulnerability of the target country, the target object, and inspire artificial fires with the help of agency-operational and operational actions of an intelligence nature. In order to neutralize the mentioned threat/minimize the risk, it is necessary for the intelligence and counter-intelligence organization of the target state to obtain data about the processes developed by foreign countries, specific persons, groups of persons in the above-mentioned direction, so that a solid analytical document with properly identified threats can be provided to the authorities in a timely manner for the planning and implementation of appropriate preventive measures.

Accordingly, in order to prevent the inspiration of targeted fires on the segments providing the historical security of Georgia, it is necessary to coordinate the Ministry of Intelligence-Counterintelligence and Internal Affairs of Georgia, together with other agencies of the state, in order to identify threats and risks coming from inside and outside the country.

In the context of intelligence and counter-intelligence agency-operational and operational actions, one of the important directions is the organization of the purposeful creation of a historical document strategically important for the national interests of one's own state, which does not actually exist, and getting it into the archival documents of the target state, including the replacement of a historical document corresponding to the interest of the target state, by stealing and/or destroying it. In order to ensure the neutralization of the mentioned threat/minimization of the risk, the intelligence and counter-intelligence agency of the target state has the obligation to identify vulnerable areas, persons, groups of persons who may have participated in the organization of the above-mentioned process. The obligation of the same services is to provide the government with timely, reliable, and comprehensive analytical information saturated with identified threats, to ensure the planning and implementation of appropriate, successful, preventive measures.

Archival historical documents may contain information about the historical past that is useful for state compromising, foreign intelligence propaganda. Accordingly, one of the important directions of the intelligence nature of foreign countries should be considered the mission of specific persons, groups of persons, representatives of organizations to the historical archives. Accordingly, it is impor-

tant to timely identify the above-mentioned aspirations with the coordinated agency-operational and technical control mechanisms of the intelligence and counter-intelligence agencies of the state. Along with this, it is important to analyze the above-mentioned endangered historical documents with specialists in the field, so that they do not become objects of public access. In this direction as well, it is necessary for the government to have appropriate analytical data on the identified threats from the intelligence and counter-intelligence agencies in order to create favorable conditions for neutralization of the existing threats/minimizing the risk.

In the process of organizing the spiritual/religious security of the state, special importance is given to historical documents, in the form of maps, according to the geographical sections on which the historical monuments are located and which the bordering states can claim. In this regard, the intelligence and counter-intelligence agencies of the state have the obligation to obtain data about the above-mentioned intentions. Also, they have an obligation to provide the authorities with analytical data on the identified threats, according to which a damaging impact may be made on the stability of the country's national security.

A special role in the organization of the historical security process of the state is assigned to the protection of the cultural and religious monuments within the country and on the international arena. The issue is particularly relevant against the backdrop of friendly and hostile relations in the occupied territories of Georgia. In the conditions of enmity with Georgia, the separatist regime of Abkhazia took a systematic approach to removing frescoes in Georgian Orthodox monuments and erasing historical traces. The issue is also relevant from the point of view that the ruins of the Georgian Orthodox churches located in our neighboring, friendly state, the Republic of Turkey, have been preserved and their patronage is practically not carried out, which poses a risk to the historical security of Georgia.

Considering that the historical security of the state is an important component of the country's political security, the organization of damaging effects on the latter will be related to the stability of the state's political security. Therefore, in the field of activity of the intelligence and counter-intelligence services of Georgia, a special place should be occupied by the systematic study of the above-mentioned issues, analysis, processing of analytical information from a scientific point of view, so that the authorities, upon receiving information

distinguished by its timeliness, reliability and perfection, ensure the composition of the decision-making group in terms of responding to the identified threat, the prerequisite for the neutralization of the threat. Planning and implementation of active events. This model will be one of the important levers in ensuring political stability of the country.

თამარ დვალიშვილი

კორნელი კეკელიძე სახელობის საქართველოს
ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი

მასალების ჟიიზის მნიშვნელობა კონსერვაციაში და რესტავრაციაში

კულტურული მემკვიდრეობის შექმნის ისტორიაში ვლინდება ხელოვნების და ისტორიული ნიმუშების მოვლა-აღდგენის სხვადასხვა მიდგომა, რაც თავისთავად შეიძლება რესტავრაციის განვითარების გზაზე პირველ მცდელობად მივიჩნიოთ. ადრეულ დროში, ნივთების და ძეგლების ეგრეთ წოდებული რესტავრაცია, უფრო გამოყენებით ხასიათს ატარებდა და არ ისახავდა მიზნად ობიექტის ავთენტური სახის შენარჩუნებას, ის უფრო პრაგმატული ხასიათის იყო და ზრუნავდა მხოლოდ ობიექტის შენარჩუნებაზე მომდევნო გამოყენებისთვის. ამის გამო, ხშირად ხდებოდა ძველი ნიმუშების უტილიზაცია, გადაკეთება, განახლება და არსებული ვითარებისთვის მისი საჭიროებისამებრ მორგება. დროთა განმავლობაში მოხდა ძეგლებისა თუ ნივთების ისტორიული და კულტურული მნიშვნელობის გაცნობიერება და სწორედ ამ მომენტიდან დაიწყო ადამიანმა მათი პირვანდელი სახით შენარჩუნებაზე ზრუნვა. ეს ეტაპი შეიძლება ჩაითვალოს რესტავრაციის დაბადებად.

რესტავრაციის, როგორც დარგის ჩამოყალიბება დაიწყო მეცხრამეტე საუკუნის ბოლოს და მეოცე საუკუნის დასაწყისში. მეოცე საუკუნის შუა წლებიდან კი მისი სამეცნიერო მიმართულებით განვითარება იწყება, რაც ვლინდება ობიექტების მდგომარეობის უფრო სიღრმისეული კვლევების წარმოებასა და ახალი სარესტავრაციო მასალების შექმნაში. დარგის განვითარებამ გამოავლინა მისი ინტერდისციპლინარული მი-

დგომის აუცილებლობა, რადგან კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების და ისტორიული ნიმუშების მოვლა-შენახვის საკითხები პირდაპირ უკავშირდებოდა ისეთ მეცნიერებებს, როგორიცაა ქიმია და ფიზიკა. ობიექტების დაბერების პროცესი, მისი გარემოსთან ურთიერთქმედება, ადამიანის მიერ მისი გამოყენება და შემდგომი შენახვის ყველა საკითხი, პრობლემა და თავისებურება მჭიდრო კავშირშია მასალის ქიმიზმთან. ობიექტში მიმდინარე პროცესებით მიღებული შედეგები, რომლებიც გარკვეული დროის მონაკვეთში მიმდინარეობდა, ხშირად ნათლად გვაჩვენებს თუ რა ნივთიერებებთან კავშირში იყო ობიექტი, რა გარემოში იმყოფებოდა და რა ზემოქმედება მოხდა მსაზე. ამ საკითხების კვლევა და გათვალისწინება რესტავრატორს ეხმარება სწორი მიდგომების, მეთოდების და მასალების შერჩევაში.

მეოცე საუკუნის შუა წლებიდან აქტიურად ვითარდება სარესტავრაციო მასალების წარმოება. სარესტავრაციო ლაბორატორიებში საბუნებისმეტყველო დარგების მეცნიერებთან ერთად, ხდება ძველი ტრადიციული მასალების შერჩევა და გადახედვა მათი თანამედროვე რესტავრაციაში დანერგვის მიზნით. ასე მაგალითად, ტრადიციული იაპონური ქალაქი „ვაში“ გახდა ძირითადი მასალა ქალაქდსაფუძვლიანი და ეტრატის ნიმუშების კონსერვაცია-რესტავრაციაში. ამასთანავე იხვეწება სხვადასხვა სახის ლაქების, ადგეზივების და საკონსერვაციო მასალების კომპოზიტები. ძველ ტრადიციულ მცენარეულ თუ ცხოველურ გლუტენის წებობებთან ერთად, ახალი მიღწევები ქიმიაში რესტავრატორებისთვის ხელმისაწვდომს ხდის თანამედროვე პოლიმერულ მასალებს, რომლებიც დროთა განმავლობაში მკვიდრდება კონსერვაცია-რესტავრაციის დარგში, მათი უნივერსალურობის გამო. ასევე ვითარდება ქალაქის დაბერების, მჟავიანობის და მელნის სტრუქტურის კვლევის საკითხები და კონსერვაციის მეთოდები.

ქიმიური მასალები და მათი გამოყენების საშუალებები კონსერვაცია-რესტავრაციაში მრავალფეროვანია. მასალების სახეობის ფართო დიაპაზონის მიუხედავად, განსაკუთრებული ადგილი უჭირავს პოლიმერებს, ბუნებრივ და სინთეტიკურ ნივთიერებებს. რესტავრაციაში მაკრომოლეკულარული ნაერთების ხსნარებს, დამზადებულს ორგანული გამხსნელებით, იყენებენ სხვადასხვა სახის წებობების, საფარი ლაქების და შემკვრელების რეცეპტურაში, ასევე ფაიფურის, მინის, ლითონის და არქეოლოგიური ხის კონსერვაციისთვის. წყლის

საფუძველზე დამზადებული პოლიმერული ნებოები ფართოდ გამოიყენება ადგეზივების სახით, ზედაპირული დაბინძურების მოსაცილებელად აქტიური მასალების დასამზადებლად და მელნის გასამაგრებელი ხსნარების მოსამზადებლად.

მრავალწლიანი დაკვირების, კვლევების და ანალიზის საფუძველზე გამოიკვეთა პოლიმერების უპირატესობა მათი მახასიათებლების მიხედვით:

- 1. გამძლეობა**-რაც გულისხმობს სარესტავრაციო ერთეულის სიცოცხლისუნარიანობისა და მასალის გამძლეობის თანხვედრაში ყოფნას, რაც ხელს შეუწყობს განმეორებითი რესტავრაციის საჭიროების თავიდან აცილებას, ან მისი ვადის მაქსიმალურად გახანგრძლივებას.
- 2. ნებოვანობის ხარისხი**-ადგეზივი უნდა წარმოადგენდეს ისეთ მასალას, რომელიც გამოირჩევა მოჭიდების ხარისხით სარესტავრაციო ერთეულის ზედაპირთან და ამავედროულად გამძლეცაა, მაგრამ ამით არ აზიანებს სარესტავრაციო ნიმუშს.
- 3. შეკავშირების სიმყარე და გამძლეობა ცვალებად გარემოში**-ეს მოთხოვნა გამოწვეულია იმით, რომ რადგან ტემპერატურისა და ტენიანობის ცვალებადობა იწვევს სხვადასხვა მასალის დეფორმაციას, ამავე დროს ნებომ ზედმეტი დაჭიმვით არ უნდა გამოიწვიოს სარესტავრაციო ერთეულის დაზიანება, ამასთანავე მიმდინარე პროცესებმა არ უნდა დაასუსტოს მისი კავშირი ზედაპირთან.
- 4. პოლიმერის სისუფთავე**- განისაზღვრება მასალის დამუშავებისა და გასუფთავების დონით ისეთი ნივთიერებებისგან, რომლებმაც შეიძლება გამოიწვიონ ექსპონატის დაზიანება, ფერის შეცვლა ან რაიმე სხვა გავლენა დროის გრძელვადიან მონაკვეთში.
- 5. პოლიმერის აპკის გამჭვირვალობა და უფერულობა**-პოლიმერით დამზადებულმა ადგეზივმა, ან ხსნარმა არ უნდა გამოიწვიოს ექსპონატის ტონალობის, საღებავისა და მელნის დაბინძვა ან ფერის შეცვლა. ამასთანავე დროთა განმავლობაში სინათლის ზემოქმედებით მინიმალურად, ან საერთოდ არ უნდა იცვლიდეს ფერს.

სინთეტიკური პოლიმერები ფართოდ გამოიყენება მინა-კერამიკის, ლითონის, ხის და ფერწერის კონსერვაციაში. მცენარეული გლუტენებიდან რესტავრაციაში გამოიყენება სხვადასხვა სახის სახამებლები, ესაა ხორბლის, ბრინჯის სახამებლები,

ასევე ფქვილის ნებო. გარდა სახამებლებისა, გამოიყენება წყალმცენარეებისგან მიღებული პოლიმერული ნივთიერებები. ცხოველური გლუტენებისგან კი კონსერვაციისთვის გამოსადეგია სხვადასხვა სახის ჟელატინები-კურდღლის და მსხვილფეხა საქონლის ხრტილებისგან მიღებული ფხვნილები, ეგრედ წოდებული თევზის ნებო, რომელიც მიიღება ზუთხისებრთა საცურაო ბუშტის გადამუშავებით. აღსანიშნავია, რომ თევზის ნებო სხვა ადგილებთან შედარებით უფრო ფასობს მისი თვისებებიდან გამომდინარე. ეს ნებო გამოირჩევა ნებოვანი აპკის დრეკადობით, ზედაპირზე მოჭიდების სიმყარით, შექცევადობის ხარისხით და გამჭვირვალეობით.

წერილობითია ძეგლებსა და ხელოვნების ნიმუშთა კონსერვაცია-რესტავრაციისას ასევე მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს, ქალაქის სტაბილიზაციის საკითხებს. ექსპონატების, განსაკუთრებით კი ქალაქსაფუძვლიანი ნიმუშების შენახვისას, მათი გარემოში მიმდინარე პროცესებთან კონტაქტის გარდაუვალობის გამო ხშირად, ქალაქსა და მელანში იწყება ჟანგვითი პროცესები, რაც იწვევს მათში მჟავიანობის მომატებას. ეს პროცესები საკმაოდ სახიფათოა ხელნაწერი და საღებავით შესრულებული ობიექტებისთვის. მელანმა და ზოგიერთმა საღებავმა შესაძლოა ქარალდის შეუქცევადი დაზიანება გამოიწვიოს. ამ პროცესების სტაბილიზაციისთვის კონსერვაციის პროცესში გამოიყენება კალციუმის კარბონატი და მაგნიუმის ოქსიდი. კალციუმის კარბონატის ბუფერული ხსნარის გამოყენება ყოველთვის არ არის მიზანშეწონილი, რადგან მისი გამოყენებისას ხდება არტეფაქტის წყალთან კონტაქტი. თუ ასაქმე გვაქვს წყალთან არამედგ მასალასთან, სტაბილიზაციის პროცესში შესაძლოა გამოვიწვიოთ ნიმუშის დაზიანება, მელნის ან საღებავის განშლა. ასეთ შემთხვევაში გამოიყენება მაგნიუმის ოსიდის უწყლო ხსნარის საფუძველზე დამზადებული საშუალება "Bookkeeper". მისი მოხმარება ადვილია სპრეის სახით. ის ქმნის გრძელვადიან ბუფერს და არტეფაქტი ტუტე-მჟავის ნეიტრალურ გარემოს ინაჩუნებს ათეულობით წლის განმავლობაში.

ამგვარად, რესტავრაციის ობიექტების კონსერვაციისთვის საჭირო მასალების ქიმიზმს მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს კულტურული მემკვიდრეობისა და ხელოვნების ნიმუშთა შენახვა-არდგენა-გადარჩენის საკითხებში. საკონსერვაციო და სარესტავრაციო მასალების შესწავლა აქტუალურობას არ კარგავს და ახალი მიგნებების საშუალებას აძლევს სპეცია-

ლისტებს საკუკეთესო შედეგების მისაღებად. ამ პროცესების განვითარებაში დიდი როლი უჭირავს ქიმიას, ისევე როგორც სხვა მომიჯნავე საბუნებისმეტყველო დარგების თანამშრომლობას და მჭიდრო კონტაქტებს კონსერვატორ-რესტავრატორებთან და სამეცნიერო ლაბორატორიებთან. ამგვარი კოლაბორაციის შედეგად სარესტავრაციო მასალები იხვეწება, ტარდება კვლევები ახალი შედეგების მისაღებად. ხშირად ერთი და იგივე მასალები და პრეპარატები გამოიყენება საკვებ და ფარმაცევტულ მრეწველობაში, რაც ადასტურებს მათ უვნებლობას, როგორც სპეციალისტების ჯანმრთელობისთვის, ასევე სარესტავრაციო ერთეულებისთვის, რადგან კონსერვაცია-რესტავრაციის მთავარი პოსტულატია- „არ ავნო“.

Tamar Dvalishvili

Korneli Kekelidze Georgian
National Centre of Manuscripts

SIGNIFICANCE OF THE CHEMISTRY OF MATERIALS IN CONSERVATION AND RESTORATION

In the history of the creation of cultural heritage, various approaches to the maintenance and restoration of art and historical artifacts have been revealed, marking the initial attempts at the development of restoration. In earlier times, the so-called restoration of objects and monuments was more pragmatic in nature and aimed primarily at preserving the object for future use, rather than maintaining its authentic appearance. Old patterns were often modified, updated, and adapted to current needs. As time passed, the historical and cultural significance of monuments and artifacts became apparent, leading people to realize the importance of preserving them in their original form. This realization marked the birth of restoration.

The formal establishment of restoration as a field began in the late nineteenth and early twentieth centuries. In the mid-twentieth century, its development took a scientific turn, characterized by more in-depth studies of the condition of objects and the creation of new restoration materials. The evolution of the field highlighted

the necessity of adopting an interdisciplinary approach, as the conservation of cultural heritage sites and historical artifacts became directly intertwined with sciences such as chemistry and physics.

Issues related to the aging of objects, their interaction with the environment, their use by humans, and the nuances of their storage are closely linked to the chemistry of the materials involved. The results obtained from processes occurring within an object over a specific period often reveal the substances it came into contact with, the environment it existed in, and the effects that occurred on its mass. Researching and considering these issues enable restorers to choose the right approaches, methods, and materials.

The production of restoration materials has seen significant development since the mid-twentieth century. In restoration laboratories, collaboration between restorers and scientists from natural science fields has led to the selection and refinement of traditional materials for integration into modern restoration practices. For instance, the traditional Japanese paper “Washi” has emerged as a primary material for conserving and restoring paper-based and textile specimens. Simultaneously, there have been improvements in composites comprising various varnishes, adhesives, and preservation materials. While traditional vegetable or animal gluten adhesives persist, advancements in chemistry have introduced modern polymer materials to restorers, establishing their utility in conservation-restoration due to their versatility. Research on issues such as paper aging, acidity, ink structure, and conservation methods is also underway.

Chemical materials and their applications in conservation-restoration are diverse. Amidst the wide array of material types, polymers, both natural and synthetic, hold a special place. In restoration, solutions of macromolecular compounds, formulated with organic solvents, find use in various adhesives, coating varnishes, and binders, as well as in the conservation of porcelain, glass, metal, and archaeological wood. Water-based polymer adhesives are widely employed for tasks such as bonding, surface decontamination, and ink curing.

Based on extensive observation, research, and analysis, the advantages of polymers have been identified according to certain characteristics:

1. **Durability:** Ensuring the longevity of the restoration unit and the endurance of the material, preventing the need for repeated restoration and extending its lifespan.
2. **Adhesion Quality:** The adhesive should exhibit excellent adhesion to the surface of the restorative unit while remaining durable and not causing damage to the sample.
3. **Bonding Strength and Durability in Changing Environments:** Polymers should maintain bonding strength and durability even when exposed to fluctuations in temperature and humidity. As environmental changes can deform different materials, the adhesive should avoid causing damage through excessive stretching, and the ongoing processes should not weaken its connection with the surface.
4. **Purity of the Polymer:** Determined by the level of processing and purification of the material from substances that might cause damage to the exhibit, alter its color, or have any other adverse effects in the long term.
5. **Transparency and Colorlessness of the Polymer Membrane:** The adhesive or solution made with the polymer should not cloud the tone, paint, or ink of the exhibit. Moreover, it should undergo minimal or no color change when exposed to light.

Synthetic polymers find extensive use in conserving glass, ceramics, metals, wood, and paintings. Various starches, including wheat, rice, and flour glue, are employed in restoring vegetable glutens. Additionally, polymeric substances derived from algae are utilized. For animal glutens, diverse gelatins are valuable for preservation, such as powders from rabbit and cattle cartilage, and fish glue extracted from sturgeon's swim bladder. Fish glue stands out due to its unique properties, including an elastic adhesive film, strong surface grip, reversibility, and transparency.

In the conservation-restoration of written monuments and artworks, paper stabilization is crucial. Over time, paper-based exhibits, through inevitable exposure to environmental processes, undergo oxidative reactions that increase acidity, particularly detrimental to handwritten and painted objects. Ink and certain paints may lead to permanent damage. To counteract these processes, conservation methods involve the use of calcium carbonate and magnesium oxide. However, caution is needed with a calcium carbonate buffer solution, as its use involves contact with water. In cases where the material is incompatible with water, the

'Bookkeeper' tool, based on an anhydrous solution of magnesium oxide, is preferred. Applied as a spray, it establishes a long-term buffer, maintaining the artifact in a neutral alkaline-acid environment for decades.

The chemistry of materials needed for the conservation of restored objects plays a crucial role in preserving, restoring, and rescuing cultural heritage and artworks. The study of conservation and restoration materials remains relevant, providing specialists with valuable insights and beneficial outcomes. Chemistry is pivotal in these processes, working in tandem with other natural sciences and involving close collaboration between conservators-restorers and scientific laboratories. Through such partnerships, restoration materials are refined, and research yields new findings. It's worth noting that many of these materials and preparations are also utilized in the food and pharmaceutical industries, attesting to their safety for both the health of specialists and the integrity of restored items. This aligns with the fundamental principle of conservation-restoration: "do no harm."

ნუგზარ პაპუაშვილი

კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს
ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი

თამარ მაჭავარიანი ახალციხის მეჩეთის ბიბლიოთეკის შესახებ

საქართველოს დამსახურებული ბიბლიოთეკარი და ბიბლიოგრაფი თამარ მაჭავარიანი (1895-1979) არის სამეცნიერო ნაშრომების ავტორი კულტურის ისტორიის განხრით. ამჯერად ჩვენი ყურადღება მიიპყრო ნაშრომმა „ახალციხის ბიბლიოთეკის შესახებ“. მასში გადმოცემულია ახალციხის მთავარი მეჩეთის ხელნაწერი და ძველნაბეჭდი წიგნების კოლექციის (600 ერთეულის) აღმოჩენის, აღნუსხვისა და ნაციონალიზაციის ისტორია ამ მასალის მიმოხილვითა და შეფასებით. ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში ეს პირველი ნაშრომია მოცემულ საკითხზე, რაც მის მნიშვნელობას ზრდის.

Nugzar Papuashvili

Korneli Kekelidze Georgian
National Centre of Manuscripts

TAMAR MACHAVARIANI ON THE AKHALTSIKHE MOSQUE LIBRARY

The esteemed Georgian librarian and bibliographer, Tamar Machavariani (1895-1979), is renowned for her scientific contributions to cultural history. This time, our focus is on her work titled “About Akhaltsikhe Library.” Within its pages, the history of the discovery, enumeration, and nationalization of the Akhaltsikhe main mosque manuscript, along with a collection of old printed books (totaling 600 items), is presented. The material undergoes a thorough review and evaluation. This work stands as the inaugural exploration of this issue within Georgian scientific literature, enhancing its significance.

ლელა გოცირიძე

კორნელი კეკელიძე სახელობის საქართველოს
ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი

შაჰნამე - ყდაში აღმოჩენილი ხელნაწერების შესახებ

აღმოსავლური ხელნაწერები ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი და საინტერესო ფონდია საკონსერვაციო-სარესტავრაციო პროცესის ჩატარებისთვის. იგი გამოირჩევა აღმოსავლური ქალაქის სპეციფიკური დამუშავებით, საწერი მასალის მრავალფეროვნებით, ოქრომელნითა და სხვადასხვა ფერის საღებავებით ნატივად მოხატული მინიატურებით, მდიდრულად დეკორირებული ტყავის ყდებით. სწორედ ამიტომ, ხელნაწერის დიაგნოსტიკა და შემდეგ საკონსერვაციო-სარესტავრაციო პროცესის წარმართვა ერთგვარი თავგადასავალია, სადაც გვხვდება უამრავი სირთულე დ გამოწვევა.

საცავში არსებულ უამრავ ხელნაწერთა შორის, განსაკუთრებული ადგილი უჭირავს მსოფლიოში ერთ-ერთ უდიდეს და მნიშვნელოვან ნაწარმოებს „შაჰნამეს“. ამ

სტატიაში სწორედ „შაჰნამეზე“ და მის ყდაში აღმოჩენილი ფურცლების შესახებ ვისაუბრებ.

„შაჰნამე“ მსოლიო მნიშვნელობის ერთ-ერთი უდიდესი მხატვრული ნაწარმოებია, რომელიც ფირდოუსმა შექმნა X-XI საუკუნეებში, სპარსული ლიტერატურის კლასიკური პერიოდში. ავტორის შესახებ საკმაოდ მცირე ცნობები არსებობს. იგი დაბადებულია 934/5 თუ 935/6 წელს, ტუსის ოლქში, ქალაქ თაბერანის მახლობლად მდებარე სოფელ ბაჟში. გარდაცვლილა 1020-1027 წლებში, დასაფლავებულია ქალაქ ტუსში. „შაჰნამე“, როგორც მას უწოდებენ „მეფეთა წიგნს“ ანუ, „წიგნს მეფეთა შესახებ“, ოცდაათ წელზე მეტხანს იწერებოდა და აღწერს ირანის შაჰების დინასტიის სასანიდების ისტორიულ ქრონიკებს. ფირდოუსს ჰყავდა წინამორბედი, დაყიყი, სახობო ოდებით განთქმული პოეტი, რომელსაც ირანული საგმირო თქმულებების კრებულის გალექსვა დაუწყია, მაგრამ უდროოდ დაღუპულა. ახალგაზრდა პოეტს აღნიშნული კრებულის მხოლოდ მცირე ნაწილი გაულექსავს. გვირგვინი კი „შაჰნამესთვის“, მთელი თავისი შემკულობით, , ფირდიუსს დაუდგამს თავზე. ის შექმნილია სპარსულ ენაზე და შეიცავს სამოცი ათასს ბეითს. გამოირჩევა მდიდრული სახეებით, ლაკონურობით, პლასტიკურობით, ფრაზების ბუნებრივი დიალოგებითა და ლექსიკური არქაიზმებით..

ხელნაწერი, შიფრით P620(სპარსული ფონდი), გადანერილია XVI საუკუნეში, 1589-1590 წლებში. გამოირჩევა მაღალი მხატვრული ღირებულებით, ფურცლების ფორმატის სიდიდით, კამარების გაფორმებით, საოცარი ფერებით და დეკორირებით, უხვი და განსხვავებული ტექნიკითა თუ თემატიკით შესრულებული მინიატურებით. და რაც ძალიან გამორჩეულია, მისი მდიდრულად შემკული ყდით.

ამჯერად კი, ხელნაწერის რთულ და საინტერესო თავგადასავალზე გიამბობთ, რასაც ერთეულის კონსერვაცია-რესტავრაცია ქვია. გზას, საცავიდან-საცავამდე.

საკონსერვაციო-სარესტავრაციო პროცესის დაწყებისას, განსაკუთრებული და გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება ხელნაწერის სწორ დიაგნოსტიკას, რაც გულისხმობს დაზიანებების ზუსტ შეფასებას. პროცესის მსვლელობისას, ყურადღება ექცევა ერთეულის დამუშავებას მექანიკური, ფიზიკური თუ ქიმიური საშუალებებით. ასეთ დამუშავებას ყველა ტექსტი ვერ უძლებს მექანიკური, (ქალაღდზე მისი სუსტი მოჭიდების), ფიზიკური (წყალში და ორგანულ გამხსნელებში

ხსნადობა) და ქიმიური (ქიმიური ხსნადებით გაუფერულება) არამდგრადობის გამო. ხელნაწერზე, სარესტავრაციო-საკონსერვაციო სამუშაოების დაწყებას, წინ უძღოდა ტექსტის თვისებების დადგენა-შეფასება.

მოხსენებაში, დეტალურად იქნება აღწერილი, მუშაობის პროცესში წარმოქმნილი სირთულეები და გამონკვევები. კერძოდ, მელნის მდგრადობა, ფურცლის სტრუქტურა. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა ყდიდან ამოღებული ხელნაწერი ფურცლების საკონსერვაციო-სარესტავრაციო საკითხებს. დეტალურად იქნება განხილული ყველა პროცესი. დაწყებული ფურცლების ყდის ფრთებიდან დემონტაჟით, მათი კონსერვაციით დასრულებული. განხილული იქნება გამოყენებული მასალა, რომელიც განსხვავებული და საკმაოდ მრავალფეროვანი იყო.

აღმოსავლური ხელნაწერების ერთ-ერთი ძირითადი დამახასიათებელი სისუსტე, საწერი მასალა და საღებავებია, რითაც იქმნებოდა ტექსტი და მინიატურები. უმეტეს შემთხვევაში, საწერად იყენებდნენ ტუშს ან მურს. ტუში უძველესი საწერი მასალაა, რომელიც ჩ.წ.-მდე 220 წლიდან გამოიყენება. იგი მზადდებოდა ფისოვანი მცენარეებისა და ზეთის დანვით. მიღებულ მურს (მჭვარტლი) წყალში ხსნიდნენ და წებოს უმატებდნენ. მწებავ ნივთიერებას თევზის ან ხარის ტყავის წებოს, ასევე ბრინჯის ან ქერის ნახარში წარმოადგენდა. კონსერვაციისა და არომატიზაციისთვის მუსკუსს უმატებდნენ, ფერის გასაუმჯობესებლად კი სხვადასხვა მცენარეულ და ცხოველურ დანამატებს. მურის მელნები და ტუში დიდი ხნის განმავლობაში გამოიყენებოდა საწერად. მას მაღალი სინათლემდედგობა ახასიათებს, რაც იმას ნიშნავს, რომ არ იხსნება და არ უფერულდება სინათლის ზემოქმედებით. მისი უარყოფითი თვისება ისაა, რომ ახასიათებს ქალაქში ძნელად შეღწევადობა და მასზე მოჭიდების სისუსტე. ამავდროულად, ზედაპირზე სწრაფად შრობა, რაც იწვევს აქერცვლას და სუსტ წყალგამძლეობას. ეს უკანასკნელი კი ყველაზე საფრთხილო და ყურადღებამისაქცევია მუშაობის პროცესში.

„შაჰნამე“, საკმაოდ დიდი მოცულობისაა. შეიცავს 564 ფურცელს, რომელთა სიგრძე ოცდაჩვიდმეტ სანტიმეტრს აღემატება, სიგანე ოცდასამი სანტიმეტრი, ხოლო ბლოკის სიმაღლე 6,5 სანტიმეტრია. ხელნაწერი ერთ გვირისტზე, მსუბუქად იყო აკინძული. ეს ერთგვარად, გამართლებული ხერხია დიდი ზომის ხელნაწერების ასაკინძად, რადგან, მოხმარების პროცესში,

მჭიდროდ აკინძული ხელნაწერი, ფურცლების დეფორმაციას და მათ დაზიანებას იწვევს. თუმცა, დროთა განმავლობაში, ექსპონატის ბლოკი მოირყა და შუა ნაწილში გაიხლიჩა. სწორედ ამიტომ, საჭირო გახდა, ხელნაწერის ყდიდან ამოღება, რათა სრულფასოვნად ჩატარებულიყო საკონსერვაციო-სარესტავრაციო სამუშაოები. ერთეულის დაშლის შემდეგ, ყუაში დიდი ოდენობით აღმოჩნდა ცხოველური ნებო, რომლის სქელმა ფენამაც, თითქმის ყველა ფურცლის დაზიანება გამოიწვია. ფურცლები ადრე იყო რესტავრირებული, რაზეც მიუთითებს ძველი რესტავრაციის კვალი, რომელიც რამდენიმე ათეულ ფურცელზე შეინიშნება.

აღმოსავლური ხელნაწერები გამოირჩევა ყდის მდიდარული დეკორირებით. „შაჰნამეს“ ყდა, ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია. მას აქვს მწვანე ფერის ტყავის ყდა, რომელიც შემკულია ტვიფრებით. ყდის ზედაპირი საკმაოდ არის დაიზანებული. ბევრ ადგილას გაცრეცილი და ფერგადასულია. ყდის კიდეები მთლიანად შემოცვეთილია. მუყაო კი რამდენიმე ფენად დაშლილი. ტვიფრებზე, ოქროსფერი მელნით შესრულებულია კონტური, რომელიც რამდენიმე ადგილას ნაშლილი ან გაუფერულებულია. განსაკუთრებული მორთულობით გამოირჩევა ხელნაწერის ყდის შიდა მხარე, რომელიც დაფარულია შინდისფერი ტყავით. ზედაპირზე დატანებული აქვს, სიმეტრიულად განლაგებული სხვადასხვა ზომის და ერთნაირი ფორმის ორნამენტი, რომელიც წითლად, მწვანედ, ლურჯად და ოქროსფრად არის შეფერილი. თუმცა, აღენიშნება ნაკლული დეტალიც. ფურცლებთან ერთად ყდაც ოდესღაც რესტავრირებულია, რადგან ქვედა ფრთის მარცხენა კუთხეში, შეინიშნება განსხვავებული ტონალობის ტყავის ფრაგმენტი, რომელიც ნაკლული ადგილის შესავსებად იყო გამოყენებული. ნებოსა და ჭუჭყის ფენის მოხსნამ, დაგვანახა, რომ ხელნაწერის ყდად გამოყენებული იყო ეტრატის უხეშად დამუშავებული ფურცელი, რომელიც მწვანედ არის შეფერილი. იგისაკმაოდ მყიფე დამსხვრევადი იყო. ამასთან, გამოყენებული მწვანე საღებავი, გამომშრალი, გაფხვიერებული და თითქმის მოცილებული ეტრატის ზედაპირს.

ხელნაწერის ყდამ განსხვავებული საკონსერვაციო-სარესტავრაციო სამუშაოები მოითხოვა. მუშაობის პროცესში შექმნილმა მდგომარეობამ, სრულიად შეცვალა დაგეგმილი სამუშაოების თანმიმდევრობა. კვლევის პროცესში, ქვედა კიდეებზე, დაზიანებულ ტყავზე, გამოჩნდა ტექსტის

უმნიშვნელო ფრაგმენტი. გაჩნდა ვარაუდი, რომ ტყავის ყდის ქვეშ, შეიძლებოდა ჩაყოლებული ყოფილიყო ხელნაწერი ფურცლები, რომელიც არც თუ ისე იშვიათი მოვლენაა. როდესაც გაიხსნა ყდის მცირე ნაწილი, მკვეთრად გამოჩნდა შავი მელნით შესრულებული ტექსტის ფრაგმენტი.

კვლევის პროცესში, ქვედა კიდეებზე, დაზიანებულ ტყავზე, გამოჩნდა ტექსტის უმნიშვნელო ფრაგმენტი. გაჩნდა ვარაუდი, რომ ტყავის ყდის ქვეშ, შეიძლებოდა ჩაყოლებული ყოფილიყო ხელნაწერი ფურცლები, რომელიც არც თუ ისე იშვიათი მოვლენაა. როდესაც გაიხსნა ყდის მცირე ნაწილი, მკვეთრად გამოჩნდა შავი მელნით შესრულებული ტექსტის ფრაგმენტი.

დაშლის შედეგად, ხელნაწერის ფრთაში, აღმოჩნდა ფურცლები, რომელიც რამდენიმე ფენად იყო ჩაყოლებული ყდაში. ამოცანა საკმაოდ რთული და საპასუხისმგებლო იყო. საუბარი შეეხებოდა ასეულობით ფურცელს, რომელიც ყდის ორივე ფრთიდან იქნა ამოღებული. დასაფიქრებელი და გასააზრებელია ის ფაქტი, თუ რა გახდა მიზეზი ამ ოდენობის, ერთმანეთისგან სრულიად განსხვავებული ზომისა და სტრუქტურის ფურცლების ამ ძვირფასი ხელნაწერის ყდაში დამალვის?!

თავდაპირველად, მოიხსნა ყდის შიდა ნაწილი ორნამენტებთან ერთად. შემდეგ კი გარე ნაწილი. საჭირო გახდა, მუყაოების ფენებად გახსნა, რათა გვენახა შიგნით არსებული მდგომარეობა. აღმოჩნდა, რომ ორივე ფრთის მუყაოებში, სამ შრედ და ბევრ ფენად ჩატანებული იყო რამდენიმე ათეული ხელნაწერი. საჭირო გახდა ამ ფენების გახსნა და ხელნაწერი ფურცლების ამოღება.

აღმოჩენილი ხელნაწერები საკმაოდ დაზიანებული გახლდათ. ზოგიერთი ფურცლის ფრაგმენტი იყო წვრილ ნაწილებლად დაჭრილი და ისე ჩაყოლებული მუყაოში. უფრო ღრმა ფენებიდან ამოღებული ხელნაწერები უკეთეს მდგომარეობაში იყვნენ. აღენიშნებოდათ მცირე ზომის დაზიანებები, კარგად იკითხებოდა ტექსტი და მელანიც საკმაოდ მდგრადი იყო. ზოგიერთი ფურცლის ფრაგმენტი კი უკიდურესად დაზიანებული, საიდანც არც ტექსტი იკითხებოდა და სტრუქტურაც იმდენად მყიფე ქონდა, რომ თითქმის შეუძლებელი გახდა მისი სრულად აღდგენა ან გამაგრება.

პროცესი საკმაოდ რთული, ხანგრძლივი და შრომატევადი იყო. დამალული ხელნაწერები სხვადასხვა ტექსტს წარმოადგენდა. ფურცლები სხვადასხვა ზომის და ფორმის

აღმოჩნდა. ტექსტი კი სხვადასხვანაირი კალიგრაფიით შესრულებული. ნაწილი პროზა იყო. ნაწილი კი-პოეზია. ფენებს შორის დიდი ოდენობით გამოყენებული იყო ცხოველური წებო, რომელიც ერთი ორად ართულებდა ფურცლების ამოღების პროცესს. დატენიანების გზით, რაც გულისხმობს მუყაოების მოთავსებას ნესტიან ვაკუუმში. ამან პროცესი გააიოლა და შედარებით ადვილი გახდა დატენიანებული ფურცლების ერთმანეთისგან განცალკავება. თუმცა, მაინც საჭირო გახდა კელკოგელისა და რიგ შემთხვევაში მეთილცელულოზას გამოყენება. ფურცლებს შორის წებოს ფენასთან ერთად, ასევე დიდი რაოდენობით იყო ჭუჭყის ფენაც. ფურცლების ამოღების შემდეგ, ხელანაწერები მოთავსდა სადებიინფექციო კამერაში. ფურცლების ზედაპირზე დიდი ოდენობით აღმოჩნდა სოკოს სპორები.

„შაჰნამე“ ძალზედ საინტერესო და მნიშვნელოვანი ხელნაწერი აღმოჩნდა საკონსერვაციო-სარესტავრაციო თვალსაზრისით. მუშაობის პროცესი მოითხოვდა კომპლექსურ მიდგომას და მრავალი გამოწვევების წინაშე მყოფმა, შევეცადე ოპტიმალური გადაწყვეტილებები მიმეღო, რომელიც უზრუნველყოფდა მინიმალური ჩარევით, მაქსიმალური შედეგის მიღწევას, ექსპონატზე აუთენტურობის შენარჩუნება. ეს არის ერთ-ერთი მთავარი და უმნიშვნელოვანესი ამოცანა კულტურული მემკვიდრეობის გადარჩენის საკითხში და რომლის წინაშეც, მუდმივად დგას რესტავრატორი.

„შაჰნამეზე“ მუშაობა ერთ-ერთი საინტერესო ამბავი იყო ჩემი მუშაობის პრაქტიკაში. ეს არ გახლდათ ცელკე აღებული ექსპონატი, კონკრეტული დაზიანებებით, არამედ ეს იყო თავგადასავალი, სადაც ყოველი სირთულის დაძლევისა და გადალახვის შემდეგ, ახალი გამოწვევა იჩენდა თავს.

SHAHNAMEH - ABOUT THE MANUSCRIPTS FOUND IN THE COVER

Oriental manuscripts are among the most important and interesting sources for the conservation-restoration process, characterized by the specific treatment of oriental paper, a variety of writing materials, delicately painted miniatures with gilding and various colored paints, and richly decorated leather covers. Therefore, diagnosing the manuscript and then conducting the conservation-restoration process is akin to an adventure, fraught with many difficulties and challenges.

Within the repository, one particular manuscript holds a special place among the many – the Shahnameh. In this article, I will delve into the Shahnameh and discuss the pages found within its cover.

The Shahnameh stands as one of the greatest artistic works of global significance, crafted by Ferdowsi in the 10th-11th centuries during the classical period of Persian literature. Information about the author is scarce. He was born in the year 934/5 or 935/6 in the village of Baj, near the town of Taberan in the Tusi district. Ferdowsi passed away between 1020-1027 and was laid to rest in the city of Tus. The Shahnameh, also known as the “Book of Kings” or “Book about Kings,” was a labor of over thirty years, describing the historical chronicles of the Sassanid dynasty of Shahs in Iran. Ferdowsi had a predecessor, a poet renowned for his odes, who began composing a collection of Iranian heroic tales but met an untimely demise. The young poet only wrote a small part of the intended collection, and Ferdowsi would later assume the mantle for Shahnameh, complete with all its decorations. The manuscript is written in the Persian language, containing sixty thousand Bayts. It is distinguished by its opulent expressions, conciseness, plasticity, natural dialogues, and lexical archaisms.

The manuscript, with the code P620 (Persian fund), was copied in the 16th century, specifically in 1589-1590. It stands out for its high artistic value, the size of the sheet format, the embellishment of arches, the vibrant colors and decorations, and the miniatures created using various and abundant techniques and themes. Notably,

its cover is richly adorned.

In this narrative, I will share the intricate and fascinating journey of the manuscript, specifically focusing on the conservation-restoration of this unique piece as it traverses from one warehouse to another.

The conservation-restoration process commences with a meticulous and crucial diagnosis of the manuscript. This entails a precise assessment of damages incurred. Throughout the process, careful attention is given to treating the unit through mechanical, physical, or chemical means. However, not all texts can endure such treatment due to mechanical vulnerabilities (such as a weak grip on paper), physical susceptibilities (solubility in water and organic solvents), and chemical instabilities (bleaching with chemical solvents). The initiation of restoration and conservation efforts on the manuscript is preceded by the determination and evaluation of the text's properties.

The forthcoming report will provide a detailed account of the encountered difficulties and challenges throughout the restoration process. Specific emphasis will be placed on factors such as the ink's durability and the sheet's structure. A significant portion of the discussion will delve into the intricacies of conserving and restoring the manuscript pages that were removed from the cover. The entire spectrum of processes will be thoroughly examined, commencing with the disassembly of the cover from the wings and concluding with the conservation efforts. Additionally, the diverse and varied materials used in the process will be thoroughly explored.

One of the primary vulnerabilities of oriental manuscripts lies in the writing materials and paints employed for creating both the text and miniatures. Typically, ink or ink was the chosen medium for writing, with ink being an ancient writing material in use since 220 BC. The process of creating ink involved burning resin plants and oil, dissolving the resulting soot in water, and adding glue. The adhesive used included fish or ox skin glue, along with rice or barley broth. Preservation and aromatization were achieved by adding musk, while various vegetable and animal additives were introduced to enhance color.

Over time, Moore's inks and inks have been extensively utilized for writing purposes. These inks are characterized by their high light fastness, indicating resistance to dissolution or discoloration under the influence of light. However, a notable drawback is their difficulty

in penetrating paper, coupled with a weak grip on it. Simultaneously, these inks tend to dry quickly on the surface, leading to issues such as peeling and poor water resistance. The latter aspect demands careful attention and precision throughout the work process.

The “Shahname” is of considerable volume, comprising 564 sheets with a length exceeding thirty-seven centimeters, a width of twenty-three centimeters, and a block height of 6.5 centimeters. The manuscript was loosely bound on a single page, a justified approach for aging large-sized manuscripts to prevent deformation and damage during use. However, over time, the exhibit block shifted and split in the middle, necessitating the removal of the manuscript from its cover for comprehensive conservation and restoration works. Upon disassembling the unit, a significant amount of animal glue was discovered in the gouache, and its thick layer had caused damage to nearly all the sheets. Traces of previous restoration efforts were evident on several tens of sheets.

Oriental manuscripts are characterized by the rich decoration of their covers, and the cover of the “Shahname” is particularly noteworthy. It features a green leather cover adorned with tufts. The surface of the sleeve displays purposeful detailing, albeit faded and stained in many places. The sleeve’s edges show complete wear, and the cardboard is divided into multiple layers. Golden ink outlines on the tufts, though erased or discolored in several places, contribute to the cover’s decorative elements. The inner side of the manuscript sleeve, covered with burgundy leather, stands out with special decorations—twelve symmetrical designs of varying sizes, all sharing the same shape and colored in red, green, blue, and gold.

However, a missing detail is noted. Alongside the pages, the cover underwent restoration at some point. In the lower left corner of the flap, a fragment of leather with a different tone was used to fill in the missing space. Upon removing the layer of glue and dirt, it was revealed that the manuscript cover was a roughly processed sheet of Ettret, colored green. It proved to be fragile and breakable, with the applied green paint having dried, loosened, and nearly removed from the surface of the Ettret.

The cover of the manuscript necessitated diverse conservation-restoration efforts, and the unfolding situation during the work completely altered the planned sequence of tasks. In the research process, an insignificant fragment of text emerged on the lower edges of the damaged skin. There is speculation that handwritten pages

could have been concealed beneath the leather cover, a not uncommon occurrence. Upon partially opening a section of the cover, a fragment of text written in black ink became clearly visible.

Throughout the research process, a small portion of the cover's damaged skin revealed an inconspicuous fragment of text. The possibility that handwritten pages might be concealed beneath the leather cover was contemplated, a scenario not uncommon in such manuscripts. Upon partially opening a section of the cover, a fragment of text inscribed in black ink became distinctly visible.

Due to disintegration, pages were discovered within the manuscript's cover, embedded in multiple layers within the wing. The task was both challenging and crucial. The process involved handling hundreds of pages removed from both wings of the cover. The motivation behind concealing this considerable number of sheets, each differing in size and structure, within the cover of this precious manuscript raises questions.

The conservation-restoration process began by removing the inner part of the sleeve, including the ornaments, followed by the removal of the outer part. Unpacking the cartons layer by layer was necessary to assess the condition inside. Upon examination, it was revealed that several dozen manuscripts were stacked in the boxes of both wings, arranged in three layers and multiple layers. Opening these layers and extracting the manuscript pages became a necessary step.

The discovered manuscripts exhibited varying degrees of damage. Some paper fragments were cut into small pieces and adhered to the cardboard. Manuscripts retrieved from deeper layers were in better condition, showing minor damage with readable text and durable ink. However, fragments of some pages were severely damaged to the point where the text could not be deciphered, and the structure was so fragile that complete restoration or reinforcement seemed nearly impossible.

The process was highly challenging, prolonged, and time-consuming. The concealed manuscripts encompassed diverse texts, featuring sheets of varying sizes and shapes with distinct calligraphy styles. The content comprised both prose and poetry. The use of a substantial amount of animal glue between the layers added complexity to the sheet removal process.

Humidification, involving placing the cartons in a moist vacuum, facilitated the separation of moistened sheets. Although this simpli-

fied the process, additional substances like Calcogel and, in some cases, methylcellulose were still necessary. Alongside the layer of glue between the sheets, a significant amount of dirt was also present. Following the sheet removal, the manuscripts underwent disinfection, revealing a considerable number of fungal spores on the leaf surfaces.

“Shahname” emerged as a remarkably interesting and important manuscript in terms of conservation and restoration. The work process demanded a comprehensive approach and confronted numerous challenges. Optimal decisions were made to ensure maximum results with minimal intervention, preserving the exhibit’s authenticity. This underscores one of the primary and most crucial tasks in the realm of cultural heritage preservation, a constant encounter for restorers.

Working on “Shahname” became a captivating narrative in my professional experience. It wasn’t merely addressing specific damages to an exhibit but rather an adventurous journey where each difficulty led to a new challenge that was met and overcome.

სარჩევი | CONTENTS

პროგრამა 5

PROGRAM 5

ხათუნა ბაინდურაშვილი

ქართველი ქალის როლი სეფიანთა პოლიტიკურ ცხოვრებაში (XVI საუკუნის 70-იანი წლები)..... 23

KHATUNA BAINDURASHVILI

THE ROLE OF GEORGIAN WOMEN IN THE POLITICAL LIFE OF THE SAFAVIDS (70^S OF THE XVI CENTURY).....27

ლიანა სამყურაშვილი

ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის არაბული სამედიცინო თხზულებები31

LIANA SAMKURASHVILI

ARABIC MEDICAL WRITINGS OF THE NATIONAL MANUSCRIPT CENTER 37

ეკა დულაშვილი

წმინდა გრიგოლ ხანცთელი და „იადგარი სანელინდო“41

EKA DUGHASHVILI

SAINT GREGORY OF KHANDZTA AND THE YEARLONG IADGARI..... 45

გიორგი მირზაბეკიანი

სოფელი ვაღარშაპატი ერევნის ვილაეთის ოსმალეთის საგადასახადო რეესტრში: შედარებითი ანალიზი..... 49

GEORGI MIRZABEKYAN

VAGHARSHAPAT VILLAGE IN THE OTTOMAN TAX REGISTERS OF YEREVAN VILAYET: A COMPARATIVE ANALYSIS..... 53

მაია კაკანაძე

ნინო კოპალიანი

რელიგიის გავლენა თურქეთის საგარეო პოლიტიკაზე 56

MAIA KAPANADZE

NINO KOPALIANI

THE INFLUENCE OF RELIGION ON TURKISH FOREIGN POLICY 61

OLGA VASILEVA

GEORGI AVALISHVILI, GRIGORI RUADZE AND OLD EGYPTIAN

ANTIQUITIES 64

ოლგა ვასილევა

გიორგი ავალიშვილი, გრიგორ რუაძე და ეგვიპტური

სიძველეები 69

ТИГРАН МИКАЕЛЯН,

РУЗАННА МИКАЕЛЯН,

АРАБСКИЕ НАДПИСИ, НАЙДЕННЫЕ С РАСКОПОК ДВИНА 74

АСМИК АМАЯКЯН

СЛОВО, ВОЗМОЖНО ОБОЗНАЧАЮЩЕЕ «КОВЕР»

В ХЕТТСКИХ ТЕКСТАХ 81

MONIKA MIRZOYAN

DOG, CAT AND PIG IN THE HITTITE BELIEFS 85

მონიკა მირზოიანი

ძაღლი, კატა და ღორი ხეთების

რწმენა-წარმოდგენებში 88

მაია შაორშაძე

კიდევ ერთხელ, ქართლის მთავარეპისკოპოსისა და

მიტროპოლიტის რომანოზ ერისთავის მოღვაწეობისა

და ქრონოლოგიის შესახებ 93

MAYA SHAORSHADZE

ONCE AGAIN, THE NOVEL OF THE ARCHBISHOP

AND METROPOLITAN OF KARTLI ABOUT THE WORK

AND CHRONOLOGY OF ERISTAVI 98

ნინო მეგენეიშვილი

შორენა თავაძე

ფოტო-მიკროფირების ელექტრონული
დოკუმენტირების მნიშვნელობა
(ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცული
მიკროფირების საცავის მაგალითზე)..... 102

NINO MEGENEISHVILI

SHORENA TAVADZE

THE IMPORTANCE OF ELECTRONIC DOCUMENTATION
OF PHOTO-MICROFILMING (EXAMPLE OF THE MICROFILM
DEPOSITORY AT THE NATIONAL MANUSCRIPT CENTER)..... 107

თეონა მახარაშვილი

მითოსური კლასტების ილუსტრირება გურამ
დოჩანაშვილის რომან „სამოსელ პირველში“ 111

TEONA MAKHARASHVILI

ILLUSTRATING MYTHIC ELEMENTS IN GURAM
DOCHANASHVILI'S NOVEL "THE FIRST GARMENT" 115

სოფიო მენტეშაშვილი

სულხან-საბა ორბელიანის „სამოთხის კარის“
ტექსტოლოგიური პრობლემემატიკის კვლევისას
აქამდე გაუთვალისწინებელი ხელნაწერი – A-627 118

SOPIO MENTESHASHVILI

THE MENTIONING A MANUSCRIPT RELATED TO THE RESEARCH
OF TEXTUAL PROBLEMS IN SULKHAN-SABA ORBELIANI'S
"SAMOTKHIS KARI" (DOOR OF THE HEAVEN) (A-627)..... 121

ირაკლი ფალავა

სევერიანე თურქია

ახალი მონაცემები თბილისის ჯა'ფარიანი
ამირას, 'ალი ბ. ჯა'ფარის სამონეტო
ისტორიისთვის (ახალი ტიპის ღირებულების ქისა
და ჰ. 409 წ. უნიკალური ღირებულება)..... 124

IRAKLI PAGHAVA

SEVERIANE TURKIA

NEW DATA ON THE MONETARY HISTORY OF 'ALĪ B. JA'FAR, JA'FARID EMIR OF TIFLĪS (A SMALL HOARD OF NEW TYPE DIRHAMS AND A UNIQUE AH 409 DIRHAM) 134

თამაზ გოგოლაძე

დარეჯან გველესიანი

ერთი საინტერესო მინაწერი კლარჯული სვინაქსრის (A-97) აშიებიდან და მისი მნიშვნელობა ფანჯულიძეთა საგვარეულოს შესახებ..... 140

TAMAZ GOGOLADZE

DAREJAN GVELESIANI

ONE INTERESTING INSCRIPTION FROM THE EDGE OF KLARJIAN SVINAKSR (A-97) AND ITS MEANING FOR THE LINEAGE OF PANCHULIDZE FAMILY 142

ზოჰრაბ გევორგიანი

ვაჭრობა და ინფორმაციის გაცვლა ხმელთაშუა ზღვაში: კილიკიის სამეფოს მაგალითზე, სომხეთი (XIII-XIV სს.)..... 144

ZOHRAB GEVORGYAN

TRADE AND EXCHANGE OF INFORMATION IN THE MEDITERRANEAN: EXAMPLE OF THE KINGDOM OF CILICIAN ARMENIA, (13TH-14TH CENTURIES)..... 148

დავით მერკვილაძე

შაქის ხან ჰუსეინის მიერ ავარელთა ჯარის სალაშქროდ დაქირავება 1771 წელს და ერეკლე II 151

DAVIT MERKVILIDZE

SHAKIS KHAN HUSAYN'S RECRUITMENT OF AN AVAR ARMY FOR AN EXPEDITION IN 1771 AND ITS CONNECTION TO EREKLE II 156

ჰარუტუნ ხუდანიანი

ქართველი ვასოს პერსონაჟი მე-19 საუკუნის
სომეხი რომანისტი „რაფის“ ისტორიულ
რომანში „ხაჩაგოლის ანდერძი“ 160

HARUTYUN KHUDANYAN

THE CHARACTER OF THE GEORGIAN VASO IN THE
HISTORICAL NOVEL “THE DIARY OF A CROSS-STEALER”
BY THE 19TH CENTURY ARMENIAN NOVELIST RAFFI 162

თამარ ჩარკვიანი

საქართველოში ინტერრელიგიური დიალოგის
პროცესში, რელიგიათა
ურთიერთდამოკიდებულების **მონომოდელის,**
მულტიმოდელის და **ინტერმოდელის** ანალიზი 163

TAMAR CHARKVIANI

IN THE PROCESS OF INTERRELIGIOUS DIALOGUE
IN GEORGIA, THE ANALYSIS OF **MONOMODEL,**
MULTIMODEL, AND **INTERMODEL** RELATIONSHIPS
BETWEEN RELIGIONS IS ESSENTIAL.....167

ირაკლი ირემაძე

აგრარული რეფორმა საქართველოს
დემოკრატიულ რესპუბლიკაში 170

IRAKLI IREMADZE

THE AGRICULTURAL REFORM IN THE GEORGIAN
DEMOCRATIC REPUBLIC.....175

ნოდარ ჩხაიძე

ახალი ცნობები ანარქისტ შალვა გოგელიას
ბიოგრაფიიდან 178

NODAR CHKHAIDZE

NEW INFORMATION FROM THE BIOGRAPHY OF
ANARCHIST SHALVA GOGELIA..... 180

სალომე ჟანტურიძე

საზოგადოებრივ-კოლოტიკური პრესა და
საგამომცემლო საქმიანობა საქართველოს
დემოკრატიულ რესპუბლიკაში181

SALOME CHANTURIDZE

SOCIAL-POLITICAL PRESS AND PUBLISHING ACTIVITIES
IN THE DEMOCRATIC REPUBLIC OF GEORGIA..... 184

პავლიკა ჯაგუნავა

გენერალ ჯეიმს ჰარბორდის კომისიის
საქართველოში ვიზიტი: მიზეზები და შედეგები 186

PAVLIKA JAGUNAVA

GENERAL JAMES HARBORD’S MISSION TO GEORGIA:
REASONS AND CONSEQUENCES 188

ნათო სონღულაშვილი

თავისუფლების იდეა ვლასა მგელაძის ნააზრევში
(XX საუკუნის 20-იანი წლები)..... 189

NATO SONGHULASHVILI

THE IDEA OF FREEDOM IN THE THOUGHT OF VLASA MGELADZE
(20S OF XX CENTURY)..... 192

ასმათ გვაზავა

რევაზ კლდიაშვილი

თანამედროვე კვლევის მეთოდების გამოყენება
წიგნის კონსერვაცია-რესტავრაციაში
(XIX საუკუნის ხელნაწერის [SIR-3] ყდის ქსოვილის
რენტგენოფლორესცენციული ანალიზატორით
(XRF EDX 3600B) კვლევა და მისი შედეგები) 194

ASMAT GVAZAVA

REVAZ KLDIASHVILI

THE USE OF MODERN RESEARCH METHODS, SPECIFICALLY
THE EXAMINATION OF A 19TH-CENTURY MANUSCRIPT COVER
FABRIC USING AN XRF EDX 3600B ANALYZER..... 202

დავით კუხალაშვილი

არჩილ ორთანეზაშვილი

საარქივო ისტორიული დოკუმენტებისა
და ძეგლების უსაფრთხოების როლი სახელმწიფოს
ისტორიულ-პოლიტიკურ უსაფრთხოებაში208

DAVIT KUKHALASHVILI

ARCHIL ORTANEZASHVILI

THE ROLE OF SECURITY OF ARCHIVAL HISTORICAL
DOCUMENTS AND MONUMENTS IN THE
HISTORICAL-POLITICAL SECURITY OF THE STATE.....212

თამარ დვალიშვილი

მასალების ქიმიკის მნიშვნელობა
კონსერვაციასა და რესტავრაციაში 216

TAMAR DVALISHVILI

SIGNIFICANCE OF THE CHEMISTRY OF MATERIALS
IN CONSERVATION AND RESTORATION.....220

ნუგზარ პაპუაშვილი

თამარ მაჭავარიანი ახალციხის მემკვიდრის
ბიბლიოთეკის შესახებ..... 223

NUGZAR PAPUASHVILI

TAMAR MACHAVARIANI ON THE AKHALTSIKHE
MOSQUE LIBRARY 224

ლელა გოცირიძე

შაჰნამე - ყდაში აღმოჩენილი ხელნაწერების
შესახებ..... 224

LELA GOTSIRIDZE

SHAHNAMEH - ABOUT THE MANUSCRIPTS FOUND
IN THE COVER.....230

თარგმანი | TRANSLATION BY

ირინა დემეტრაძე | IRINE DEMETRADZE

მოსხენებები | Papers

- Saint Gregory of Khandzta and the Yearlong Iadgari
- Social-Political Press and Publishing Activities in the Democratic Republic of Georgia
- The Agricultural Reform in the Georgian Democratic Republic
- გიორგი ავალიშვილი, გრიგოლ რუაძე და ეგვიპტური სიძველეები

გიორგი გიგაევი | GIORGI GIGAEVI

მოსხენებები | Papers

- Analysis of mono-model, multi-model, and inter-model interdependence of religions in the process of inter-religious dialogue in Georgia
- Arabic Medical Writings of the National Manuscript Center
- Dog, Cat and Pig in the Hittite Beliefs
- General James Harbord's mission to Georgia: reasons and consequences
- Illustrating mythic elements in Guram Dochanashvili's novel "The First Garment"
- Once again, the novel of the archbishop and metropolitan of Kartli About the work and chronology of Eristavi
- Shahnameh - about the manuscripts found in the cover
- Shakis Khan Husayn's recruitment of an Avar army for an expedition in 1771 and its connection to Erekle II
- Significance of the chemistry of materials in conservation and restoration
- Tamar Machavariani on the Akhaltsikhe Mosque Library
- The idea of freedom in the thought of Vlása Mgeladze (20s of XX century)
- The Importance of Electronic Documentation of Photo-Microfilming (Example of the Microfilm Depository at the National Manuscript Center)
- The influence of religion on Turkish foreign policy
- The mentioning a manuscript related to the research of textual problems in Sulkhan-Saba Orbelian's "Samotkhis Kari" (door of the heaven) (A-627)
- The role of Georgian women in the political life of the Safavids (70s of the XVI century)
- The use of modern research methods, specifically the examination of a 19th-century manuscript cover fabric using an XRF EDX 3600B analyzer
- Vagharshapat Village in the Ottoman Tax Registers of Yerevan Vilayet: A Comparative analysis
- ვაჭრობა და ინფორმაციის გაცვლა ხმელთაშუა ზღვაში: კილიკიის სამეფოს მაგალითზე, სომხეთი (XIII-XIV სს.)
- ქართველი ვასოს პერსონაჟი მე-19 საუკუნის სომეხი რომანისტი „რაფის“ ისტორიულ რომანში „ხაჩაგოლის ანდერძი“

კონფერენსიის ორგანიზატორები CONFERENCE ORGANIZERS

www.scientia.ge
www.tbilisi.gov.ge
www.manuscript.ge
www.tsu.ge



შეიბრძენი ისტორიის გულისხემა

FEEL THE HEARTBEAT OF **HISTORY**

